# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 24 აგვისტო | № 34 (2762) | გამოცემის 58-ე წელი, 1990 | ფასი 20 კაპ.




18 აგვისტოს დამთავრდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეთექვსმეტე სესია, რომელმაც მიიღო კანონი უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

გადაწყდა, რომ მომავალი უზენაესი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვროს 250 დეპუტატით, რომლებსაც აირჩევენ შერეული — მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის — საფუძველზე: 125 დეპუტატს აირჩევენ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, 125 დეპუტატს კი — საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.



# ხანგრძლივი და რთული პროცესი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაგრძელებთ ანკეტას „100... პარტია". საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერს **ზურაბ ჟვანიას** მივმართეთ შემდეგი კითხვებით:

1. როგორ აფასებთ დღეს საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, როგორია თქვენი ტაქტიკა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპზე?

2. მოკლედ — თქვენი სამოქმედო პროგრამის შესახებ, შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენი პროგრამის თუნდაც რამდენიმე პუნქტის განხორციელება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე?

3. რა წანამძღვარებია საჭირო საქართველოში ოფიციალური არასაბჭოური არჩევნების ჩასატარებლად?

4. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ლიტვური, ლატვიური, ესტონური ვარიანტების სახესხვაობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი უკანონოდ, ბათილად გამოცხადდა. რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს აქედან ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ?

**1. დღეისათვის საქართველოში შექმნილი ვითარება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ღრმა პოლიტიკური კრიზისი. რა არის ამის მთავარი მიზეზი?**

არსებული ოფიციალური ხელისუფლება, რომელმაც მრავალგზის დაამტკიცა თავისი სრული უნიათობა, საბოლოოდ დისკრედიტირებულია ხალხის თვალში. მოსახლეობის უნდობლობას კომუნისტური მმართველობისადმი ამძაფრებს ისიც, რომ დღემდე იგი ცდილობს აიცილოს თავიდან პასუხისმგებლობა, როგორც გასული ათწლეულების ბოროტმოქმედებებისათვის, ისე იმ დანაშაულებებისათვის, რისი მოწმენიც ჩვენ ამჟამადაც ვხდებით.

მეორეს მხრივ, პოლიტიკური ძალები, რომლებიც სარგებლობენ მოსახლეობის ნდობით, მოკლებულნი არიან რეალურ ძალაუფლებას და, ამდენად, ჩამოცილებულნი არიან კონსტრუქციულ მოქმედებათა შესაძლებლობას. ოპოზიცია საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რათა ეფექტურად აღუდგეს ცალკეულ ქმედებებს, უარყოს ესა თუ ის ცალკეული სტრუქტურები, მაგრამ სავსებით მოკლებულია საშუალებას, უარყოფილი სტრუქტურები შეცვალოს ახლით, უფრო სიცოცხლისუნარიანით. ასე რომ, ოპოზიცია განწირულია ადგეს ნეგატივიზმის, უარყოფის გზას, რაც იმ პირობებში, როდესაც ოფიციოზს არ ძალუძს რაიმენაირი პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა, იწვევს ისედაც მეტად არასახარბიელო მდგომარეობის დღითიდღე გაუარესებას. ის მეთოდები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ იყო სავსებით გამართლებული, და აუცილებელიც კი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, დღეს უნდა შეიცვალოს სავსებით ახლით.' ამ ახალი მიდგომის მთავარი ნიშანი უნდა იყოს სწორედ მისი აღმშენებლობითი ხასიათი.

ამჟამად კი, ვისაც ხელისუფლება აქვს, მას აღარაფერი ახლის შექმნა არ შეუძლია, ხოლო ვინც არის ახლის შემქმნელი, — მას არა აქვს შესაბამისი ძალაუფლება.

ამასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი მხარე. რეალურ ხელისუფლებას მოკლებული პოლიტიკური ორგანიზაციები ვერ იტვირთებენ მთლიანად პოლიტიკურ პასუხისმგებლობას საკუთარი ქმედებისათვის, ვინაიდან ხალხის თვალში, მთავარი პასუხისმგებელი ნებისმიერი შედეგებისათვის იქნება ყოველთვის არსებული მთავრობა, რაც გარკვეული თვალსაზრისით სავსებით ლოგიკურია და სამართლიანი (აქ ცხადია არ იგულისხმება მორალური პასუხისმგებლობა, რომელსაც ვერავინ ვერ აცილებს თავიდან). ეს გარემოება ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს ათასი ჯურის პოლიტიკურ მოღვაწეთა, პარტიების, თუ მთლიანად მოვლენების, რეალურ შეფასებას. დღეისათვის სწორედ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების შესაძლებლობა მიმაჩნია, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში შექმნილი კრიზისის მთავარ მიზეზად.

ამდენად, დღეისათვის, საქართველოში ყირაზეა დაყენებული თანამედროვე დემოკრატიების ძირითადი სქემა — ხალხის ნდობა (პოლიტიკური პოპულარობა) — ამის პროპორციულად ხელისუფლების ორგანოებში ადგილების რაოდენობა — პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის (რაც, თავის მხრივ აისახება პოპულარობის დონეზე). სწორედ ამგვარი უკუღმართი მდგომარეობა არის ჩვენში არსებული არასტაბილურობის ძირითადი წყარო. ნორმალური განვითარების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული სისტემის აღდგენით, რის ერთადერთ საშუალებასაც წარმოადგენს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

სწორედ ამიტომ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახლო მომავალში ჩატარება, ჩვენ მიგვაჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად; იმ ერთადერთ გზად, რომელიც გადაგვარჩენს ეროვნულ კატასტროფას. მაგრამ არჩევნებს აზრი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ჩატარდება რეალურად მრავალპარტიული სისტემით, ყველა მონაწილე პარტიის სრული თანასწორუფლებიანობის პირობებში.

ახალ პარლამენტს მოქმედება მოუწევს უაღრესად რთულ და დაძაბულ ვითარებაში, აუცილებელია მთელი რიგი მეტად გაბედული ნაბიჯების გადადგმა (თუნდაც ეკონომიკურ სფეროში). ამისათვის პარლამენტს „ხელები გახსნილი უნდა ჰქონდეს" — მან უნდა გააჩნდეს მოსახლეობის ნდობის კრედიტი. ასე რომ, პრობლემა მხოლოდ ის როდია, რომ პარლამენტი დაკომპლექტდეს წესიერი და კვალიფიცირებული დეპუტატებით, მთავარია ეს დეპუტატები სარგებლობდნენ ნდობით. ამდენად არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას არ მიიღებენ საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ძალები, თავიდანვე განწირული იქნება და მიზანს ვერ მიაღწევს. აქედან გამომდინარე, საარჩევნო კანონიცა და არჩევნების მთელი სისტემაც, მისაღები უნდა იყოს ყველა პარტიისათვის. შესაბამისად ყველა ძალა მიმართული უნდა იყოს სწორედ ამგვარი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფისაკენ, რათა სტატუს კვოს შენარჩუნებით დაინტერესებულმა წრეებმა, ვერ შეძლონ ამ პროცესის ჩაშლა.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შეფასებისას, გვერდს ვერ ავუვლით ურთიერთდაპირისპირებას, რომელიც არსებობს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით. ნამდვილად შეცდომა იქნება, შევაფასოთ იგი „პარტიებს შორის კინკლაობად", რასაც საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი პუბლიკაციებსა თუ გამოსვლებში. კონფლიქტი განპირობებულია მეტად სერიოზული უთანხმოებით მთელი რიგი პრინციპული საკითხების ირგვლივ. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება, ურთიერთობათა გარკვევა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ისევ და ისევ, მხოლოდ არჩევნების საშუალებით. შექმნილი დაპირისპირება წარმოადგენს ჩიხს ეროვნული მოძრაობის განვითარებისათვის და არ უწყობს ხელს მისი რიგების დაწმენდას. ყოველგვარი არასტაბილურობა, გაურკვევლობა ხელს აძლევს ყველაზე ორგანიზებულ ძალას — კომუნისტურ ხელისუფლებას და მასთან დაკავშირებულ კორუმპირებულ წრეებს (რომელთა დამღუპველი როლი, საუბედუროდ, დღემდე არ არის გვარიანად შეფასებული). ეს ქმნის შესანიშნავ ფონს ეკონომიკური საბოტაჟისა თუ ეთნოკონფლიქტების პროვოცირებისათვის, იწვევს ფართო საზოგადოებაში თავად ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეის დისკრედიტაციას. ყოველგვარი პროვოკაციების მთავარი მიზეზი (ხშირად ფარული), სწორედ არსებული რეჟიმია. ამდენად, სანამ კომპარტიას უზურპირებული აქვს ხელისუფლება ჩვენ დაუშვებლად და დამღუპველად მიგვაჩნია ოპოზიციური ორგანიზაციების ურთიერთქიშპი.

2. საქართველოში არსებული ნებისმიერი პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა შესაძლებლად მიგვაჩნია მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრული აღდგენის შემდეგ. მაგრამ არც ერთი პრობლემა არ გადაწყდება, თუ ამაზე ზრუნვა დღესვე არ დავიწყეთ. ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის პროგრამა უნდა მოიცავდეს პუნქტებს, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს სწორედ ამ ეტაპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალური დამოუკიდებლობა დარჩება მხოლოდ ოცნებად. ჩვენ არამც თუ შესაძლებლად მივიჩნევთ ამ თვალსაზრისით აქტიურ მოქმედებას, არამედ მიგვაჩნია, რომ ჩვენ ყველამ საკმაოდ დავაგვიანეთ, გავუშვით ხელიდან ის დრო, რომელიც ბევრად უფრო შედეგიანად უნდა გამოგვეყენებინა.

საზოგადოების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა არ ხდება მყისიერად; არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდება ერთი დღის, ან თუნდაც კვირის, განმავლობაში. ეს არის ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში რეალურად დამოუკიდებელი ინსტიტუტების აღდგენასა თუ ხელახლა შექმნას. თითოეული ქარხანა, ინსტიტუტი, ინჟინერი, ექიმი, მინისტრი თუ გლეხი დღეს შეჩვეულია მოქმედებას, მხოლოდ საბჭოთა სისტემის ჩარჩოებში. ეროვნული ინტერესების გაცნობიერება საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა დღემდე მხოლოდ ლოზუნგების დონეზე მოახერხა. არსებითად, ჩვენ ხელახლა უნდა ვისწავლოთ აზროვნება, თავიდან განვსაზღვროთ თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრების წესი. (იმედია, სულგრძელი მკითხველი მომიტევებს მსგავსებას გორბაჩოვისეულ ლოზუნგებთან). ახლებურად უნდა მოეწყოს ჩვენი ეკონომიკა, განათლებისა თუ ჯანდაცვის სისტემა, მრავალი სხვა; თავიდან აღსადგენია თავდაცვის, ეროვნული უშიშროების, საგარეო ურთიერთობათა სისტემები. ცხადია რომ, ეს ვერ მოხერხდება ერთ დღეში. თუმცა, ენერგეტიკის პრობლემების მოგვარებას ახლავე უნდა მივყოთ ხელი. ამისათვის არ არის აუცილებელი ველოდოთ საოკუპაციო ჯარების გაყვანას. ამგვარი უმნიშვნელოვანესი საკითხი არის ათეულობით. ისედაც ბევრი დრო გვაქვს დაკარგული უსაგნო თეორიულ კამათებში, ურთიერთობათა დაუსრულებელ გარკვევაში. გასაკეთებელი კი მართლაც აუარებელია. თითოეულ კვირას ახალი სატკივარი მოაქვს, და დამღუპველი წინდაუხედაობა იქნება ხვალინდელი დღის პრობლემებს ის დავუმატოთ, რასაც დღეს შეგვიძლია მოვუაროთ.

ახლა რაც შეეხება ჩვენი პროგრამის ძირითად დებულებებს. დამოუკიდებლობაცა და დემოკრატიაც წარმოადგენს ჩვენთვის არა თვითმიზანს, არამედ იმ აუცილებელ წინაპირობას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნება ჩვენი მიზნების მიღწევა. საქართველოს მწვანეების პოლიტიკური დოქტრინის ძირითადი იდეა არის ეკოლოგიური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარებას გარემომცველ სამყაროსთან სრულ ჰარმონიაში. ეკოსახელმწიფოში ბუნებრივი გარემო არა მხოლოდ მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ უნდა იქცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების, მისი თვითმყოფადობის ძირითად გარანტიად. ეს გულისხმობს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოწყობის, არამედ, რაც უფრო რთული და მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი ცნობიერების სრულ შეცვლას, ტრადიციული ღირებულებების აღდგენას. მოქმედებისაკენ ჩვენ გვიბიძგა შექმნილმა მძიმე ეკოლოგიურმა ვითარებამ. ნათლად ვხედავთ, რომ მდგომარეობის გამოსწორება არ შეუძლია რომელიმე ერთ ცალკეულ ორგანიზაციას, და არც თუნდაც იდეალურ კანონმდებლობას.

ეკოლოგიურ კატაკლიზმს შესაძლებელია თავი დავაღწიოთ მხოლოდ მთელი საზოგადოების ერთიანი ნებით. ქართველებს გვაქვს დიდი უპირატესობა მრავალ ხალხებთან შედარებით საზოგადოების ბუნებასთან ურთიერთობის ის უნიკალური კულტურა, რომელსაც ათასწლეულების მანძილზე ქმნიდნენ ჩვენი წინაპრები. ასე რომ, ჩვენ არსებითად რაიმე ახლის სწავლა კი არ გვჭირდება, არამედ ჩვენივე საკუთარი მსოფლმხედველობის აღდგენა და ხელახლა გათავისება. უმთავრესი ამ თვალსაზრისით არის პიროვნული პასუხისმგებლობის განცდის აღდგენა, როდესაც თითოეული ჩვენთაგანი იგრძნობს, რომ სწორედ ის აგებს მომავალ თაობათა წინაშე პასუხს ყველაფრისათვის, რაც დღეს ხდება. ამის გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია თავისუფალი საზოგადოების შექმნა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარეშე მტრისაგან გათავისუფლება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავისუფლებას. ეს უკანასკნელი ცნება ბევრად ფართოა და თითოეულ ჩვენგანში მოკალათებული მოწინააღმდეგის დამარცხებასაც გულისხმობს. იმ მოწინააღმდეგის დამარცხებას, რომელიც დღესაც გვიბიძგებს ვეძებოთ ახალ-ახალი ბელადები. ჩვენ კი ვიბრძვით თავისუფალი, და არა მხოლოდ საბჭოთა იმპერიისაგან გათავისუფლებული საქართველოსათვის.

3. ჩემთვის არ არის მთლად ნათელი, რას ნიშნავს „ოფიციალური არასაბჭოური არჩევნები". პირველ შეკითხვაზე პასუხისას, მე უკვე აღვნიშნე, თუ რა მთავარ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, საარჩევნო სისტემა. ეს, და მრავალი სხვა მეტად მნიშვნელოვანი მოთხოვნა სრულად არის ასახული საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების კანონში, რომელიც განიხილა უზენაესი საბჭოს სესიამ, და რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებდნენ „ოთხთა კავშირი" (საქართველოს მწვანეთა პარტია, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია და ორგანიზაცია „დასი"), საქართველოს სახალხო ფრონტი და მრავალი მაგიდის წევრი ორგანიზაციები. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ, თუ არჩევნები არ ჩაიშალა საბოტაჟისა თუ პროვოკაციების შედეგად, საქართველოს ეყოლება სავსებით ოფიციალური, ყველა თვალსაზრისით კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც ვერც ერთი საღად მოაზროვნე და ობიექტური ადამიანი „საბჭოურს" ვერ უწოდებს. ვინაიდან მრავალპარტიული პარლამენტი, რომლის მთავარი ამოცანაც იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, „საბჭოურად" არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს იმ გაგებით, რა გაგებითაც ეს ცნება იწვევს ჩვენში შეშფოთებას. თუ „საბჭოურში" ვიგულისხმებთ, რომ არჩევნები ტარდება საბჭოთა კავშირში შემავალ ტერიტორიაზე (ჯერ კიდევ!), მაშინ ცხადია — იმავე ლოგიკით ეროვნული კონგრესისა თუ ნებისმიერი სხვა ორგანოს არჩევნებიც „საბჭოური" იქნება. მაშინ ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გაჭიანურებით „შეწუხებული" მოსკოვი, როდის გაიყვანს საოკუპაციო ჯარებს და შემდეგ ვიზრუნოთ ხელისუფლების არჩევაზე.

საერთოდ მეჩვენება, რომ კამათი არჩევნების „საბჭოურობა-არასაბჭოურობის" შესახებ, ხშირ შემთხვევაში, ხალხის განწყობილებებზე სპეკულაციისა და დემაგოგიის ხასიათს ატარებს. ზემოთ ნახსენები კანონის გამოქვეყნების შემდეგ, მისი გაგრძელება უსაგნოდ მიმაჩნია. გასარკვევია არსებითად მხოლოდ ის, ვართ თუ არა მზად ვიტვირთოთ სრული პასუხისმგებლობა მოვლენათა განვითარებისათვის, თუ გვირჩევნია, პოლიტიკურ პოზებს გადაყოლილებმა, რეალური მოქმედების საშუალება ისევ არსებულ ხელისუფლებას დავუტოვოთ?!

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ მსოფლიო საზოგადოება მნიშვნელობას სწორედ რეალურ მოქმედებებს ანიჭებს და არა საკმაოდ ბუნდოვან თეორიულ სპეკულაციებს. იმისდა მიუხედავად, სცნო თუ არა აშშ-მა ან ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ ლიტვის დამოუკიდებლობა, სავსებით ცხადია, რომ იგი სცნობს ვ. ლანდსბერგისს ლიტვის კანონიერი პარლამენტის კანონიერ პრეზიდენტად. პრობლემები, რომელიც სამივე ბალტიის რესპუბლიკას გააჩნია, არის არა არსებული ხელისუფლების კანონიერების, ანდა მათი მოქმედებების საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის პრობლემები, არამედ ნებისმიერი პატარა ხალხის დიდ იმპერიასთან დაპირისპირების ოდითგანვე არსებული პრობლემები. და ისევე, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ სხვა ხალხებს, ლიტველებს, ლატვიელებსა და ესტონელებს შესანიშნავად ესმით, რომ ამ მეტად რთულ და მძიმე ბრძოლაში, მათ არა აქვთ უფლება უარი თქვან ისეთ მნიშვნელოვან იარაღზე, როგორიცაა ოფიციალური ხელისუფლების ხელში აღება. ჩვენ უნდა შევეგუოთ იმ საკმაოდ სევდიან სინამდვილეს, რომ თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო სამართალს ჩვეულებრივ იყენებენ ისინი, ვისაც ზურგი ბირთვული რაკეტებით აქვს გამაგრებული. ჩვენი იარაღი კი გონიერება, სიტუაციის რეალისტური შეფასება და თანმიმდევრულობა უნდა იყოს.

4. სავსებით ვიზიარებ ბ-ნ ა. ბაქრაძის მიერ მოცემულ შეფასებას — მოსკოვი მით უფრო ხმამაღლა ყვირის, რაც უფრო დარწმუნებულია, რომ ბალტიის სამივე რესპუბლიკა საბოლოოდ დაუსხლტა ხელიდან. ბევრად უფრო საეჭვოა, ნამდვილად, ის სიმშვიდე, რითაც კრემლი საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოველგვარ გადაწყვეტილებას ხვდება.

ბალტიელებისაგან, პირველ რიგში, დამოუკიდებლობის აღდგენისადმი პრაქტიკული, კონკრეტულ პროგრამებსა და მოქმედებებში გამოხატული, მიდგომა უნდა ვისწავლოთ. სამწუხაროდ, ჩვენში მოღვაწე მრავალ პოლიტიკოსს სუვერენიტეტის ეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობაც კი სრულიად არ ესმის. ჩვენთვის საზოგადოდ, საქართველოს დამოუკიდებლობა დღემდე საკმაოდ აბსტრაქტულ ცნებად რჩება, რომლის დაკონკრეტება სამიტინგო გამოსვლების მიღმა აღარ ხდება. დამოუკიდებლობისათვის ამგვარ ბრძოლას, მოსკოვი ცხადია თავისთვის მაინცდამაინც სახიფათოდ ვერ მიიჩნევს.

ნათქვამს იმასღა დავუმატებ, რომ ვერც „ლიტვური" და ვერც სხვა რომელიმე გზა მთლიანობაში საქართველოს, მრავალი მიზეზის გამო, ვერ გამოადგება. ჩვენ საკუთარი გზა გვაქვს გასავლელი. ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ბალტიისპირელებთან შედარებით არანაირი უპირატესობა არ გაგვაჩნია. ასეთი საკმაოდ მრავლად არის, მათ, მხოლოდ დროული და მოხერხებული გამოყენება სჭირდება. ჩვენ მოვიპოვეთ ისტორიული შესაძლებლობა — საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველებმა ჩავატაროთ რეალურად მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები. ახლა მთავარია, გამოვიყენოთ ეს შანსი.

# „ფარდულებიანი“ რომანი

## ღია წერილი თენგიზ ჩხაიძეს

პატივცემულო, ბატონო თენგიზ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (22 დეკემბერი, 1989), დაიბეჭდა თქვენი სტატია სათაურით „გველის პერანგის“ ერთი ინტერპრეტაციის გამო“. თქვენ ეხებით ჩემს წერილს — „გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტში“ („ლიტ. საქართველო“, 2 ივნისი, 1989) და მას თქვენს მოსაზრებას უპირისპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ უარყოფთ ჩემს მთავარ დებულებას — ოიდიპოსის მითის მნიშვნელობას რომანის სიმბოლური მოტივების სტრუქტურაში, მე მაინც ძალზე მადლობელი ვარ თქვენი. მადლობელი ვარ, რომ გამომეხმაურეთ და მეცნიერულ-პროფესიულ დონეზე დიალოგი შემომთავაზეთ. ეგებ ვცდები, მაგრამ, მე სწორედ ასე აღვიქვი თქვენი უაღრესად საინტერესო წერილი. ნება მიბოძეთ, ასეთივე პატივისცემით ვუპასუხო თქვენ შენიშვნებს. მე საკმაოდ ბევრი ვიმუშავე რობაქიძის ამ რომანზე, სანამ რაიმე აზრის გამოთქმას გავბედავდი და, გამოგიტყდებით, ჩემს პოზიციას ასე ადვილად ვერ დავთმობ. თქვენ როგორც მეცნიერ-ლიტერატორი, იმედია, გამიგებთ, ამგვარ განწყობას და მომიტევებთ.

თქვენს წერილში ასეთი სტრიქონია: „რობაქიძე მითოსის გაცოცხლება-აღდგინებას ახდენს; იგი სწორუპოვარია მითოსის აღორძინების ხელოვნებაში“. ამაში სავსებით გეთანხმებით. საკითხავი ის არის, რაში გამოიხატება ეს „სწორუპოვრობა“. ჩემი სტატიის მიზანი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა იყო.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ „გველის პერანგის“ სტრუქტურაში გამოიყოფა რამდენიმე სისტემა მითოპოეტური მოტივებისა, სადაც როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული და ეგვიპტურ-შუმერული მითოლოგიის ელემენტებია შერწყმული. ერთ პირად ბარათში თვით ავტორი თავის რომანს „ფარდულებიანს“ უწოდებს. მეექვსე „ფარდულშიც“ რომ ჩავიდეს ვინმე, მეშვიდე კიდევ უხილავი დაურჩებაო. მეორეგან კი უმატებს, რომ მისი პოეტური სამყაროს გასაგებად საჭიროა „ღრმა ცოდნა და მძაფრი გზნება მითიური სინამდვილისა და ფართო გათვალისწინება უნივერსალურ მრავალსახეთა“. მაშასადამე, მის რომანში მითოპოეტური არქეტიპების გამოვლენა, „თუ მაინცდამაინც“ საჭირო კი არ არის, როგორც თქვენ ბრძანებთ, არამედ სრულიად აუცილებელია. ყველა „ფარდულის“ შემოსავლელად, რასაკვირველია, გაზეთის სტატია არ კმარა; ამისათვის მთელი მონოგრაფიაა არის საჭირო (რის დაწერაზეც ზოგჯერ მიოცნებია), მაგრამ რამდენიმე მთავარ მომენტს მაინც აღვნიშნავ, განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა „გველის პერანგში“ არსებული ისტორიული ალუზიების სიმბოლისტურ ინტერპრეტაციას, რაც ევროპულ-რუსული სიმბოლიზმის ტრადიციებთან არის კორელირებული.

„ყოველი მოვლენა განიხილება კოსმოსური კავშირით სამყაროსთან და ამით მითოლოგიურად“, წერს რობაქიძე ერთ-ერთ თავის სტატიაში „დემონი და მითოსი“, იენა, 1935). ეს კი იმას ნიშნავს, რომ, როგორც ჭეშმარიტი სიმბოლისტი, იგი მითოსში წარმავალი ისტორიული მოვლენების მარადიულ მნიშვნელობას ეძიებს. ასეთი გაგებით, ისტორია უმაღლესი სახის რეალობას — კოსმიურ-ტრანსცენდენტალურ რეალობას ეზიარება. სწორედ ამიტომ „გველის პერანგში“ შესული მითოლოგიური მოტივები ქმნიან მნიშვნელობათა სისტემებს, რომლებსაც „დაბალი“, უშუალოდ სიუჟეტური სინამდვილე „მაღალ“ სიმბოლურ რეგისტრში გადაჰყავს.

თქვენის აზრით, რომანი ოიდიპოსის მითს კი არა, არამედ „უწინარესად „ოდისეას“ ეხმიანება. იქაც და აქაც მთავარი გმირი ისწრაფვის მამულისაკენ, შინისაკენ, იქაც და აქაც მამა-შვილის ურთიერთძიება და ურთიერთლტოლვა წინაა წამოწეული“. გეთანხმებით, რომ რობაქიძის რომანში ნაწილობრივ ოდისევსის მოგზაურობაცაა არეკლილი, მაგრამ ეს მითი არ შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებსაც „გველის პერანგის“ ფილოსოფიურ-მისტიკური არსის გააზრებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება. ოდისევსი სახლიდან სულ სხვა მიზეზითაა წასული, ვიდრე თამაზ მაყაშვილი ან თუნდ არჩიბალდ მეკეში. მისი დაბრუნების ხასიათიც სხვაგვარია. ოდისევსმა ძალიან კარგად იცის, სად არის მისი სამშობლო; ისიც კარგად იცის, თუ თვითონ ვინ არის და რა უნდა, მამასაც კარგად სცნობს და შვილსაც. მისი ხასიათი გარეგანი, ფიზიკური წინააღმდეგობების გადალახვაში პოულობს გამართლებას, რასაც, რასაკვირველია, თავისი სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს; ოდისევსი თავისი ძალაუფლების, თავისი მეფური სტატუსის აღსადგენისათვის იბრძვის, რათა მისი სახლი, მიწა და ცოლი მეტოქეებმა არ დაისაკუთრონ. ხოლო არჩიბალდის მოგზაურობა, პირველ ყოვლისა, ძიებაა, როგორც მამის და მამულის, ისევე საკუთარი თავისაც.

მთავარი ის კი არ არის, ჩამოვთვალოთ, თუ რა არის აღწერილი „აქაც და იქაც“, მაგალითად, პერსონაჟები (მამა და შვილი), მოქმედება (შინ დაბრუნება) ან ემოციები (ურთიერთლტოლვა). მთავარია გავაანალიზოთ, თუ რა მიზნითაა ეს დამთხვევები წარმოდგენილი ნაწარმოების სტრუქტურაში, როგორ არიან ისინი ავტორის მიერ ტრანსფორმირებული და რა ადგილი უკავიათ მათ რომანში ასახული სიმბოლისტური მსოფლმხედველობის ფორმულირებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი „აქაც და იქაც“ გამეორებული მოტივების ალნუსხვა მხოლოდ ინტელექტუალურ ვარჯიშად დარჩება და ბევრს ვერაფერს გვარგებს.

თქვენ „გველის პერანგს“ ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ უკავშირებთ. ეს მეტად მომხიბლავი თემაა, მაგრამ ჩემს სტატიაში მინდოდა, შევხებოდი მხოლოდ იმ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ მოტივებს, რომლებიც გრიგოლ რობაქიძეს თავის რომანში შეგნებულად აქვს შეტანილი მათი ახალი, თავისებური ინტერპრეტაციის მიზნით. რაც შეეხება „ულისეს“ (რომელიც პირველად 1921 წელს გამოვიდა), ეს ნაწარმოები მან არსებითად მხოლოდ ემიგრაციაში ყოფნის დროს გაიცნო.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია თქვენი შემდეგი დებულება, სადაც აღნიშნავთ, რომ „ჯოისმა გვიჩვენა თანამედროვე ადამიანის სულიერი კრიზისი, მისი სრული გაუცხოება. გრიგოლ რობაქიძე გვიხატავს პიროვნებას, რომელიც არღვევს გაუცხოების ზღუდეს და აღწევს ესოდენ ფასეულ შინაგან ჰარმონიას. ამაში მწერალს ეროვნული კულტურის, ეროვნული ტრადიციის ღრმა წვდომა ეხმარება“. ამ განცხადებას ვერაფრით ვერ დავეთანხმები. „ეროვნული ტრადიციის ღრმა წვდომა“ მწერალს, რასაკვირველია, ეხმარებოდა, მაგრამ რაც შეეხება „შინაგან ჰარმონიას“, რობაქიძე მის გარშემო აბობოქრებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ სრულიად ბრმა და ყრუ უნდა ყოფილიყო, არჩიბალდ მეკეშის რთული ცხოვრების გზა ამგვარი ნირვანით რომ დაემთავრებინა.

რომანის დასაწყისში ამერიკელი მილიონერი, ფერგიუს ურვოორი უცქერის კინოქრონიკას და სარაევოში ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობის მოწმე ხდება. ეს არის 1914 წლის ივლისი და მილიონერს ეჩვენება, რომ იგი ეკრანის ტილოზე კითხულობს საბედისწერო განაჩენს: „მანე, ტეკელ, ფარეს“ („გველის პერანგი“, თბილისი, 1988, გვ. 23). ძველი აღთქმის მიხედვით ეს სიტყვები ბაბილონის ტაძარზე უხილავმა ხელმა დაწერა და ამით ზნედაცემულ ქალაქსა და მის ამპარტავან მოსახლეთ განადგურება უწინასწარმეტყველა.

აპოკალიფსის მოახლოება გავრცელებული თემა იყო მეოცე საუკუნის დასაწყისის სიმბოლისტურ ლიტერატურაში, რომლის წარმომადგენლები ევროპასა და რუსეთში თანამედროვე ცივილიზაციას, მათი აზრით, გახრწნილს, გამოფიტულსა და დემონურს, ბაბილონის ბედს უქადდნენ. მათ ისიც სწამდათ, რომ ამ ბიბლიური მასშტაბის ნგრევასა და განადგურებას არნახული სულიერი და ფიზიკური აღორძინებაც უნდა მოჰყოლოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძეს, მერეჟკოვსკის, ბლოკის, ივანოვის და განსაკუთრებით ბელის მსგავსად, სურდა ქართველი მკითხველისთვისაც ეუწყებინა, მსოფლიო მიწისძვრის მოახლოება და ამასთანავე ახალი საუკუნის შორეულ ჰორიზონტზე კულტურის აღდგომისა და განახლების მაუწყებელი შუქის ციალი ეხარებინა. მაგრამ მოვლენათა განვითარება იმგვარად წარიმართა, რომ რომანის ამგვარი ოპტიმისტური ტონით დამთავრება შეუძლებელი აღმოჩნდა.

შეიძლება თუ არა, რობაქიძის გმირის „შინაგან ჰარმონიაზე“ ვილაპარაკოთ, როდესაც არჩიბალდ მაყაშვილის მოგზაურობის ქრონოლოგია რომანში შემდეგნაირად არის განლაგებული. ევროპიდან წამოსულ არჩილს რუსეთის რევოლუციის ლოზუნგები: „მიწა — გლეხებს“, „ქარხნები — მუშებს“, ყაზვინში წამოეწევა და ჰამადანში მის სმენას კერენსკისა და ლენინის სახელებიც სწვდება. ირანიდან თბილისში იგი 1918 წლის გაზაფხულზე ჩადის, სწორედ ამ დროს, არჩილის სამშობლო დიდი ხნის ნანატრ დამოუკიდებლობას ზეიმობს, მაგრამ ამ გრანდიოზულ მოვლენას თითქოს ვერც ავტორი და ვერც მისი გმირი ვერ ამჩნევს. საზეიმო ალლუმის ნაცვლად, რომანში გასვენების უცნაური, კარნავალური პროცესიაა აღწერილი. არჩილი ძმადნაფიცის, ვამეხის მამულში მიემართება და მატასის მშვენებით მოხიბლული იქვე რჩება, რათა მალე ბედნიერი მამა გახდეს.

ჩვენთვის ერთობ საგულისხმოა, ეპილოგში მინიშნებული თარიღი, რომელსაც რომანში განსაკუთრებული როლი აქვს მინიჭებული. აქ არჩილს უკვე ჰყავს პატარა ვაჟი, რომელსაც შეუძლია გაიქცეს და ბაბუას აბედი მოუტანოს, მაგრამ არ შეუძლია თავისი გვარი სწორად წარმოთქვას, ირუბაქიძის ნაცვლად „ილუბაქიძეს“ ამბობს.

მაშ, რამდენი წლისაა პატარა თამაზი?

ეს კითხვა არც ისე უმნიშვნელოა, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ, ვინაიდან, ბავშვის ასაკი მიგვითითებს, კერძოდ, რომელი წლით ისაზღვრება რომანის დასასრული. თუ ჩავთვლით, რომ არჩიბალდი 1918 წელსვე შეუუღლდა მატასის და მათ ვაჟი ერთი წლის შემდეგ შეეძინათ, ეპილოგში თამაზი არა უმცირეს ორისა და არა უმეტეს ექვსი წლისა უნდა იყოს. მაშასადამე, მოქმედება მთავრდება არა უადრეს 1921 და არა უგვიანეს 1925 წლისა, ანუ იმ დროისა, როდესაც რობაქიძემ ფაქტიურად დაასრულა რომანზე მუშაობა. ჰოდა, თუ ეს ასეა, რამდენად ჩლუნგი, რეალობას მოწყვეტილი ან მორალურად უბადრუკი უნდა ყოფილიყო ის მწერალი, რომელიც ამ წლებში შექმნილ და თითქმის ამავე პერიოდის მომსწრე თავის პროტაგონისტს „შინაგანი ჰარმონიით“ დააჯილდოვებდა?! ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ ავტორს ასეთი რთული სტრუქტურისა და დახვეწილი სტილის ნაწარმოები ოჯახური ბედნიერებით ალსავსე სცენით სურდა დაეგვირგვინებინა. მითოსური და მისტიკური მნიშვნელობების გარეშე გაგებული ეს ეპილოგი არჩიბალდს წარმოგვიდგენს, როგორც ფილისტერული სულისკვეთების მქონე უბრალო მოკვდავს და არა როგორც გმირს.

ჩემი მთავარი დებულების საწინააღმდეგო არგუმენტს, ბატონო თენგიზ, თქვენ შემდეგნაირად იწყებთ: „რა ბედი ეწია ოიდიპოსის ჩამომავალთ და მათ მშობლიურ ქალაქ თებეს, ჩვენ ვიცით: ვაჟიშვილები ერთმანეთს დაერივნენ ძალაუფლებისათვის და ერთმანეთი დახოცეს, იმათ მემკვიდრეებმა კი ისევ გააჩაღეს ბრძოლა და სულ დააქციეს თებე“.

მითის ეს ფინალი, ესე იგი, ოიდიპოსის დანაშაულის შედეგი, ანუ ღვთიური ძალების მიერ ნაცვალგება, მისი ცოდვისა, სწორედ ჩემი მოსაზრების საუკეთესო საბუთად მიმაჩნია. როგორ გგონიათ, ბატონო თენგიზ, ის, რაც საქართველოში მოხდა 1921-1925 წლებში, არ ჰგავდა თებეს? უარესიც იყო! უკვე წელზე მეტია, რაც ქართული გაზეთების თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება რაიმე ახალი ცნობა იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ოციან წლებში თბილისს — თებეს შვილებს, როგორ დაერივნენ ისინი ერთმანეთს, რა მძიმე ფიზიკური და სულიერი ზიანი მიაყენეს თავიანთ ხალხს და თავიანთ ქვეყანას. თუ ჩვენ, დღეს, თითქმის შვიდი ათწლეულის შემდეგ, ასე ღრმა ტკივილს ვგრძნობთ, მაშინ მომხდარი მსხვრევისა და განადგურების გამო, როგორღა უნდა განეცადა ეს გრიგოლ რობაქიძეს იმ ტრაგედიების თანამედროვეს და უშუალო მოწმესაც?!

ეჭვგარეშეა, რომ „გველის პერანგში“ ავტორი 1921 წლის თებერვლის ამბებსაც მიუთითებს და 1924 წლის ტრაგედიასაც ახსენებს მკითხველს. ეს რომანის მითოსურ შრეებშიც არის გავრცობილი და სხვადასხვა ალუზიებითაც არის მინიშნებული. ირუბაქიძის შთამომავლობა, ალბათ, გახსოვთ, ორ შტოდ გაიყო: ჩოლოყაშვილი და მაყაშვილი. თქვენის აზრით, ამ გვარების ხსენება, 1926 წელს გამოსულ რომანში იმდროინდელი მკითხველისთვის არაფერს არ ნიშნავდა? ხოლო თუ რომანის მითოპოეტურ სახეებს დავუბრუნდებით, ეპილოგის უკანასკნელი სცენა ჭეშმარიტად აპოკალიფსურია; ეს არის მომავლის კაბადონზე საშინელი განაჩენის გამოცხადება, რომლის სრული მნიშვნელობა ვამეხს და არჩიბალდს, ოიდიპოსის ცოდვის მატარებელ ძმებს, ჯერ არ ესმით. ცხედარი და ჩამავალი მზე სიკვდილისა და განადგურების მომასწავებელი სიმბოლოები არიან. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ რობაქიძე ხმარობს მეტაფორას, რომელიც მისი შემდგომი რომანის მთავარ სახედ იქცა: „მზის მეწამული თასი აღარ სჩანს: თან თუ წაიღო ბაბუა სარიდანის მზერა“ (გვ. 300). იქ ეს „მზის თასი“ სწორედ წმინდა გრაალია. მასში საკრალური ღვინო — ქრისტეს სისხლი ინახება და იგია საწინდარი ქვეყნის მომავალი ხსნის და აღდგომისა, რის აუცილებლობაცა და შესაძლებლობაც მწერალს მტკიცედ სწამდა. რომანი „გრაალის მცველნი“ კი კვლავ უბრუნდება 1921-1924 წლის ამბებს, რაც უკვე იყო აღნიშნული მის თანამედროვეთა მიერ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1938 წ., 146, გვ. 15).

თქვენი სტატიიდან ჩანს, რომ ჩემს მიერ ვამეხისა და არჩილის ოიდიპოსთან შედარება მათ შეურაცხყოფად და დაკნინებად მიგიჩნევიათ. პირიქით! ჩემის აზრით, ბერძნულ მითოსზე მათი სახეების პროეცირებას ისინი ტრაგიკული გმირების დონეზე აჰყავს. ოიდიპოსი, როგორც მოგეხსენებათ, მამის უნებლიე მკვლელი იყო. მან დიდხანს არ იცოდა, და არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ასეთი საშინელი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი. ხოლო, როდესაც შეიგნო საკუთარი დანაშაული, მან უყოყმანოდ აღიარა პასუხისმგებლობა და თავი სასტიკად დასაჯა. ამიტომაცაა, რომ ელინურ მითოლოგიაში იგი კეთილშობილ გმირად არის მიჩნეული და არა ავაზაკად. გარდა ამისა, თვით ეს მითიც, თავისებური [illegible] სიმბოლოა [illegible] ძალაუფლებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამგვარმა ტრაგედიამ შეძრა ქართველი ხალხი ოციანი წლების დასაწყისში და ალბათ, ამიტომ აირჩია რობაქიძემ ოიდიპოსის მითი, რათა ისტორიის შინაგანი არსი საკრალური მისტერიის ყალიბში გადაედნო.

რაც შეეხება ამ მითის მოტივებს „გველის პერანგში“, თქვენ ამტკიცებთ, რომ ვამეხს თამაზი არ მოუკლავს, ორივენი მხოლოდ მსუბუქად დაიჭრნენ და მოხუცი მამა ავადმყოფობით მოკვდა, ეტყობა, ფილტვების ანთება ჰქონდაო. ბატონო თენგიზ, ჩვენ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე და არა რომელიმე პაციენტის ავადმყოფობის ისტორიასთან. დავუთმოთ მედიცინას გამოიკვლიოს ის საკითხი, თუ კერძოდ, რა სენმა მოკლა ვამეხის მშობელი, პნევმონიამ თუ ინფარქტმა. „გველის პერანგი“ სიმბოლისტური რომანია და მას შესატყვისი კანონები აქვს, რომელთა მიხედვითაც უნდა ვიმსჯელოთ. თამაზ მაყაშვილი, მართლაც, საკმაოდ ხნიერია და, ეტყობა, ჯანმრთელობაც არა აქვს სახარბიელო. ადრე თუ გვიან, რასაკვირველია, მოკვდებოდა, მაგრამ რომანში იგი სწორედ ვამეხთან შეტაკების შედეგად კვდება. ეს არის საკრალური რიტუალის სიმბოლური აქტი და როგორი მსუბუქიც არ უნდა ყოფილიყო თამაზის ჭრილობა, შვილმა მისი სისხლი დაღვარა. აი, რა არის აქ მნიშვნელოვანი! თუ უფრო კონკრეტული დიაგნოზი გნებავთ, მაშინ ვიტყოდი, რომ ამ შეტაკებამ გამოიწვია ავადმყოფი მოხუცის უკიდურესი აღგზნება, მისი ფიზიკური ენერგიის გადამეტებული დაძაბვა და გახშირებული გულისცემა, რაც მალე მისი სიკვდილით დამთავრდა. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ვამეხს მის სიკვდილში ბრალი უძევს. ავტორი საკმაოდ ნათლად მიგვითითებს ამაზე, როდესაც შემდეგნაირად აღწერს თავის გმირს: „ეზოს თავში ვამეხია გაჩერებული, როგორც ხმალი სისხლში ამოვლებული და ეხლახან დამცხრალი“ (გვ. 296).

თქვენი შემდეგი არგუმენტი სწორედ ხმლის მნიშვნელობას ეხება, სადაც წერთ: „იგი რაინდული შემართების, ეროვნული ძალმოსილების სიმბოლოა რომანში და არა მამისმკვლელობისათვის გამოყენებული ავბედითი იარაღი“. გეთანხმებით, რომ ხმალს აქვს კავშირი „რაინდულ შემართებასთან“, მაგრამ მისი ესთეტურ-ფილოსოფიური სემანტიკა სიმბოლისტურ ნაწარმოებში, განსაკუთრებით რობაქიძის რომანში, ვერაფრით ვერ იქნება ამგვარად ერთგანზომილებიანი. ასე რომ იყოს, მაშინ ჩვენ ალეგორიასთან გვექნებოდა საქმე და არა სიმბოლოსთან. ეს ორი პოეტური სახე სრულიად სხვადასხვა პრინციპებით განისაზღვრება. სიმბოლოს სტრუქტურა უაღრესად რთულია, მისი შიდა არსი ამოუწურავია, ვინაიდან, ყოველ კონკრეტულ მნიშვნელობას იგი სხვა ნიშან-სიმბოლოთა კონტექსტში იღებს. გარდა ამისა, იგი ყოველთვის დატვირთულია ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებით. მისი ამგვარი გაგება განუყოფელია სიმბოლისტურ მსოფლმხედველობისაგან. მაგალითად, გველი ხომ ბოროტების და ცდუნების სიმბოლოც არის და სიბრძნისაც, მის შხამს სიკვდილიც მოაქვს და განკურნებაც. მისი ასეთი ორლესული მნიშვნელობა შესანიშნავად არის წარმოდგენილი ქართულ ფოლკლორში და ლიტერატურაში, რაც, დარწმუნებული ვარ, ჩემზე გაცილებით უკეთესად იცით.

ასევეა ხმალიც: მამაცობისა და ძლევამოსილების გარდა, ის სიკვდილის სიმბოლოც არის. როდესაც რაინდი ხმალს შემართავს, იგი შეშის ჭრას კი არ აპირებს, არამედ, ვიღაცის მოსაკლავად ემზადება. ბედნიერ შემთხვევაში, მისი მსხვერპლი მტერი ხდება ხოლმე, უბედურ შემთხვევაში — მოყვასი. ოიდიპოსის მითში სწორედ უბედურ შემთხვევასთან, ანუ ტრაგიკულ შეცდომასთან გვაქვს ადგილი. საქართველოს ბედის ამ მითში გააზრებით, რობაქიძემ მეტად კეთილშობილი სახე მისცა ოციანი წლების ისტორიულ დრამას.

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

ოიდიპოსის მითი, როგორც ვიცით, განუყოფელია ინცესტის ცოდვასთანაც. ამ მოტივთან დაკავშირებული ჩემი მოსაზრება თქვენ ასეთი არგუმენტით გსურთ გააბათილოთ: „ვაჟის თვალში ხატრფო დასაც შეიძლება დაუკავშირდეს და დედასაც, მაგრამ ასოციაციური კავშირი და სინამდვილე ერთი და იგივე ხომ არ არის, გინდაც მხატვრული ქმნილების პირობაზე ვთქვათ“.

პირველ ყოვლისა, ბატონო თენგიზ, „გინდაც მხატვრულ ქმნილებაზე“ კი არა, ჩვენ აქ მხოლოდ და მხოლოდ „მხატვრულ ქმნილებაზე“, კერძოდ, ლიტერატურულ ნაწარმოებზე გვაქვს ლაპარაკი, და, გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ისეთივე კავშირშია სინამდვილესთან, როგორც ღვინო — ყურძენთან. პირველი მეორისგან წარმოიშვება, მაგრამ მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანი სხვაობაცაა. მათი გაიგივება მეტად მცდარ დასკვნებთან მიგვიყვანს. თავის პირად განცდებში ადამიანს, რასაკვირველია, შეუძლია ხატრფო დას და დედას დაუკავშიროს, მაგრამ ლიტერატურაში და განსაკუთრებით სიმბოლისტურ ლიტერატურაში, ასეთი ასოციაციები გარკვეულ ესთეტიკურ პრინციპებს ექვემდებარება და მათი უგულებელყოფა არ შეიძლება.

„გველის პერანგში“ არჩიბალდი და მატასი და-ძმა არიან, როგორც სიმბოლურად, ისე გენეალოგიურადაც. თვით ვამეხი ეუბნება არჩილს: „ჩემი დაჲ თქვენი დაჲც არის“ (გვ. 168). ეს სიტყვები, ერთი მხრივ, რაინდული ზრდილობის გამომხატველია, მაგრამ მეორე მხრივ, მასში საიდუმლო, საკრალური მნიშვნელობა არის ჩაქსოვილი, ვინაიდან, სიმბოლისტურ მსოფლშეგრძნებაში თვით სიტყვებს აქვს მაგიური ძალა. ნათქვამი უკვე რეალობა ხდება. სწორედ ამიტომ ედება ტაბუ სხვადასხვა რელიგიებსა და ფოლკლორში ამა თუ იმ საგნების დასახელებას (გავიხსენოთ, მაგალითად, „უხსენებელის“ ცნება ქართულ ენაში). ვამეხის ფრაზაში არჩიბალდს გამოეცხადება ის ჭეშმარიტება, რომელსაც იგი მოგვიანებით გაიგებს, სახელდობრ, მისი და ვამეხის, როგორც მიწიერ, ისე მისტიკურ ძმობას. ეს კი მისი და მატასის მისტიკურ, მითიურ და-ძმობასაც ნიშნავს.

არჩილისა და ვამეხის ურთიერთობაში სიმბოლიზმი ეროვნულ ტრადიციასთანაც მჭიდრო კავშირშია. ეს ორი გმირი, მხოლოდ ძმები კი არა, ძმადნაფიცებიც არიან. ისინი ერთმანეთს ეძმნენ ხმლის ჩუქების საკრალური რიტუალით, რაც განსაკუთრებული კონოტაციებით არის დატვირთული. იგი გვაგონებს ცნობილ ხევსურულ ტრადიციას, რომელსაც რობაქიძე ძალზე კარგად იცნობდა. თუ არ ვცდები, ამ ტრადიციის მიხედვით, ძმადნაფიცებს არ შეუძლიათ ერთმანეთის დები შეირთონ, თუ ამაზე ხევისბერის სპეციალურ თანხმობას არ მიიღებენ. ეს აკრძალვა კი ინცესტის, თუნდაც მხოლოდ სიმბოლური ინცესტის, საშიშროებით არის გაპირობებული.

ვამეხი და მატასი დედით არიან და-ძმა, არჩილსა და ვამეხს კი ერთი მამა აკავშირებთ. ამიტომ, სამივე, ჩასახვისა და შობის საიდუმლოების თანახმად, ერთსადაიმავე სისხლს არიან ზიარებული. გარდა ამისა, პირველი წყვილის დედა შეყვარებული და მეუღლეა მეორე წყვილის მამისა. განა არ არის ეს მათი სიმბოლური და-ძმობის ნიშანი? უფრო მეტიც! მატასისა და არჩილის ქორწინებას ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ნებისმიერი მართლმადიდებლური ეკლესია აკრძალავდა, როგორც ინცესტურს და მის დასაშვებად კლერიკალური იერარქიის უმაღლესი დონის ჩარევა იქნებოდა საჭირო. მაშასადამე, რომანში არჩილი ოიდიპოსის ცოდვის ჩამდენი გმირია.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, განვიხილოთ ინცესტი, როგორც თავისთავად რთული მნიშვნელობის მომცველი მოტივი თვით მითოლოგიაში. იგი ცოდვასა და დანაშაულს უკავშირდება, ვინაიდან არღვევს გარკვეულ ტაბუს, გადადის იმ ზღვარს, რომელსაც საზოგადოება ამა თუ იმ მოქმედებას უდებს. თავდაპირველად, ეს ტაბუ მორალთან და ზნეობასთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ, ძალზე რეალურ ბიოლოგიურ საფრთხესთან. ინცესტი ფიზიკური გადაგვარებით ემუქრებოდა ადამიანს და ამიტომ, რაც უფრო მცირერიცხოვანი იყო ერი თუ თემი, მით უფრო მკაცრი იყო ინცესტის აღმნიშვნელი კანონები, ვინაიდან, მათთვის სისხლის აღრევის შედეგები უფრო გამანადგურებელი იქნებოდა. ასევე იყო საქართველოშიც. აი, სულ ცოტა ხნის წინათ, გაზეთ „კომუნისტში“ (29 იანვარი, 1990, გვ. 3), დაიბეჭდა მზია ბექაიას სტატია სათაურით, „ნათესავით ქართველი“, სადაც იგი წერს: „სხვადასხვა ხალხების უმეტესობამ, მათ შორის ქართველებმაც, თავიდანვე უარყვეს სისხლით ახლო ნათესავთა ქორწინება და გვარში ქორწინების აკრძალვის წესი დაიმკვიდრეს, საგულისხმოა, რომ ქრისტიანობაც კრძალავს ქორწინებას — ნათესავთა შვიდი თაობის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ, ამრიგად, შემდეგ თაობებში ქორწინება დაიშვებოდა, საქართველოში მაინც არ სარგებლობდნენ ამ უფლებით და გვარში ქორწინება, როგორც წესი, აკრძალული იყო“. რაღა უნდა ვთქვათ არჩილისა და მატასის ქორწინებაზე?!

ინცესტი, ეთიკის კანონების თანახმად, არის დაუფიქრებელი, ემოციური და ეგოისტური საქციელი. ინცესტის ჩამდენი არც ტრადიციას (ანუ წარსულს) სცნობს, არც შთამომავლობის (ანუ მომავლის) ბედზე ფიქრობს. იგი მხოლოდ დღევანდელი დღით არის დაკავებული, ესე იგი. ისტორიულსა და წარმავალს, პროფანულს და დროებითს აბსოლუტურ მნიშვნელობას აძლევს. მარადიულსა და საკრალურში კი აწმყო, წარსული და მომავალი ერთიანი და განუყოფელია. ის, ვინც ამ ჭეშმარიტებას ივიწყებს, დაისჯება, ამაშია მითოლოგიური მსოფლშეგრძნების მორალი.

ახლა ამ ცოდვის სიმბოლურ მნიშვნელობას მინდა შევეხო, რადგან, თქვენ მას ჩემთვის მოულოდნელი ინტერპრეტაცია მიეცით. თქვენ წერთ, რომ თუ არჩილი ოიდიპოსია, მაშ მას „უნდა შეეგნო თავისი საქციელის უზნეობა. მაგრამ ასე კი არის? არჩილ მაყაშვილი ვერ ხედავს რაიმე სერიოზულ მორალურ დაბრკოლებას მატასისთან შეუღლებისას“. რაც შეეხება „უზნეობას“, მომიტევეთ, მაგრამ ამგვარი ტერმინით, შეიძლება ვილაპარაკოთ საშუალო სკოლის მოსწავლის საქციელის შესახებ მშობელთა კრებაზე, მითოსურ არქეტიპზე დაფუძნებული ლიტერატურული გმირი კი სხვაგვარად განისჯება. არჩილმა იცის მატასი ვინ არის, მაგრამ, ჯერ არ ესმის, თუ რაში მდგომარეობს ამ შეუღლების ცოდვა, ვინაიდან რობაქიძე თავის. რომანს ამთავრებს მითიური სიუჟეტის იმ მომენტით, სადაც, ოიდიპოსის დანაშაული (პატრისიდი და ინცესტი) უკვე ჩადენილია, მაგრამ მისი შედეგი — შავი ჭირი თებეში — ჯერ არ დაწყებულა. როგორც ვიცით, ოიდიპოსს ოთხი შვილი მაინც ეყოლა, სანამ ეს მოხდებოდა. რომანის ეპილოგი უბედურების მომასწავებელი მრისხანე სიმბოლოთი (ცხედარი და ჩამავალი „მზის თასი“) მთავრდება; თვით ტრაგედია, სიუჟეტური ჩარჩოს გარე არის დატოვებული, მას მომავალი მოუტანს არჩილის სამშობლოს. მოუტანა კიდეც, განა არა?!

ჩვენი ქვეყნისა და ერის ბედილბალის ოიდიპოსის მითად წარმოდგენა, რასაკვირველია, შემაძრწუნებელია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მასში მონანიების და მიტევების მომენტიც იგულისხმება. ამის საწინდარი კი საკუთარი ცოდვის და შეცდომის აღიარებაა. აქ მინდა მოვიყვანო ციტატა ჩეხოსლოვაკიის ახლანდელი პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის სიტყვიდან, რომლითაც მან თავის თანამემამულეებს მიმართა: „ის უბედურება, რაც ჩვენს ქვეყანაში დატრიალდა, ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, ჩვენივე შექმნილია. უნდა გვეყოს სიმამაცე, ვაღიაროთ ეს ფაქტი, და ჩვენს თავზე ავიღოთ პასუხისმგებლობა. არას გვარგებს ვინმე გადამთიელების, თუ შორეული ნათესავების დადანაშაულება, ვინაიდან მათ კი არა, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს საკუთარ მომავალზე“.

ეს სიტყვები კეთილშობილი და ბრძნული სიტყვებია, ისევე როგორც, კეთილშობილი და ბრძნულია ის სახეები, რომელიც გ. რობაქიძემ გვიანდერძა. კარგი იქნება, თუ მწერალს მადლობით მოვიხსენიებთ, წარსულს გაკვეთილად გამოვიყენებთ და მომავლის წინ პასუხისმგებლობის გრძნობით მოვეკიდებით დღევანდელ საქმეს.

პატივისცემით,
**დოდონა კიზირია**

# იქნებ, ამიტომაც დამარცხდა განდეგილი?

„ოდესღაც ტაძარს იმ
გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია...“

მაინც ვინაა ეს ახალი ბერი, გაუქმებულ ბეთლემს რომ განაცხოველებს? ყველაფრიდან ჩანს, რომ ესაა ზეგარდამო მადლფენილი კაცი; არაა „უკანონო“ ვინმე, ან ხსნის გზის არჩევანში შემცდარი. მას ეს გზა რგებია, ოღონდ რაღაც კიდევაც ჰკლებია ისეთი, რამაც ბოლოს განუსიტყვებელი სიხარულის ნაცვლად (გავიხსენოთ შუშანიკის სიტყვები: „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამეჲ ესე“) უბედურის მჭმუნვარებამდე მიიყვანა. მართლაცდა, განდეგილის გაცნობისთანავე მკითხველს მისი პიროვნების მიმართ ერთგვარი ნაკლულევნების განცდა, „უმარილობის“ შეგრძნება ეუფლება, თუ არ ვცდებით, სწორედ ამ „ნაკლულევნების განცდამ“ „განდეგილის“ განმსჯელი კრიტიკული აზრი ბოლოს და ბოლოს ქრისტიანული მოძღვრების, კერძოდ, ასკეტური მსოფლმხედველობის ღრმა ანალიზამდე მიიყვანა. „განდეგილს“ ეწოდა რწმენის ტრაგედია, დაყუდებული ბერის დაცემა კი ან რწმენის ღალატმა განაპირობა (ა. ბაქრაძე), ან ქრისტიანულ რელიგიასთან შინაგანმა შეუთავსებლობამ (გ. კალანდარიშვილი). შესაძლოა, რწმენის ღალატი, მართლაც, „შეუთავსებლობის“, განდეგილის სხვაკაცობის შედეგია და არა ნებისყოფის სისუსტისა, მაგრამ სამონაზვნო დიდაქტიკა ალბათ არც „ქრისტიანულ რელიგიასთან შინაგან შეთავსებულობაში“ გამორიცხავს დაცემის შესაძლებლობას, ვინაიდან „ზეალმსრბოლთა დაცემაც და არა ქუენა-[illegible]“ (გრ. ნაზიანზელი). ასეა თუ [illegible] ქრისტიანული მოძღვრებით, [illegible] გილი ან დაეცემოდა, ან [illegible] ხოლო ილიას პოემაში ხა-[illegible] ასე (ან-ან) არ დგას, რა-[illegible]

[illegible] გვგონია, რომ ეს „ოდი[illegible] მეუდაბნოე“ ილიას თანა-[illegible] ვეა; საფიქრალია, „რომ [illegible] განდეგილის ცხოვრების [illegible] რისას მხედველობაში ჰყავს [illegible] ის დროინდელი მცველ-მახური ქრისტიანობისა, ე. ი. პატივაყრილი და დაწუნებული, ქართული ეკლესიის ბერ-მონაზონი (ალბათ ამგვარი ეკლესიის და მისთა მდგმურთა ცქერამაც შთააგონა ილიას „განდეგილი“); განდეგილი მარტოა, ტაძარი ღვთისა გაუქმებულა, უწინდელი მონაზვნური კრებული არსად ჩანს, უთქმელადაც ცხადია ქვეყნის სულიერი ცხოვრების, ზნეობის მოშლა, ერის დაცემა, შისი „ცოდვის სადგურად“ ქცევა. შეიძლება ითქვას, რომ ბეთლემელი მეუდაბნოე, ვითარცა დაცემული ერის შვილი, თავიდანვე დაცემულია და თუ იგი ვერ აღდგა და აღემართა, მხოლოდ იმიტომ, რომ მის მარტოდმყოფელობას რაღაც ჰკლებია საამისოდ. — იქნებ ისეთი რამ, რაც არაა საძიებელი მწყემსი ქალის სიმშვენიერით ძლევასა თუ ასკეტიკოსთა სიბრძნის ვერ დაძლევაში...

რა შეიძლებოდა ჰკლებოდა ბეთლემს „შეკედლებულის“ მოღვაწეობა-მოწამეობას ისეთი, რამაც ბოლოს, მწყემსი ქალი მოჰგვარა?.. განა საცდური აკლდათ განდეგილობა-დაყუდებულობის გზის მართლად გამვლევ ქართველ წმიდანებს? რით სხვაობს მათთან ბეთლემის მწირი? რამდენადაა იგი წინაპართა ღვთივსულიერი ტრადიციების მომძიებელ-გამგრძელებელი? რამდენად ეღის და განამზადებს ეს თითქოსდა ახალი ხუედიოსი თუ გაბრიელი სხვა გრიგოლ ხანძთელსა და ექვთიმე მთაწმიდელს! და მაშასადამე, რამდენადაა იგი ზიარებული ქართველ მოღვაწეთათვის მართლრწმენასთან განუყოფელ ეროვნულ იდეას, თუნდაც მცირედი ფიქრით და ლოცვით მაინც (იმ მოუკლებელ „სადღეღამოდან“), საამისოდ შინ და გარეთ „მტკიცედ და შეურყევლად დგომაზე“ რომ აღარაფერი ითქვას...

თითქოსდა ბეთლემს, ვითარცა სრულიად საქართველოს სულიერ, საღვთო სახლსა და ტაძარში დამკვიდრებული („ვით“) წმინდანი სხვანაირი არც უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

სათქმელი რომ უფრო ნათელი გახდეს, ორიოდე სიტყვით გავიხსენებთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გრიგოლ რობაქიძისეულ შეფასებას: „აქ არ არის მოცემული ჩვეული აღწერა ჩვეული წმიდანისა, საცა სიცოცხლე მლაშეა და წუთხე“; გრიგოლ ხანძთელისათვის „მიწა... არ არის „ბერწი“.

„მლაშე და წუთხე“ იგივეა, რაც „კუშტი და მწყრალი“; აქედანაც ჩანს, ილიასთან ჩვეული წმიდანის აღწერაა. განდეგილი კოსმოპოლიტი ბერია, სჯერა: „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას“, „ქვეყანა“ მისთვის უსაშველოდ დიდი და სხვაა, საყოველთაო წარსაწყმედელია, „დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცახა ღვთად მოუცია მარტო მამული“, და რაც არ უნდა მოვისურვოთ, იგი თავის სულის სიღრმეში ვერ მოიძიებს პიროვნული სრულყოფის გზით ეროვნული ხსნის იდეას...

და თუ ყოველივე ეს მართალია, რაც ზემოთ ითქვა, განდეგილს, ილიას დროინდელ „სულის კაცს“ მხოლოდ ილიასებურობა აკლდა ანუ საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული, — ზეცისა კაცობასთან ერთად მიწის, მამულის ანგელოსობა ჰკლებია, ურომლისოდაც ქართველი ერის შვილთათვის „ბეთლემს“ დაბინადრებულობა ოდენ სულის სიბერწე-უნაყოფობის, უმომავლობის დამადასტურებელიღა თუა, და ურომლისოდაც, — გვეუბნება ილია, — განდეგილისებრი ზეაღსვლა და ნათლის შედგომილებაც რომ მოვიპოვოთ, საბოლოოდ მაინც არ აგვცდება დაცემაც დიდ. ილიას არ სწამდა სულის ცხონება გარეშე ერის წყლულის წყლულად ჩნევისა (არც ვაჟას: „მწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა, კარგისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წყლულისა“). მწყემსი ქალის შეწუნარება და მისით „წარწყმედა“ მხოლოდ უბრალო რამ ხერხია მწერლისეული, განდეგილის ბერწი სულიერი მოღვაწეობა რომ წარმოაჩინოს. — ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველას „უღბლო იღბლიანში“ პირიქით, მოყვასის (უღბლო იღბლიანის) შეუწყნარებლობა და ბერის „წარუწყმედლობა“. სასოცარი ანალოგია და აზრთამთხვევა იკითხება ვაჟას პოემაში, და, რაც მთავარია, იქ დაყუდებულის „სიფხიზლე-წარუწყმედლობა“ იმასვე ღაღადებს, რასაც განდეგილის დაცემაც დიდ.

●

ალბათ აქსიომაა და მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ქართული მწერლობა, „შუშანიკის წამებიდან“ მოაქუამამდე (შეძლებისდაგვარად!) ბუნებით ქრისტიანი ქართული სულის მოძრაობის, გნებავთ რელიგიური აზროვნების ცვალებადობის ამსახველია ჩვენს უკვდავ სულში. ვფიქრობთ, ჩვენი უახლოესი „სამზერიდან“ „განდეგილის“ ადგილს ამ ათასწუთასწლოვან მოკარვეობაში კარგად გამოაჩინებს ისევ გრიგოლ რობაქიძის ერთი თქმა: „არ გვინდა სხვა ჯვარი ბერწების!“.. ერთი მწვერვალიდან კარგად მოჩანს მეორე.

ერთი კითხვაც ისმის: მაშ რა ჯვარმა, რა სულიერი ტრადიციების მიმდევრობამ შეაძლებინა ლოცვანის სხივზე დამყრდნობელს ესოდენი გალაღება სულისა? მაინც და მაინც ზოგადქრისტიანულის? იქნებ „ერთმორწმუნულ“ — ჩრდილოურის? რა ბალასტი მოსდებოდა მწირის სულს, ვინ იცის... ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ეს სულიერი ფესვი ჩვენი ბერისათვის ბერწი და უნაყოფო გამოდგა (არ გვინდა სხვა ჯვარი ბერწული!) და მწყემსი ქალიც აუცილებლად უნდა მოსულიყო...

საბოლოოდ კი ვიხილეთ ილიას შემდგომი ბეთლემის, იქნებ (ღმერთმა ნუ ქნას!) სრულიად საქართველოს სავალალო სურათი.

ჭეშმარიტად „განდეგილი“ ქართლის ბედის სიმბოლურ-წინასწარმეტყველური ასახვაა... ილიას შემდგომი საქართველოც ისე მცირე ხანს ეყრდნობოდა თავისუფლების მზის სხივს! — ეს კი ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ საქართველოს უკვდავმა სულმა — ბეთლემმა და შესაბამისად ქართულმა ეკლესიამ მაშინ, — იმ თავისუფლებაშიც, — ვერ შეძლო ბოლომდე დაეღწია თავი „ერთმორწმუნული“ ჩრდილისაგან და განესაზღვრა საკუთარი სახე და თვითმყოფობა. ამის დასტურად, და დასტურად იმისა, თუ როგორ განცხადდა ილიას წინასწარმეტყველება, მოვუსმინოთ რჯულმამულისათვის წამებულ კათალიკოსს: „...საქმე იმაშია, რომ საკათალიკოსო საბჭოს უნდოდა რეფორმების შემოღება ეროვნულ ნიადაგზე, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ხოლო „მოწინავე“ სამღვდელოების წრე, რომელსაც შეერჩია მოქმედების ასპარეზი, ფიქრობდნენ რეფორმების მოხდენას რუსეთის ეკლესიის ტრაფარეტით, იმ მიზნით, რათა საქართველოს ეკლესია გაებათ მონობის უღელში, დაემორჩილებინათ ისევ რუსეთის ეკლესიისათვის“ (ამბროსი ხელაია, „მე შევასრულე ჩემი მოვალეობა“). საინტერესოა, რით ასაბუთებდა თავის განზრახვას რელიგიური რუსიზმით შეპყრობილი „მოწინავე“ სამღვდელოება? ეტყობა იგი ამჯერადაც შესანიშნავად ინილბებოდა მსოფლიო მართლმადიდებლური ერთიანობის დოგმისადმი „ერთგულებით“.

რა განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკურ სვიანობას? „აწ ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესე შევაზავნეთ ურთიერთას“. — იტყვის „აზნაური მეფისაჲ“ ხანძთის მაშენებელს. დავანებოთ თავი დროს და გარემოებას, უფლისაგან ყოველივე შესაძლებელ არს თუ ინებებს, — იქნებ მხოლოდ იმიტომ იძლია საქართველო, რომ სულიერ და ხორციელ კეთილთა ურთიერთშეზავებულობა აკლდა მას? კირით შეთხზნილი ქართული ფრესკასულიდან ერთი-ორი თავდადებულის და თვით კათალიკოსის გამონათებამ ბეთლემი ვეღარ აბეთლემეს. გადასხვაფერებულმა ბეთლემმა ისევე გამოისტუმრა ღვთის კარზე მისული ილიასეული, მამულენასარწმუნოებით ერთიანი და თავისთავადი, დიდი მომავლის საქართველო, როგორც ვაჟას მწირმა — ზღვისგან ნათრევი და გამორიყული საბრალო უიღბლო იღბლიანი.

დღეს ჩვენში ქრისტეს წმიდა სარწმუნოება კვლავ ძალას იკრებს, „სულის კაცი“ ისევ ბინადრდება „ბეთლემს“. აკლია თუ არა მას ილიასებური მიზანდასახულობა — მშობელ მიწაში ჩაფესვილობა ანუ ქუეყანისა ანგელოსობა, ამას დრო გამოაჩენს... და საქართველოს მომავალი.

**ზელიმხან უძილაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სული ბოროტი — ქართულ გენში გაცხადებული

ზურაბ ტატიშვილი

უდავო ჭეშმარიტებაა — თუ ადამიანი აბსოლუტურად არ განთავისუფლდა პიროვნულად, ვერ მიაღწევს სულიერ სრულყოფილებას.

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ პიროვნული თავისუფლება წარმოუდგენელია ეროვნული თავისუფლების გარეშე. მეორე ათასწლეულის მიწურულის, XX საუკუნის კაცობრიობის ცხოვრება უძლავრესი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობით აღინიშნა, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობამ გაუცნობიერებლად, მაგრამ ადამიანის პიროვნული განთავისუფლებისაკენ სწრაფვით მაინც გადადგა ნაბიჯი სულიერი ზეობისაკენ, რის გარეშეც იგი თავს ვერ დაიხსნის კარს მომდგარი საყოველთაო ატომური თუ ეკოლოგიური კატასტროფისაგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველი ერი, რომელიც დღეს თავისუფლებისათვის იბრძვის, კაცობრიობის გადარჩენისთვისაც იბრძვის.

ყოველი ძალა, რომელიც ხელს უშლის ერების თვითგამორკვევასა და გათავისუფლებას, კაცობრიობის აღსასრულს აახლოებს.

თავისუფლებისთვის იბრძვის ქართველი ერიც. ამგვარ ეროვნულ მოძრაობას ერთიანი ეროვნული თვითშეგნება და ერთიანი ეროვნული ცნობიერება უნდა წარმართავდეს, რომლებიც, თავის მხრივ, ერის ისტორიულ გამოცდილებასა და ცოდნას უნდა დაეყრდნოს და ერის ცხოვრების ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვანი ფაქტისადმი, მოვლენისადმი საერთოეროვნულ დამოკიდებულებაში გამოიხატოს. არის კი ეს ასე? სამწუხაროდ — არა. იქნებ ვინმე შემედავოს — დღეს ერი ერთიანია ისე, როგორც არასდროს და მიზანიც ყველასთვის ცხადზე უცხადესიაო, ამის მაგალითად კი 1988 წლის ნოემბრისა და 1989 წლის აპრილის მოვლენები შემახსენოს. ამგვარ აქციებს შეიძლება ესა თუ ის წარმატებაც მოჰყვეს, მაგრამ საკმარისია ერი მიუბრუნდეს თავის საშინაო პრობლემებს, — აქ უმოქმედო ხდება ეროვნული თვითდაცვის ინსტინქტი, რომელიც ხალხს კრავს და აერთიანებს გარეშე ძალების წინააღმდეგ, — რომ გამოჩნდეს სრული ქაოსი ეროვნულ აზროვნებაში. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველა ერთნაირად აზროვნებდეს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ: ერის ცხოვრების ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვანი ფაქტისადმი საერთო სახალხო დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ ცალსახა უნდა იყოს. სადღეისოდ ერთიანი ეროვნული ცნობიერების არარსებობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი „სტალინისტია", მეორე ნაწილი კი — სამწუხაროდ, შედარებით მცირე — „ანტისტალინისტი", რაც მათი პოლიტიკური მრწამსისა და, აქედან გამომდინარე, სასვალით მიზნების სრულ სხვადასხვაობაზე ლაპარაკობს. უფალმა ინებოს, რომ მალე ვიზეიმოთ ყოველი ქართველისათვის სანუკვარი ოცნების — ჩვენი სამშობლოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღსრულება, მაგრამ თვით ამ გზაზეც და მიზნის მიღწევის შემდეგაც ერის კონსოლიდაციისა (ნურავინ იფიქრებს, რომ თავისუფალ ერს არ სჭირდება კონსოლიდაცია!) და ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეს წინ აღუდგება სტალინის ვერაგი სახება. უფრო სწორედ, ეს პროცესი უკვე დაიწყო. როდის? აპრილის დღეებს გაგახსენებთ. აზვირთებულია დედაქალაქი, გაიფიცა თბილისის თითქმის ყველა საწარმო, თბილისისაკენ მიემართებიან გაფიცულები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. ბევრს შეიძლება ბოლომდე არც კი აქვს გააზრებული შექმნილი ვითარება, ზოგი შეიძლება არც ეთანხმება მომიტინგეთა ამა თუ იმ ლოზუნგს, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ ახლა დროს ერთად ყოფნაა საჭირო და, მოემართებიან, მოემართებიან კახეთიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, ფეხით, მანქანებით, მატარებლით. გორელი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს, როცა მათ თბილისისკენ გადაწყვიტეს გამომგზავრება, ადგილობრივმა ხელისუფლებმა თურმე ყოვლად უზნეო ულტიმატუმი წაუყენეს: ან უარს იტყვით ამ აქციებში მონაწილეობაზე, ან უკან მობრუნებულებს სტალინის ძეგლი აღარ დაგხვდებათო, — მისი ალებით დაემუქრნენ. მაშინ მუქარამ გაჭრა თუ არა, ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ იგივე ულტიმატუმი ხვალ შეიძლება მთელ ერს წაუყენონ და ნურავინ მეტყვის გადაჭრით, რომ ერი მაინცდამაინც სტალინის ძეგლს შეელევაო.

უბრალო ქართველ კაცს ვერ დაადანაშაულებ, მას გულუბრყვილოდ სჯერა ბელადისა და მისი ნამოღვაწარის სისწორისა. მბრძანებლობით-ადმინისტრაციული მეთოდების მოტრფიალე არაერთ სხვადასხვა რანგის ფუნქციონერსაც ვერ წამოაცდენინებ მასზე აუგს, პირიქით, გულში იმ დროს მისტირიან და უსაქმურობით გაფუმფულებულ, ნაზ და მოვლილ ხელებზე უმალ სტალინური წრთობის ფოლადის ჭანგებს გამოისხამენ, თუკი ამისი საშუალება მიეცათ. „სტალინური რეჟიმითა" და „სტალინური იდეოლოგიის" (მის საბოლოო უარყოფას კიდევ დიდი დრო დასჭირდება) წნეხით სულიერად დათრგუნვილი ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის ძახილი კი პირველთა გულსა და გონებას ვერ წვდება, მეორეთ კი — მხოლოდ აღიზიანებთ.

არადა, ეგრეთ წოდებული „სტალინის ფენომენისადმი" საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიქმნას საერთო ეროვნული აზრი. ეს აუცილებელია დღევანდელი საქართველოსთვის, ეს აუცილებელია ხვალინდელი საქართველოსთვის.

გადაჭრით უნდა ითქვას — სტალინის ფენომენის ქართული ეროვნულობით ახსნა სიბეცეა, რადგან ამა თუ იმ პიროვნების ესა თუ ის ნაკლი ან ღირსება მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს ეროვნულად, თუკი იგი ნიშანდობლივია ერის ისტორიული ცხოვრებისათვის, ისტორიულად ჩამოყალიბებული მისი ეროვნული ხასიათისათვის.

თუკი მარტივად და ზოგადად გამოვხატავთ იმ ბრალდებებს, რასაც მას საკავშირო პრესა თუ ტელევიზია უყენებს, სტალინი არაადამიანურობისა და გულბოროტობის განსახიერებაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველი ერიც ასეთად უნდა მივიჩნიოთ. არის ეს ასე?! ვაგლახ, რომ ქართველთა მთელი ისტორია სხვა ერებისადმი გულმოწყალეობისა და შემწყნარებლობის იშვიათი საკაცობრიო ნიმუშია. ჩვენ ამგვარი დამოკიდებულების ბევრზე ბევრი საერთოეროვნული თუ კონკრეტულ-პიროვნული მაგალითის გახსენება შეგვიძლია. (ჩვენი ისტორიული დამოკიდებულება თუნდაც ებრაელებისადმი, საქართველოში მცხოვრები სხვა და მეზობელი ერებისადმი. კონკრეტულ მაგალითებს კი რა ჩამოთვლის). ვაგლახ-მეთქი, ვთქვი, რადგან ჩვენი სხვათადმი ამგვარი დამოკიდებულება ყოველთვის როდი გვიბრუნდებოდა და გვიბრუნდება შესაფერისადვე.

მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს, ეს ცალკე მსჯელობის საგანია.

დიახ, იმის თქმა მინდოდა, რომ „სტალინის ფენომენს" მისი ქართველობით ვერ ავხსნით, რადგან ქართველობა, ღვთის წყალობით, ათასწლეულებგამოვლილი ერია და ერისთვის სისასტიკისა და ბოროტების იარლიყის მიწებება მკრეხელობაა. ერი არ შეიძლება იყოს ბოროტი ან კეთილი. ყოველი ერის საკაცობრიო დანიშნულებაა იყოს ჰარმონიული, განსხვავებული ნაწილი მთელისა, რასაც ადამიანთა მოდგმა ჰქვია. ერის ცხოვრების გზა არის გზა ეროვნული სრულყოფილებისაკენ სწრაფვისა, ხოლო მიზანი — ერის შვილების საკაცობრიო, უზენაესი იდეალების ზიარება, რადგან ყოველი ერი თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე აღწევს საკაცობრიო, შემდგომ კი სამყაროებრივი მასშტაბების აზროვნებას. მხოლოდ ეროვნული ცნობიერების მეოხებით თუ მიაღწევს ადამიანი სამყაროებრივად მისაღწევის განკუთვნილ აბსოლუტურ შინაარსს.

ერი ადამიანის სულის აკვანია, მხოლოდ ერის წიაღშია შესაძლებელი ადამიანის სრული ჰუმანიზაცია.

თუკი გვსურს ერთი სიტყვით გამოვხატოთ ყოველი ერისთვის საერთო, ერთი რომელიმე დამახასიათებელი ნიშანი, უნდა ვთქვათ, რომ ყოველი ერი შემოქმედია.

ხდება ხოლმე — ამა თუ იმ ერსა თუ ქვეყანას ვინმე „გულბოროტი" დაეპატრონება და დაღუპვით ემუქრება სხვასაც და თავისიანსაც, მაგრამ ამაში ერის დადანაშაულება სრულიად შეუწყნარებელია.

პოეტისა და სატანას გაჩენაში ხომ სხვადასხვა ძალები მონაწილეობენ.

პოეტის გაჩენაში ღვთის ხელი ურევია, გაზრდით კი ერი ზრდის. იუდასა და არაკაცს ჯერ არ დაუსახელებია სულიერი მშობელი და ხელდამხხმელი, მაგრამ მასაც ერი ზრდის, მასშიც მეტ-ნაკლებად მჟღავნდება ესა თუ ის ეროვნული თვისება.

ბოროტება და სისასტიკე თუ არაეროვნულია, რა შეიძლება ჩაითვალოს ერების შედარებით განმასხვავებელ ნიშნებად? ალბათ, შრომისმოყვარეობა, გონიერება, ტემპერამენტი, სიდარბაისლე თუ ჭკუის სიმჩატე, გარეგნული მშვენიერება... რადგან ამ და ზოგი სხვა ნიშნების მიხედვით ერები მართლაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ილიას და სტალინს ერთნაირი ეროვნული ნიშნები ახასიათებდათ, მაგრამ სულმნათი ილია თუ ცით იყო მოვლენილი, სტალინი ქვესკნელიდან იყო ამოხეთქილი. დიახ, ილიაცა და სტალინიც გონიერებით, დასახული მიზნისკენ უდრეკი სწრაფვით, შრომისმოყვარეობით ქართული ხასიათის მატარებელნი არიან, ხოლო ის, რამაც განსაზღვრა მათი ეროვნული თუ საკაცობრიო ადგილი არაეროვნულია და ღვთიურსა და ეშმაკისეულშია საძიებელი. სტალინი იყო სული ბოროტი — ქართულ გენში გაცხადებული. სალხმა მას სამართლიანად შეარქვა „ბოროტი გენია".

ცენტრალური პრესისაგან განსხვავებით და ჩვენი ერისადმი წაყენებული მისი ბრალდების საწინააღმდეგოდ ჩვენ — ქართველები სტალინს სოციალურ მოვლენად, ანდა თავისი დროის პროდუქტად ვაცხადებთ, რაც საბოლოო ჯამში ერთი და იგივეა და [illegible] ასევე არასწორად მიმაჩნია. [illegible] ამ აზრით, სტალინი მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური [illegible] ვლენაა.

გაზეთ „მამულის" მეორე ნომერში დაბეჭდილ ოპუსში — „იოსებ ლენინის ძე... სტალინი" ვკითხულობთ:

„არ იქნებოდა სტალინი? — იქნებოდა ტროცკი.

არ იქნებოდა ტროცკი? — იქნებოდა ბუხარინი.

არ იქნებოდა ბუხარინი? — იქნებოდა ზინოვიევი.

არ იქნებოდა ზინოვიევი? — იქნებოდა კამენევი.

არ იქნებოდა კამენევი? — იქნებოდა რიკოვი...

და ის, ვინც იქნებოდა, იქნებოდა... სტალინი, ოღონდ ერქმეოდა მას ან ტროცკი, ან ბუხარინი, ან ზინოვიევი, ან კამენევი, ან რიკოვი..."

იქნებ არც ღირდა ამ პუბლიკაციაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ამგვარად ძალზე ბევრი ფიქრობს. გულწრფელად გეტყვით, სტალინი ისეთ არარაობადაა წარმოდგენილი, რომ ამ სტრიქონების წაკითხვისას ლამის შემეცოდა კაცი, რომლის დანახვაზეც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ისე დაფეთებული წამოვარდებოდა ხოლმე ადგილიდან, როგორც დაწყებითი კლასის მოსწავლე სკოლის დირექტორის გამოჩენისას.

რომ არ ყოფილიყოო?

იყო!

და რომ იყო, სწორედ იმიტომ ვერ იქნებოდა ვერც ტროცკი, ვერც ბუხარინი, ვერც ზინოვიევი, ვერც კამენევი, ვერც რიკოვი და ვერც ვინმე სხვა.

და რომც ყოფილიყო რომელიმე მათგანი, მაშინ, ვფიქრობ, დღემდე აღარ იარსებებდა საბჭოთა კავშირი, ჯერ კიდევ გუშინდლამდე კაცობრიობის თვალში ყოვლად სამარცხვინო მოდელი სახელმწიფოსი. სწორედ სტალინის ტიტანური შინაგანი ენერგიისა და რკინის მარწუხივით ხელის წყალობაა, რომ ეს ადამიანურობისა და ჰუმანურობის აბუჩად ამგდები სახელმწიფო ბოლო დრომდე ინერციით მოგორავს და მისი „Перестройка" სულაც არ გამოდგა „постройка"-ზე უფრო იოლი.

სტალინი ისეთი შინაგანი ენერგიის მოვლენაა, რომ მისი ფენომენის სოციალურ ნაყოფად გამოცხადება მისი პიროვნების შეუფასებლობად და, ამავე დროს, შეცდომად მიმაჩნია. იგი აკი თავად იყო ახალი სოციალური და პოლიტიკური ყოფისა და რაობის ერთ-ერთი შემქმნელი და უპირველესი დამამკვიდრებელი. მაშ, როგორ შეიძლებოდა, შემოქმედი ყოფილიყო ნაყოფი საკუთარივე შემოქმედებისა. ამხელა სატანური ძალის პიროვნება აუცილებლად ცდილობს არსებული სოციალური (თუ სხვა) გარემოს რღვევას და ახლის შექმნას (სხვებთან ერთად ან მარტო), რომელშიც შემდგომ თავადვე უნდა გაბატონდეს. აკი ასეც მოხდა.

ქართველ ერს არ უნდა ეშინოდეს მისი ქართული წარმომავლობის (რასაც, სხვათაშორის, თავად უარყოფდა) და არც არავის წინაშე უნდა გრძნობდეს თავს დამნაშავედ. გერმანელ ერზე მხოლოდ ჰიტლერის მიხედვით თავის წარმოდგენას ყოვლად უვიცი და ბრიყვი თუ შეიქმნის. აბა, სად უნდა მოეძებნა ბოროტ სულს უკეთესი ნიადაგი განსხეულებისა და სრულყოფისათვის, თუ არა გოეთეს, ჰეგელისა და ბეთჰოვენის გენსა და მოდგმაში. საუბედუროდ ასე ხდება, რაც უფრო ნიჭიერია ერი, მასში კეთილიც მეტად იჩენს თავს და რადგან კეთილს გზას ყოველთვის ბოროტი ულობავს, ეს ბოროტიც სრულყოფილი უნდა „გამოზარდოს" ქვეყანამ. დიახ, სტალინი ვერ გაიზრდებოდა ნამიბიასა თუ ბარბადოსაში, ამჯერად სატანამ იმ მიწაზე აიდგა ფეხი, რომელმაც შვა აღმაშენებელი, რუსთაველი, ქეთევან წამებული, გურამიშვილი, სულმნათი ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ფიროსმანი და ვინ იცის კიდევ რამდენი ვინმე, კაცობრიობის მშვენებად რომ იქცნენ.

სტალინის ფენომენზე მსჯელობისას უფრო გულდამშვიდებულნი და მოზომილნი უნდა ვიყოთ თვით ქართველები, რადგან მისმა სიძულვილმა შეიძლება უნებლიედ ისეთი რამ წამოგვაცდენოს, რაც შეურაცხყოფს მთლიანად ერს და რაც იმეორებს უცხოთაგან ჩვენთვის წაყენებულ ბრალდებებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს გაზეთ „თბილისის" 1989 წლის 15 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ნოდარ კობერიძის წერილი „ბედისწერა საქართველოსი?". კერძოდ, წერილის ის ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „ქართველ კაცს, რომელსაც ნიჭიერება მართლაც აქვს მომადლებული, ყოველთვის ჰყავდა შეჩენილი ეშმაკისეული. ამიტომაცაა ჩვენი ისტორია ვულკანის კრატერივით მოთუხთუხე, მათემატიკური სიზუსტით შეგვიძლია განვსაზღვროთ, როდის იძალა ჩვენში ეშმაკისეულმა და როდის ვერა". და კიდევ „ჩვენი გაგებით, ქართველი კაცი — მსოფლიოს მბრძანებელი! როგორ ელის. რა მაღამოსავით ეცხება განდიდების მანიით შეპყრობილ, პატივმოყვარეობით აძგერებულ გულს! აი, ესაა ჩვენი ტრაგედია და ერთგვარი ბედისწერაც".

თუმცა სტალინის ეშმაკისეული წარმოშობის შესახებ ჩვენი მოსაზრებები ემთხვევა, მე ვერაფრით დავეთანხმები ბატონ ნოდარს იმაში, რომ „ქართველ კაცს ყოველთვის ჰყავდა შეჩენილი ეშმაკისეული". ეს აზრი, ვფიქრობ უნებურად, საფუძველს უქმნის იმ ბრალდებას, რასაც ქართველთა მოძულენი ჩვენ ერს უყენებენ, ცდილობენ რა სტალინის სატანური ფენომენის მისი ქართველობით ახსნას. „თბილისში" გამოქვეყნებული წერილის ავტორიც აკი ქართული სულიერი ცხოვრების ისტორიულ ავანსცენაზე პროტაგონისტის როლში სწორედ ეშმაკისეულს წარმოგვიდგენს! და თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად კანონზომიერია, რომ ამისთანა ერს ეშვა სტალინისთანა ანტიქრისტე.

არა და არა! ქართველ კაცში ეშმაკისეული მხოლოდ იმდენია, რამდენიც საზოგადოდ ადამიანში. ეშმაკისეული ქართველი კაცის ხვედრი კი არ არის, არამედ — საერთოდ ადამიანისა. ქართველის და, რაღა თქმა უნდა, საერთოდ ადამიანის ხვედრია მასში ღვთიურის არსებობაც. საქმე ისაა, ერის ცხოვრებაში ერთიცა და მეორეც როგორ და რა ძალით იჩენს თავს. თუ ჩვენი ისტორიის კულისებში აქა-იქ გაკუსულან მოღალატეთა და ორგულთა ავადსახსენებელი სილუეტები, ამავე ისტორიიდან შთამომავლობას, დღევანდელ ახალგაზრდობას შუბლგახსნილი დამყურებენ და სულიერი სისპეტაკისა და ერისა და ღვთისმსახურების უგამოჩინებულეს მაგალითებს უჩვენებენ სანთლებივით დაღეული და ფრესკებად ქცეული საეკლესიო მოღვაწეები, ერის სულიერი მამები, მეფენი და მეომარნი, მწიგნობარნი? მოქმედნი და კირითხურონი, ათასი ხელობის ოსტატი თუ შეგირდი. დაგვყურებენ და გვმოძღვრავენ; გვმოძღვრავენ და არცთუ უშედეგოდ. რით ვერ არიან მირიან მეფისა და გორგასლის, აღმაშენებლისა და თამარის, გიორგი ბრწყინვალისა და დიმიტრი თავდადებულის, ქეთევან წამებულისა და ცოტნე დადიანის, თევდორე ხუცის, ჩოლოყაშვილების, ხერხეულიძეების, არაგველების, ცურტაველის, რუსთაველის, ილიას, დიმიტრი ყიფიანის და კიდევ მრავალი სახელიანი თუ უსახელო გმირის ღირსეული შთამომავლები: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თამარაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ფორე მოსულიშვილი და პროფესორი ყორღანია, გრიგოლ ფერაძე, ის ათი ათასი ქართველი, 9 აპრილის ალიონზე სწორედ ღვთისა და სიმართლის რწმენამ სანთლებით ხელში უშიშრად რომ დააყენა, მართლაც და, „ვულკანის კრატერივით მოთუხთუხე" სატანური ძალების პირისპირ. ეშმაკისეული ვერ იქნებოდა ვერც იმ ახალგაზრდების წინაპრების მუდმივი თანამდევი, რომელთაც ქართველების სისხლმოწყურებულ აფხაზებს, — ამჯერად უკვე თავად სასიკვდილოდ განწირულებს, — საკუთარი სისხლი გადაუსხეს; ვერც იმ უკვე ვაჟმოზდილი და შინ მომავალი ქარ-

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

თველი ჭარისკაცისა, რომელმაც 9 აპრილიდან სულ ცოტა ხნის გასვლის შემდეგ რუსეთში მომხდარი სარკინიგზო კატასტროფის დროს არაერთი რუსი ბავშვი და ქალი გამოარიდა უცაბედად თავსდატეხილ გეენას: სანამ ფეხზე დგომა შეეძლო და სანამ თავადაც თითქმის მთლიანად არ დაიწვა, იბრძოლა იმათი სიცოცხლის გადასარჩენად, ვისმა ძმებმაც და შვილებმაც აქ, თბილისში, საკუთარ სახლში ამოგვიხოცეს სრულიად უდანაშაულო დედები და ქალიშვილები. რით ვერ გამოდგებოდა ზემოთ ნახსენებ ქართველთა (და არა მხოლოდ მათი, ისინი იმდენი არიან, რომ ყველას აქ ვერც გავიხსენებთ) ცხოვრება ქრისტესმიერი კაცთმოყვარეობის უბრწყინვალეს მაგალითებად. ამიტომ იმის განცხადება, რომ „ქართველ კაცს, რომელსაც ნიჭიერება მართლაც აქვს მომადლებული, ყოველთვის ჰყავდა შეჩენილი ეშმაკისეული... მათემატიკური სიზუსტით შეგვიძლია განვსაზღვროთ, როდის იძალა ჩვენში ეშმაკისეულმა და როდის ვერა“ — დაუფიქრებელ განცხადებად მიმაჩნია. ვიმეორებ, ქართველ კაცში ეშმაკისეული მხოლოდ იმდენია, რამდენიც საზოგადოდ ადამიანში, მაგრამ, ამავე დროს, ქართველი ერის სულიერი რაობის განმსაზღვრელი ყოველთვის იყო და მომავალშიც უნდა იყოს ღვთიური და ცალკეული გამონაკლისების მოჩხრეკა მხოლოდ ერის სულიერების არასწორ შეფასებამდე მიგვიყვანს. სწორედ ქართველ კაცში გაბატონებული ღვთიური საწყისია იმის მიზეზი, რომ საქართველოს ისტორია, ქრისტეს აქეთ, ღვთისმსახურებისა და ღვთიურისათვის თავგანწირვის ისტორიაა. სწორედ ამან აქცია ქართველი კაცი და საქართველო ქრისტიანობის აუღებელ ფორპოსტად აღმოსავლეთში. ეშმაკისეული, როგორც ანგარიშგასაწევი ძალა ქართულ სულთან მიმართებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ გარეშე ძალებში განსხეულდა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ებრძოდნენ და მოსპობით ემუქრებოდნენ ქართულ გენს, და ამ გენის სულიერ სუბსტანციას — ღმერთს.

მეორე შემთხვევაში ბატონი ნოდარ კობერიძე ქართველი ხალხის პატივმოყვარეობასა და განდიდების მანიაზე ამახვილებს ყურადღებას. შეგახსენებთ: „ჩვენი გაგებით, ქართველი კაცი — მსოფლიოს მბრძანებელი! როგორ ჟღერს. რა მალამოსავით ეცხება განდიდების მანიით შეპყრობილ, პატივმოყვარეობით აძგერებულ გულს! აი, ესაა ჩვენი ტრაგედია და ერთგვარი ბედისწერაც“.

ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათის ესა თუ ის ძირითადი თვისება ამ ხალხების შორეულ წარსულში იღებს სათავეს და მათი ხანგრძლივი, ისტორიული ცხოვრების მანძილზე ყალიბდება. ჰქონდა საფუძველი „პატივმოყვარეობას“, რომ ქართველი კაცის ეროვნულ ხასიათად ჩამოყალიბებულიყო? საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მისი ჭირვარამით სავსე ცხოვრება სწორედ რომ საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ვინ არის პატივმოყვარე? — ის, ვისაც პატივი, დიდება უყვარს; განდიდების მოყვარული (ქ. ე. გ. ლ.) საქართველოში ისტორიულად თუ იყო ისეთი პირობები, რომ ქართველ კაცში ხასიათის ეს თვისება გაჩენილიყო. პატივმოყვარედ კაცს მშვიდი, აწყობილი, უზრუნველი და შეძლებული ცხოვრება სდის. იცხოვრა კი ქართველმა კაცმა ასე? საქართველოს ბედუკუღმართობის გამო ხშირად თვით ქართველი მეფეებიც ვერ იცლიდნენ, რათა საკუთარ თავში ეს თვისება აღმოეჩინათ.

იქნებ ვინმემ შემახსენოს, ძველთ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ ქართველთა შესახებ — დიდების მოყვარენიო. მაშინ მე ვთხოვდი მათ, წაეკითხათ თუ რა წერია „დიდების მოყვარენის“ წინ. წერია — თავხედნიო. ვართ? დავუჯეროთ? უფრო წინ: „სიკეთის დამხწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი“. მაშ რომელნი ვყოფილვართ: ერთდროულად ხომ ვერ ვიქნებოდით თავხედებიც და „სირცხვილის მდევარნიც“. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველობაშიც, ისევე, როგორც ყველა სხვა ერში, ათასი ჯურისა და ზნეობის ადამიანები ერია და ურევია დღესაც. მაგრამ ხასიათის რომელიმე თვისების ეროვნულ რანგში აყვანა ხელაღებით როდი შეიძლება.

ჩემი აზრით, ხასიათის ერთ-ერთი ის ნიშანი, რომლის განზოგადება და მისადაგებაც შეიძლება ქართველი ერისთვის, არის თავმოყვარეობა — საკუთარი ღირსების გრძნობა, რაც ქართველ კაცს ყოველთვის ჰქონდა და ნურც დააკარგვინოს ღმერთმა. რა უწყობდა ხელს ისტორიულად ქართველ კაცში ხასიათის ამ ნიშნის ჩამოყალიბებას: — რა თქმა უნდა, განუწყვეტელი ბრძოლა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ორი ყველაზე დიდი მცნებისათვის, რაც უნდა ასულდგმულებდეს ყოველ ნორმალურ ადამიანს. და სრულებით კანონზომიერია, რომ ამ ორი სალოცავის დიდი საზღაურის ფასად დაცვისა და გადარჩენის შემდეგ ქართულ ეროვნულ ხასიათში სრულიად სამართლიანად გაჩნდა ეროვნული თუ პიროვნული ღირსების გრძნობა. თუ დღეს ქართველი კაცი ვინმეს სხვაზე მეტად თავმოყვარე ეჩვენება, ესეც გასაგები უნდა იყოს, რადგან მან შედარებით მეტი გაიღო მამულისა და სარწმუნოების შესანარჩუნებლად.

ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ სტალინისადმი ქართველთა დიდი ნაწილის დამოკიდებულებას პატივმოყვარეობა კი არ უდევს საფუძვლად, არამედ თავმოყვარეობა. დიახ, სწორედ თავმოყვარეობა. ორი საუკუნის მანძილზე რუსეთის იმპერიის მიერ პატივაყრილმა და ღირსებაშელახულმა, ყოველგვარ ეროვნულშეგინებულმა ქართველობამ შეიყვარა იგი, როგორც ქართველი, მისთვის საძულველი იმპერიის სათავესთან მდგომი. ამით თითქოს ქართველმა კაცმა აღიდგინა ღირსება, დანარჩენ მსოფლიოს, რომელთანაც სხვათა დაუხმარებლად საუკუნეების მანძილზე მშვენივრად აჩერხებდა ურთიერთობას, მიაწვდინა ხმა, რომ იგი ცოცხალია, რომ იგი არსებობს. ამ ორი საუკუნის მანძილზე კი სულ იმას გვიჩიჩინებდნენ ყოველგვარ ფუნქციაწართმეულ ქართველობას, რომ რუსეთი და რუსული ენაა ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობის, მსოფლიო კულტურასთან ზიარების ერთადერთი საშუალება და ყოველმხრივ ცდილობდნენ რუსეთისა და რუსულის ნაწილად ჩვენს გასაღებას (ქართველი მეცნიერების, სპორტსმენების, მხატვრების რუსებად გამოცხადება და სხვა). ქართველი კაცი კი ისტორიულად მიჩვეულია, რომ მას იცნობდნენ უცხოეთში, რომ მსხვილ კულტურულ და რელიგიურ ცენტრებში ჰყავდეს თავისი წარმომადგენლობა. რუსთაგან დაუხმარებლად მოახერხა ქართველმა სინას მთაზე, ათონის მთასა თუ წმინდა მიწაზე, დღევანდელი ბულგარეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების აშენება და იქ ფართო სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა. ქართველი კაცი ისტორიულად მიჩვეულია, თვითონ მონაწილეობდეს საერთაშორისო ცხოვრებაში. მას შემდეგ კი, რაც რუსეთმა შეიერთა საქართველო, ქართველი კაცი გაქრა მსოფლიო კულტურულ-პოლიტიკური არენიდან, იგი ცოლთან მობუზღუნე ჭირვეულ არსებად გადააქციეს.

და აი, საქართველოს დამაქცევარი იმპერიის დიქტატორის ტახტზე წარმოშობით ქართველი და სულით არაადამიანი ავიდა. ავიდა და ეს უზარმაზარი სახელმწიფო ქართველი კაცის სახით და სახელით (წარმომავლობას ვგულისხმობ) დაელაპარაკა დანარჩენ მსოფლიოს. გულუბრყვილო და მიამიტმა (?) ქართველობამ, როგორც უკვე აღვნიშნე, შეიყვარა იგი და იწამა მისი არჩეული გზის სისწორე. მისი სახით ქართველი კაცი თითქოს ისევ ჩაერთო მსოფლიო პროცესებში, მან თითქოს აღიდგინა შეგინებული ეროვნული თავმოყვარეობა.

მოტყუვდა ქართველი კაცი, ირწმუნა, და რაკი ერთხელ ირწმუნა, ჯერჯერობით მისი ერთგული რჩება.

სექტემბერი, 1989 წ.

# გამოცდები, გამოცდები...

ჰყვებიან: უმაღლეს სასწავლებლში სექტემბრის პირველ რიცხვებშიც შესაძლებელია საბუთების შეტანა და, უფრო მეტიც, „მოწყობაც“... მონაგონი არ გახლავთ ეს... ამას სარატოვზე ჰყვებიან, როსტოვზე, მოსკოვზეც... უბრალოდ, ახლა ქართველებს ერიდებიან. ჩვენ, თბილისურ უმაღლეს სასწავლებლებზე ასეთი რამ არ გამიგია, სხვა რამ კი...

მინდა ზოგიერთ ისეთ მომენტზე გავამახვილო საზოგადოების ყურადღება, რაც მართლა ხდება. მოგითხრობთ შეუფერავად, პირუთვნელად...

მიმდინარეობს წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის წინ 1600 „იურისტ“ აბიტურიენტს „გულშემატკივრობს“ 8-10 ათასი კაცი! ჭარი ქრის, დაიზრიალა ფანჯარამ და ჩაიმსხვრა. ბედად, არავინ დაზიანებულა. დიქტორი შეშფოთებითა და მორიდებით ითხოვს ასასვლელი კიბეებისა და კარებისწინა მოედნის გათავისუფლებას... ამაოდ! ასევე ამაოა მილიციელთა თხოვნა-მუდარა! დგას „გულშემატკივარი“ და ელოდება რაღაც საბაბს, მიზეზს, რომ გადმოანთხიოს ბრაზი და ბოლმა „სისხლისმსმელ გამომცდელებზე“...

საბაბი?... იმ დღეს არა, მაგრამ სხვა დროს მიეცათ...

გამოცხადდა თემები. დაბლა, „გულშემატკივრებში“ ხმა დაირხა: რთული თემებია, ბავშვებს „ჩეხავენო“ და აბა, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“... კიდევ კარგი, წესრიგის დამცველებმა დროულად გაალეს კარი, თორემ, მერწმუნეთ, ციმ-ციმ ჩამოილეწ-ჩალეწდნენ. არ გჯერათ, მიბრძანდით და ჰკითხეთ უნივერსიტეტის მიმღები კომისიისა თუ საგნობრივი კომისიის წევრებს, როგორც გულდაგულ, რისხვით, ბოლმით და, ამავე დროს, დინჯად, გეგმაზომიერად ლეწდა ქართველი მანდილოსანი ქალი, „თბილისური წლოვანებისა“, მე-2 სართულის ფანჯრებს... შემდეგ მშვიდად, აუღელვებლად ჩაიარა ბექობი და შეუერთდა „გულშემატკვირებს“... და ეს ერთი შემთხვევა არ გახლდათ! ამას რომ ვწერ, ცოტა არ იყოს, ვშიშობ,ვაითუ, მეც დამიშინონ ქვები; ყოველ შემთხვევაში, მოულოდნელი არაა...

წერითი გამოცდის დარბაზში შემოცვენილი მშობლები ითხოვენ დამატებით კიდევ სამი თემის გამოცხადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში...

აცხადებენ!..

მეორე დღეს სხვები წერენ განცხადებებს, ჩვენ დავიჩაგრეთ, სამი თემა გამოაცხადეს, მათთან კი — ექვსიო... არადა, მომჩივანი „მართალია“, „დაჩაგრულთა“ მშობლებიც მართალნი გახლავთ... „დამნაშავე“?...

რექტორი და საგნობრივი კომისიის თავმჯდომარე! ღმერთმანი, არასოდეს ვინატრებდი მათ ადგილს...

ზემონათქვამი, ცხადია, ყველას არ ეხება, მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ ღირსებას ვკარგავთ, ღირსებას ქართველი კაცისას, სიამაყეს, ზნეობასა და საერთოდ — ადამიანურ სახეს!

საჩივრები,

მუქარები,

გაძვრომ-გამოძვრომა,

უკანა მხრიდან, შესასვლელში ე. წ. „პაროლების“ ჩატენ-ჩაჯიბვა ყველას თვალწინ...

ორიოდე სიტყვა ე. წ. „პაროლებზე“.

სახალხო განათლების სამინისტროში გამართულ კომისიის თავმჯდომარეთა სხდომაზე გავბედე და განვაცხადე: ნუ ვიპრით თავს, მოვსპოთ ეს ე. წ. „დაშიფრვა“ და მოისპობა ეს სამარცხვინო „პაროლომანია“-მეთქი. აბსოლუტურად ყველა დაეთანხმა ამ წინადადებას, მახსოვს, რა კარგად ისაუბრა ბ-ნმა ლეო კვაჭაძემ. თითქოს შეთანხმდნენ, მაგრამ რა, დაიწყო გამოცდები და ისევ და ისევ რაღაცის თუ ვიღაცის შიშით გრძელდება არაფრისმომცემი, უამრავი დროის წამრთმევი „დაშიფრვა“ და შემდგომ „გაშიფრვა“... გულისწამლები და, რაც მთავარია, ულირსი პროცესი. ახლა, ვიცი, ზოგიერთი რასაც მეტყვის — ჩავატაროთ წერითი გამოცდები სხვანაირად, ვთქვათ, „ტესტური“ წესითო... არაფერს ვუპასუხებ, უბრალოდ, გავიღიმებ... ბარემ აქვე ვიტყვი, მერწმუნეთ, „თეთრ ყვავობას“ არ ვჩემულობ, ჩვეულებრივი თბილისელი კაცი ვარ, უამრავი ნაცნობ-მეგობრებით სავსე; ამდენად, ვაღიარებ, მეც ცოდვილი ვარ...

გამოსავალი?

მოისპოს „დაშიფრვა“! ჩვენში, საქართველოში, ფეხადგმული და შემდგომ იმპერიაში ფესვებდგმული, მოწონებული, ვითარცა ბრძოლის „უებარი“ მეთოდი — პროტექციონიზმის წინააღმდეგ. დაუშიფრავი წესით წერითი გამოცდის ჩატარების შემთხვევაში გაცილებით იზრდება გამომცდელის ზნეობრივი, მორალური, და, რაც არსებითია, პასუხისმგებლობითი მომენტი. ვფიქრობთ, ამ დროს მოქალაქეობრივი, გნებავთ, იურიდიული პასუხისმგებლობაც გაიზრდება გამომცდელისა.

საჩივარი, საჩივარი...

იწერება ყველაფერზე და თითქმის ყველაზე, მაგალითად, ჩემზეც. ზეპირი გამოცდის დროს ვუსვამ გამოსაცდელს ნიშანს. ის არ მეთანხმება, ვაგზავნი საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარესთან. დამატებითი შემოწმება. დასტურდება ჩემსმიერი შეფასება... იწერება საჩივარი: „გამომცდელმა ო. გოლიაძემ მხოლოდ ენაში გამომცადა. ლიტერატურაზე არ მკითხა, მხოლოდ გადაიკითხა ჩემი ნაწერი. ვეხვეწე, ლიტერატურაზე მკითხეო. არაო, მიპასუხა და დამიწერა „დამაკმაყოფილებელი“. გთხოვთ, გამომცადოთ ხელმეორედ და ამიწიოთ ნიშანი“ (არ დავიფიცავ, ზუსტად ასეთი იყო-მეთქი ტექსტი საჩივრისა, მაგრამ, ვგონებ, დაახლოებით ასეთი იყო...) არადა, „ენაში“ შევეკითხე: მიბრუნეთ საკუთარი სახელი „გიორგი“ და ბრუნვის ნიშნები გამოყავით-მეთქი. არ გაინტერესებთ, როგორ აბრუნა?

სახ. — გიორგ-ი

მოთხ. — გიორგ-მა

მიც. — გიორგ-ს

ნათ. — გიორგ-ის

მოქმ. — გიორგ-ით

ვით. — გიორგ-ად

წოდ. — გიორგი-ვ

ღმერთმანი, ასე იყო! მოწმეც მყავს... ორმა აბრუნა სწორად და ჩემს გვერდით მჯდომ გამომცდელს ჩუმად ვთხოვე, შენს გამოსაცდელსაც აბრუნებინე ეს სახელი-მეთქი. აი, მესამე ის იყო, ვინც სწორად აბრუნა. არ მინდა იმის თქმა, თითქოს მოუმზადებელნი მოვიდნენ-მეთქი, მაგრამ რაც ზემოთ ვთქვი, არაფერი შემილამაზებია და მომიმატებია... ხატზე დავიფიცებდი, მაგრამ დაგვიჯერებს კი ზოგიერთი „მორწმუნე“ მშობელი?..

ვიცი, იმასაც იტყვიან, მაგას ან მაგათ რა უპირთ, კოლეგებს ერთმანეთის შვილები გაჰყავთო.

მოგახსენებთ, რაც „გაყვანას“ ეხება: ჩემი შვილები... სტუდენტები არიან. ერთი მესამე წელს „მოეწყო“, მეორე — მეორე წელს...

კიდევ სამიოდე მაგალითი ე. წ. „გაყვანაზე“. წელს ჯერ მოსამზადებელი განყოფილების გამოცდებზე გახლდით, შემდეგ უნივერსიტეტში — მისაღებ გამოცდებზე და სამხატვრო აკადემიაშიც...

მოსამზადებლის გამოცდაზე შემთხვევით ჩემთან აღმოჩნდა, არ „შემიხვედრებია“- უნივერსიტეტელი კოლეგის, ჩემი ყოფილი თანაკურსელის ო. მემიშიშის შვილის ნაწერი, წამოვდექი და ხმამაღლა განვაცხადე: აი, ასე მომზადებული უნდა მოვიდნენ ჩვენი კოლეგების შვილები-მეთქი. ნამდვილად სანიმუშონი...

უნივერსიტეტში ასევე შემთხვევით მომიწია განათლების მინისტრის მოადგილის კ. გაბაშვილის შვილის ნაწერის გასწორება — ბრწყინვალე იყო... მადლობა აწ უკვე სტუდენტს განსწავლულობისა და სერიოზულობისა გამო...

არავის ვეფერები, ნაწერი ფაკულტეტის სამდივნოშია, მიბრძანდით, შეამოწმეთ...

სამხატვრო აკადემიაში ყოფილი თანაკურსელის, პოეტ კ. არაბულის შვილის ნაწერი გავასწორე... ნაწერი-მეთქი, სიტყვა წამცდა... ეს იყო მხატვრული ესკიზი, პოეტური თხზულება... მიბრძანდით, შეამოწმეთ!

რამდენჯერმე გავიმეორე: „მიბრძანდით, შეამოწმეთ“... იცით, რატომ? უბრალო, ოღონდ სავალალო მიზეზისა გამო. როგორც წესი, პრეტენზიაზე მოსული „დაჩაგრული“ აბიტურიენტი თუ მშობელი ითხოვს სხვისი ნაწერის შემოწმებას, აი, იმას როგორ უწერია და რაში უწერია ესა თუ ის ნიშანიო...

არ ჰგავს, ხალხნო, ეს სხვის ეზოში მზერას, სახლში ფანჯრიდან შეხედვას, ურდულის ღრიჭოდან თვალიერებას?... არ ვიცი, ჩემი ღრმა რწმენით, ერთობ ჰგავს და ძალიან მაგონებს ამას წინათ რუსულ გაზეთში წაკითხულს — ერთი „სტალინისტი“ ჩიოდა, რა კარგი იყო „კომუნალკები“, ყველაფერი ვიცოდით, ვინ როგორ ცხოვრობდა, რას მიირთმევდა, ვისთან ვინ დადიოდა და ა. შ. გვეკადრება?..

გამოცდების გასრულების შემდგომ არაოფიციალურ შეხვედრაზე ბ-ნმა ნოდარ ამაღლობელმა სავსებით დროულად და სწორად ბრძანა: იმ სახით გამოცდების ჩატარება, როგორც ამჟამად მიმდინარეობს, ერთობ მოძველებული, მიულებელი და თითქმის აუტანელიც არისო, პირველ რიგში, აბიტურიენტებისათვისო...

ვეთანხმები სრულიად.

ვფიქრობ, და ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ გახლავთ, ახლავე, სექტემბრიდანვე უნდა ვიზრუნოთ საგამოცდო სისტემის შეცვლა-დახვეწაზე და დროულად, სპეციალისტებისა და საზოგადოების აქტიური ძალისხმევით გამოვნახოთ, შევიმუშაოთ კრიტერიუმები, მეთოდები, გზები მისაღები გამოცდებისა...

გთხოვთ, ყურად იღეთ!... დრო და ღირსება ქართველი კაცისა ამგვარ რასმე, ალბათ, ვეღარ იგუებს...

**ოლეგ გოლიაძე**

რედაქცია ერთხანს ჭოჭმანობდა ამ წერილის დაბეჭდვის თაობაზე. ავტორის პოზიციაც არ ყოფილა შეუვალი... ერთი სიტყვით, ორივე მხარე ფიქრობს, რომ წერილში აღძრული საკითხები დღევანდელი ვითარებისათვის პრობლემურია და, ამდენად, გამოქვეყნებული მასალა, ერთმნიშვნელოვნად არ აღიქმება. ვიმედოვნებთ, მკითხველი, სპეციალისტი ვინმეს ან რაიმეს განქიქება-ლანძღვას კი არ დაინახავს მასში, არამედ, დაფიქრებისა და განსჯის საგანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა ნიშნიანიძე

## ორი პასუხი ძალაუფლების თაოგაზე

გვირგვინი ერთია...
თავებია მუდამ ურიცხვი...
ამ გვირგვინისთვის ერთმანეთს ჭამს ღირსიც,
უღირსიც.

— ხალხო, რას დაობთ, სირცხვილია
შუღლიც... ქირქილიც...
რამდენიც გინდათ, დაუმატეთ კიდევ
გვირგვინი.

— ერთ გვირგვინს, ხალხო, ათასები ნუ
ვედავებით,
მოდით, უბრალოდ, მოვიშოროთ ზედმეტი
თავები!

## გაურკვევლოგა

როგორც კაპასმა დედაკაცმა ბუზღუნ-ქაქანით,
ბერიკაცს ტვინი ამოუჭამოს,
ასევე ძნელად ასატანია
გაურკვევლობის ჟამი უჟამო.
გაურკვევლობას კეისრისას—ბედით ნატორის,
გარკვეულობა მირჩევნია გლადიატორის.
გაურკვევლობით კიდევ უფრო გაუარესდა
ურთიერთობა მეგობრებთან,
მტერ-მოყვარესთან.
— დასანანია, ღმერთო ჩემო, ო, რა კაცია!
თქვენ როგორ ფიქრობთ, გადაიტანს
ოპერაციას?
— რას მიუსჯიან?
. . . . . . . . .
— ჩარიცხავენ??
. . . . . . . . .
— ხვალ რა იქნება???
დასლიკინებენ ეს კითხვები ფეხქვეშ
ხვლიკებად.
აგერ, მოშლილი სემაფორი: ჯვლეთა...
ქაოსი..
აგერ, რიგები... ცხრა ქვესკნელი საქაოსი...
გაურკვევლობა —
ცრუ წმინდანი და ცრუ მგოსანი,
გაურკვევლობა —
ცრუ სიმართლე, ცრუ ნიღბოსანი.
გაურკვევლობის გიგანტური ჩექმის ნალი ვარ,
უკვე გაცვეთილ-შეჭმული და
უკვე ნამლევა...
. . . . . . . . .
გაურკვეველი სქესივით მძულს
გაურკვევლობა...

## მოჰკლეს ირემი

გუშინ თბილისის ზოოპარკში მოჰკლეს ირემი
და აქ მოვარდა სვანეთიდან დალის კივილი.
ადამიანებს აღარ გვანან მონადირენი
და მთელ ქალაქში უჩინარი დადის ტკივილი.
ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობით“ ვინც
გაიზარდა,
ამ სულმდაბლობას, უღმერთობას ის არ
იზამდა.
მოჰკლეს ირემი...
რას ფიქრობენ ერის მგოსნები?
ცუდი დრო დადგა... კვლავ ვიქნებით ბევრის
მომსწრენი.
მართლა რა ხდება, ღმერთო ჩემო,
გადაირევი —
გაფიცულები ზოოპარკში წვანან ირმები.
თვალს ვერ ვუსწორებ, კალმით ნახატ ამ
თვალგიშერებს...
უკვე ირმებიც შიმშილობენ?! ღმერთო,
გვიშველე.
ღვთისმშობლის ხვედრი საქართველო სულით
დიდია:
მიდის დალისთან სამძიმარზე ვაჟას მინდია...

## სამნი ტუეში

### მონადირე

მზეს შეჰხაროდნენ ფრინველები ჟივილ-
ხივილით...
ის კი ქურდივით გასუსული იდგა ძეძვებთან,
თოფს იმარჯვებდა და ქორულად ჩიტებს
ეძებდა...

### მგოსანი

მზეს შეჰხაროდნენ ფრინველები ჟივილ-
ხივილით...
ჩიტთა გალობას ყურს უგდებდა თავად
ლოტბარი,
სულგანაბული და თვალებზე
ცრემლებმომდგარი.

### წმინდანი

მზეს შეჰხაროდნენ ფრინველები ჟივილ-
ხივილით...
ის კი დარდობდა და ზეცისკენ აღეპყრო
მზერა,
ხვალ ამ ჩიტებში ვინ გახდება მტაცებლის
წერა?..

## სიკვდილი გზაში

ტიციანის ხსოვნას

სადღაც მივარდნილ და ყრუ ბაქანთან,
მატარებელი შეჩერდა წუთით...
გაისმა სროლა და გადაქანდა,
თოვლზე მიხაკი და თბილი ქუდი.
მხოლოდ თოვლი და ყვავების ქორო...
მხოლოდ თოვლი და სიჩუმე სრული...
ცით ანგელოსი დაეშვა ბოლოს,
რომ წაეყვანა ტანჯული სული.
მას გაოგნებულს და სახეშეშლილს,
ვეღარ გაეგო, რა მოხდა გზაში,
ამ გადათოვლილ ციმბირის ტყეში,
ვინ მოკლა შაშვი, ქართული შაშვი?
სასტიკი იყო დროც და მანძილიც...
ცივი ვაგონიც და ლიანდაგიც...
......
უპატრონოთა სახლში გაზრდილი
შაშხანას წმენდდა მთვრალი ბადრაგი...

## საკუთარ დიდებაზე შეყვარებული

ეს კაცი, მართლაც, საკუთარი თავის ძეგლია,
სულაც არ უჭირს დიდების თუ ნიღბის
ტარება...
ღმერთმა შეარგოს! ძეგლი იყოს, რაკი ეგრეა,
ოღონდაც, ძმებო, ჩვენ ნუ ჩაგვთვლის
პიედესტალებად.

## ცარიელი აკვანი

თვალს ვერ ვუსწორებ, ვერც ბავშვის სურათს,
ვერც ბავშვის აკვანს, ცარიელ აკვანს...
ვინც წაიყვანა ამ ბავშვის სული,
მის სულგრძელობას მაინც ვცემ თაყვანს.
რა ვუთხრა დედას, დედას საბრალოს,
ან სამძიმარი რისი მთქმელია,
როცა დედისთვის მთელი სამყარო,
ამ აკვანივით ცარიელია...

●

მე ხშირად ვნახულობ ავადმყოფ კაფკას,
იქ მხვდება ღიმილით მოხუცი გამდელი.
ავადმყოფს მთელი დღე უსხედან ტახტთან,
ჰოფმანი,
ნიცშე და...
ტერენტი გრანელი.
კედელზე ხატია მფრინავი პეგასი,
ფრესკები, ხატები ღმერთების სწორფერთა.
ნიცშე ლაპარაკობს ღმერთსა და ზეკაცზე,
ჰოფმანი იხსენებს ლხინს მეფისტოფელთან.

გინახავთ, გსმენიათ ქადაგი თელეთის?,
პირზე რომ სიტყვები ასკდება კვირტებად—
მთლად გადაირია ეს ჩვენი ტერენტი —
კაფკას ოჩოკოჩთან შეხვედრას ჰპირდება,
რა ჯადო ჰქონია, რა უცხო თვისება,
ღარიბი პოეტის მირთმეულ ჰაჰას
ცლიან და... ივსება...
ცლიან და... ივსება...
და მერე კოლხეთში მიფრინავს ყანჩად
არაფრად არ მიჩანს ქირქილი ავკაცთა:
მე ხვალეც მთელი დღით მივდივარ
კაფკასთან...

## მოცარტი

პეპელას ფრთიდან
ყვავილის მტვრის და სხივთა ცვენა
ესმოდა მზე აფეთქებად ღვთაებრივ
მოცარტს.
ო, მის სმენასთან ანგელოსთა უზშთესი
სმენაც —
თავს დახრის მორცხვად.

●

რასაც აქამდე გიმალავდით,
შიგ გულში ჩამრჩა ნარეკლად...
ეჰ, საყვარელმა მიღალატა,
ფეხი დაჰკრა და გამეპარა...
ო, ეგ სამგლე და სატიალე
გაუყვა სხვათა გზა-ბილიკებს,
სხვა პოეტებთან დაშტრიალებს,
და ალბათ, კიდეც მაქილიკებს.

სულ ჩემთან იყო ბალღობიდან,
და მეც წმინდანებს დავაზმანე,
თურმე, ერთგულიც არ ყოფილა,
როგორც ყოველი ლამაზმანი.

შემოვირბინე ველ-მინდვრები,
მტკვრის და რიონის ნაპირები,
ვერც მოფერებით დავიჭირე,
ვერც ათასგვარი დაპირებით.

აღარც ბუბუნი წიქარული...
აღარც ფრთონა და ზვიადობა...

ჩემმა პირველმა სიყვარულმა,
კვიცივით ლექსმა მიმატოვა...

●

იმედი მაქვს, რომ უფალი
ერთ ლამაზ დღეს მომიკითხავს,
სნეული და დამაშვრალი
წამოვდგები ლოგინიდან.

ზურგი ბევრჯერ შევაქციე
აღთქმასა თუ დანაპირებს.
უფლის კრავად გაჩენილმა,
ზოგჯერ მგლობა დავაპირე.

მომიტევებს ღმერთი ცოდვებს,
და პირჯვარსაც გადამსახავს
და სიკვდილით გადავიხდი
წუთისოფლის გადასახადს.

●

„აქ განისვენებს ტრაგიკოსი პოეტის
ნეშტი“ —
წაიკითხავენ და ატყდება სიცილ-ფხუკუნი.
ო, ბატონებო, გვეპატიოს თუ ჟანრში
შევცდით,
ეს შეცდომაა ამ საუკუნის.
შთამომავალო, შენდა ხოტბად და
სამახსოვროდ,
გთხოვ, „ტრაგიკოსი“ „კომიკოსად“
გადაასწორო.

## ხისთავა მეფე

ხისთავა მეფე, მკაცრი და ავი,
ერთხელ ყვირილით მისდგა ვეზირებს:
— რა ჭირად მინდა ამხელა თავი,
ხალხსა და მამულს თუ არ შევწირე!
გადაცდა ხოტბა ყოველგვარ ჯებირს.
და... ბოლოს საქმე ისე წავიდა
კუბოს ფიცრები...
სამარის ჯვრები —
გამოითალა მეფის თავიდან...

●

კაცი იყო და მტერი დაინდო
და ქვამარილი სიმწრისა ლოკა,
ქართველიც იყო
და ძმას ამიტომ,
ვერ მიუშვირა მეორე ლოყა.

## რა არის ყველაზე თბილი?

ყველაზე თბილია ღვთის კაცის სალამი,
ჩვილის ტიტინი და გამდელის ლოცვა,
დედის შეკეცილი საბანი,
შვილების ქურდული კოცნა.
და მაინც სხვა სითბო, სხვა სითბო მეგობრობს
მტრებისგან დაწერილ ნეკროლოგს.

●

ერთი მოშურნე და მეტოქე მახსენებს ავად,
მე კი ვუწოდე რჩეული და სასიქადულო.
. . . . . . . . .
ვაი ჩვენს პატრონს!
კაი კაცი არცერთი არ ვართ,
ორივე ვცოდავთ და ორივე ტყუილს
ვკადრულობთ.

# ორი მოთხრობა

## ჯემალ დავლიანიძე

## დღესასწაული

ქარი ქრის, აპრილია, პატარა ქალაქში, რომელიც სოფელს უფრო წააგავს, თოვლი დნება. აქ სულ რამდენიმე ქუჩაა. ყინულსაც შეპარვია სითბო. ასფალტზე გუბეები დგას. ადამიანები მხიარულად შეჰყურებენ პირველ დღეს, რომელმაც ყველაზე ძალუმად მოაახლოვა გაზაფხული... მოსეირნე წყვილები ხშირად ეცემიან, მაგრამ ესეც ბედნიერებაა მათთვის, რადგან სახლების სახურავებზე თოვლი დნება... მზიანი ამინდია, თბილი ქარია...

ქალაქს ჩრდილოეთ მხარეზე მდინარე ჩამოუდის... იგი იყინება ოქტომბრის დამლევს და ლხვება აპრილის შუა რიცხვებიდან. ქალაქი ერთი მხრით ეკვრის მდინარეს. მდინარე ფართოა, მდორე, ნაპირები უმეტესად ლელქაშითაა შემოსილი... მთელი ზამთარი აქ ერთობა ახალგაზრდობა — თხილამურებით, ციგებით, გუნდაობით... ამ ქალაქში, ისევე როგორც ყველა ქალაქში, არის რამდენიმე ფაბრიკა, რვა საიდუმლო ქარხანა... მუდამ დილით გაჰყვირის საყვირი — სამუშაოსკენ მოუწოდებს კოლექტიურ შრომაზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანებს...

ქალაქის ირგვლივ დიდი მინდვრებია, რომელიც ყოველ წელიწადს იხვნება... ჰავა აქ მშრალია, ყინვები საშუალოზე მეტი... მხოლოდ ერთის მხრიდან, მდინარის გაღმა მოჩანს მომცრო დასახლება, რომელსაც „ეზოებს“ უხმობენ... პატარაა ეს „ეზოები“, მაგრამ იქაურების გადმოსვლა ქალაქში უჩხუბრად არ მთავრდება... თავს იმით იმართლებენ, რომ მათ უბანში მხოლოდ ერთადერთი ტელეფონის ჯიხური დგას... დანარჩენი ისევ ისეა, როგორც სამასი (და უფრო მეტი) წლის წინ... ზამთარში ისინი მშვიდად გრძნობენ თავს, რადგან მდინარე გაყინულია და როდესაც გნებავს გადახვალ და გადმოხვალ... აპრილის შემდეგ კი... იწყება საშინელი კოშმარი — თუ დილის ცხრა საათამდე ვერ მიასწარი... ნათლად რომ ვთქვათ, საქმე ასეა: მდინარეზე არის ერთი ბრტყელძირა ნავი, მასში ეტევა მხოლოდ ექვსი მგზავრი. მენავე მიშა დილის შვიდისნახევრიდან ცხრა საათამდე მუშაობს... მერე, შუადღისას — თორმეტიდან — ორამდის, საღამოს ექვსიდან — ცხრის ნახევრამდე... აბა, მაშ არ არის ეს კოშმარი? იქნებ კაცს პაემანი გაქვს დანიშნული ქალაქელ გოგოსთან?... საღამოს ცხრის ნახევრის შემდეგ კი, შინ რომ დაბრუნდე, ძალაუნებურად უნდა გასცურო... როცა ცხელა, მაშინ კიდევ არა უშავს რა... სიგრილეში რა უნდა ქნას კაცმა?.. ამიტომაც, — დაილოცოს ზამთარი... გენიალური დროა... მთელი ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი... აპრილსაც მაინცა და მაინც არ ახაგებენ... არა, აპრილი საინტერესოა, როცა ყინული გაიბზარება... ყინული რომ გატყდება პირველად, მთელი ქალაქი გრძნობს... მისი ხმა ესმის ყოველ მცხოვრებს... სახლები ზანზარებენ... მეორე დღეს, ტკაცანის შემდეგ, მრავალი აცდენს სამსახურს... მით უმეტეს, ისინი, ვისაც უძველესი, ტრადიციული სანახაობა უყვარს, ვინც პატივს სცემს წარსულს... ხსენებული წარსულიც სწორედ იმ „ეზოებთან“ არის დაკავშირებული... ყოველ წელს, აპრილში, როცა ყინული ტყდება, რა თქმა უნდა, ის ბილიკი, რომელიც მდინარეზე დადებულ ყინულზეა გაკვალული, უნდა გაჰქრეს... უფრო სწორედ, უნდა დაიმსხვრეს, ნაკუწებად იქცეს... მაგრამ, ხომ უნდა გაიაროს მასზე უკანასკნელმა ადამიანმა?.. ეს უკვე დიდი და ძველთაძველი მოვლენაა. ეს გახლავთ ნამდვილი დღესასწაული... ის უკანასკნელი გამვლელი ხანდისხან საჩუქრებითაც კი ივსება... იგი მუდამ საპატიო სტუმარია... იგი წმინდაა, გამბედავია... მართლაც გამბედავია... უამისოდ არ არსებობს, რადგანაც, ყინულის პირველი ბზარის შემდგომ მიმოსვლა მთლად არა, მაგრამ ნაწილობრივ წყდება... ბოლოს კი მაინც ერთი მამაცი უნდა დარჩეს, რომელიც დანაწევრებულ ყინულებზეც კი ხტება და... ხანდისხან გაილუმპება კიდეც და... ესეც საპატიო რამ გახლავთ... ეს არის სეზონის პირველი მობანავე, გამბედავი...

და ეს ყოველივე იცის ქალაქმა. ამისათვის იგი, ძალზედ ხშირად, შუა ზამთარშიც კი ემზადება... უფრო ახალი წლის შემდეგ, ყველიერის დადგომიდან... დიდ-პატარა გახარებულია... ბავშვები მშობლებს აღარ შორდებიან — ხომ წაგვიყვანთ მდინარეზე საპრილო დღესასწაულზეო... როცა აღდგომა დღე აპრილის თვეშია, მას საპრილო დღესასწაულის მხრივ დიდი კონკურენტი ჰყავს... მით უმეტეს, ამ დროში, ლიტანიაზე, ეკლესიაში ღამის თევაზე ბებრებისა და მოცლილების გარდა ვინ წავა... ისე, რომ ქალაქის ქუჩებში აპრილის ერთ უმშვენიერეს დღეს იწყება გადაძახილები:

— ხერიოჟას უთხარით, ხომ არ დაავიწყდა, რომ აპრილია და მდინარეზე უნდა წავიდეთ!?

— ვანია, ძვირფასო, ლორებს საჭმელი დაუყარე, თორემ მდინარეზე გვაგვიანდება!

— რაო? უკვე იწყება?

— გუშინწინ გაიტკაცუნა...

— კოლია, ბიჭო, შეშა დაპე, ჩქარა, ამბობენ, მდინარეზე წელს ვაჭრობაც კი იქნებაო.

— ეტყობა, გეგმა ვერ შეასრულეს...

— რა გეგმა...

— სურსათი ვერ გაყიდეს...

— ისე კი, კაცმა რომ თქვას, ჭკვიანურად მოუფიქრებიათ...

— მართალია. მე ერთი აზრიც მაქვს ეს ექვსიოდე წელიწადია, მაგრამ...

— აბა, ჩამოყაჰე...

— არა, ჯერ ჩავიცვათ... ბავშვებმა ამიკლეს... შენები რაღაც ჩუმად არიან!

— კეთილი... ჩავიცვათ...

მეზობლები იცვამენ. ჯალაბიანად მიეშურებიან.

— რაღაც აზრით...

— რა აზრით?

— წელან ამბობდი...

— ჰო... რა მოხდება, ჩემო ვანიჩკა, უძვირფასესო და კეთილო მეზობელო, ეს დღე გამოვაცხადოთ დღესასწაულად და დავარქვათ „საგაზაფხულო“?

— ყოჩაღ, კოლია! ამ საკითხს უკეთ მოსაზრება სჭირდება... ჩვენი ქუჩის მაცხოვრებლები შევკრიბოთ,... მერე სხვებიც დაინტერესდებიან.

— მხარდამჭერიც გვექნება...

— ვითომ?

— ნამდვილად.

— საიდან და რატომ?

— იქიდან, რომ... აღდგომა მაინც გადმონაშთია... ეს კი... გაიგე?

— აგაშენა გამჩენმა! ეს რა ჭკვიანური რამ მოგისაზრებია!..

მდინარის პირზე ხალხი ირევა. ვინ აღარ მოსულა: იყიდება ლვეზელი, სოსისი, ლუდი, კისელი... ციგნების ჯოგი მიდი-მოდის, აქეთ — „მამალო“, იქით — ტორტი, აქეთ გასაბერი ბუშტები, იქით ყვავილები... ჩირი, მოხარშული კვერცხი, კატლეტი... ძველი ფეხსაცმელები, პერანგები, ძაღლის ლეკვები, კურდღლები, პალტოები... მდინარესთან სულ ახლოს მაყლებია გამართული, შიშხინებს მწვადი...

— ხედავ, კოლია! — სიზმარში ხომ არ ნახე?..

— გამაოცეს!

— შენ ნაღდად ჩიტმა მოგიტანა ამბავი...

— ესე იგი, ვიცოდი?

— მაშ!

— შვილებს გეფიცები!

— მჯერა!

— აბა, მოგვეცი რვა მწვადი!

— მიირთვით... ლორისაა... თითებს ჩააყოლებთ! აბა, მწვადი!

— აბა, სოსისი, მდოგვით!

— ვაშლის მწნილი...

— აბა, ნაყინი...

— ხილისაა?

— არა, ხორცისაა!

— ეგ რა პასუხია?

— რა კითხვაცაა, იმის პასუხია! არ მომინდომა ამ შუა ზამთარში ხილის ნაყინი?

უცებ იხუვლა ხალხმა:

— გამოჩნდა!

— მოდის!

— მაღალია?

— რაღაც, ვერ ვხედავ...

— როგორ მოკუნტულა!

მდინარეზე ყინული დაბზარულა, დაწეულა, ზედ წყალი დგას. ბილიკი, რომელიც რამდენიმე თვე ემსახურებოდა ადამიანებს, ახლა ჩაზნექილა... მასზე გავლა უკვე სახიფათოა და მხოლოდ უკანასკნელ გამბედავს ელოდება...

აი, ისიც!

გამოჩნდა.

გაღმა თხელი ბუჩქნარია. თოვლში მოაბიჯებს შავი სხეული.

ქალაქელები ინაბებიან.

ყველა უცქერის გამბედავს.

ყველას სურს იცნოს... ნეტავ ვინაა... იქნებ მათი მეგობარიც არის... ეს აუცილებლად სასიხარულოა, რადგან დღეს დაიწყება ერთკვირიანი ქეიფი... დროსტარება...

უცბად ვიღაცამ დაიყვირა:

— ქალია!

— ფუი, ეშმაკს!

— გაზაფხული დაგვითარსა!

— ამას ველოდით ჩვენ მთელი ზამთარი?

— ამისათვის გავიყინეთ ამ ქარში?

— ეს ხომ უსინდისობაა!

— პატრონი მაინც არა ჰყავს?

— ბილიკმა იქნებ გაუძლოს?

— ვერა, ვერ გაუძლებს!

— თუ გაუძლო, ეგ არ იქნება ის, ვისაც ველით!

— აუცილებლად, მართალი ხარ!

— მაშ, ნეტავ გაუძლოს!

— გაუძლებს, მაშ რას იზამს!

— ალბათ!

— ბედი არსებობს!

— შეხედე!

— როგორ მოცუნცულებს!

— ბებრუხანაა!

— გახწი თავი, შემახედე, თორემ ჩაგიშვი მაგ გოგრაში!

ცოტა ფრთხილად! ძალზედ განივრად ნუ შლი მაგ ფრთებს, თორემ ამ არყის ბოთლს გამოვიმეტებ შენთვის!

— სიამოვნებით მივიღებ მაგ ბოთლს...

— მორჩით!

— აუჰ!!!

ეს უკვე ყველას ერთხმად აღმოხდა... ყინულის საფარი განდაგან, ჰორიზონტალურად გასკდა... ატყდა ჯახაჯუხი... „გამბედავი“ დედაბერი გაღმა მხარეს მოექცა... წყლის ზედაპირი გამოჩნდა, გაფართოვდა... უკვე შეუძლო იყო აქეთ გადმოსვლა... მოხუცმა ხელი აიქნია, შებრუნდა, ბუჩქებს შეერია და თვალს მიეფარა...

მოქალაქეები აღშფოთდნენ:

— წყეულიმც იყავი!

— წელს გვალვა ამოგვბუგავს!

— შიმშილობა ჩამოვარდება!

— კალია შეგვჭამს!

— მიწისძვრები აგვიკლებს...

— მოიცათ!

ესეც ერთხმად აღმოხდათ...

იმ მხრიდან, საითაც დედაბერი მიიმალა, წელსზემოთ შიშველი, თმაგაფშეკილი, ჩაკუნთული ბიჭი მორბოდა... სწრაფად მოუახლოვდა მდინარეს, გადმოახტა პირველ ყინულს, მერე მეორეს...

მოქალაქეებს გულს იმედი ჩაეღვარათ. გაისმა ტაში. ვიღაცამ გარმონიც გაწელა...

— ეს ხომ ვიტიაა... „ეზოების“ ღვიძლი მკვიდრი,... ორ ლიტრ არაყსა სვამს... ოცი ბოთლი ლუდი არაფრად უღირს... ოთხმოცდაათ ხინკალს ხუთ წუთში აქრობს! ვაჟკაცია... ყოჩაღი, ვიტია! ხალხს შენი იმედი გვაქვს, გვიშველე ძმაო! აბა, მეგობრებო, ტაში!

გრიალებს მუსიკა.

გრიალებს ტაში.

ვიტია სულ ბოლო ყინულის ნატეხზეა... მას ხუთიოდე მეტრი ჰყოფს იმ ნატეხისგან, რომელიც ქალაქისკენაა, მოქალაქეებისკენ! სულ ხუთიოდე მეტრი... წრიალებს ვიტია... წინ, დაბლა ცივი წყალია, რომელშიც ადრე მუდამ ბანაობდა, მაგრამ... ახლა, შეუჩვევლად იქ ჩავარდნა... მაგრამ ქალაქელებს მისი იმედი აქვთ... აგერ, „ეზოებიდანაც“ მისი გულშემატკივრები, ბიჭები და გოგოები გამოჩნდნენ... და, აიწია ვიტია... ჰაერში გაიწელა, გაფრინდა... ხელები კი უწვდინა ყინულს, მაგრამ ტანმა უმტყუნა და წყალში ჩავარდა... რამდენჯერმე გაიფართხალა...

მოქალაქეები გაისუსნენ და აჩურჩულდნენ:

— თუ უჭირს, რატომ არ ჰყვირის?

— არა! თქვენ მაგას არ იცნობთ! ჩემი ნათლიაა... იცით, რა მაგარია?...

— ძველი შტანგისტია!

— თანრიგოსანია კლასიკურ ჭიდაობაში!

— სამი წელიწადი იჯდა ციხეში, სამხრეთელები ამოხოცა ცემით!

— ორი ლიტრი არაყი არაფრად ულირს!

— ვიტია — ვიტიააა! ალბათ თქვენც არ იცნობთ!

— ხელაპია!

— მორჯია!

ვიტიამ ჩაყვინთა.

ქალაქელები აზუზუნდნენ:

— ხომ გითხარით!

— ვითომ, რაო?

— რა და, ცოტა დაიცადე, ნახავ!

— აჰა, ალბათ ამოხტება...

— შეხედე შენ, რა ეშმაკი ყოფილა ვიტია...

— ორ ლიტრ არაყს ერთ მოსმაზე სვამს!

— თან დაბლა წყალი თბილია, ცოტას შეთბება კიდეც...

ვიტიამ დაასხანა წყალში...

„ეზოების“ მხრიდან გოგო აკივლდა.

გამოლმელები კი შეციებული ღიმილით, იმედით ელოდნენ ვიტიას, რომელიც ისეთი ეშმაკი, წოხერხებული აღმოჩნდა, წყლის ფსკერზე დაეშვა გასათბობად, რომ მერე ამომხტარიყო, თავისი გამბედაობით გაეკვირვებინა მოქალაქენი და მიელოცა მათთვის საპრილო დღესასწაული...



## აჩრდილი

ყველაფერი ერთმანეთზე აეწყო — ცოლი წაეჩხუბა, უფროს ბიჭს სცემა, უმცროსმა ჯოხი ჩაარტყა თავში და როცა ხელი მიიღო — მეტკინაო, იმის მაგიერ, რომ შესცოდებოდა მამამისი, ხელმეორედ დაუნაცვლა ჯოხი... ცაც უცნაურია — ნახევარი მთვარით არის გაჩახჩახებული, ნახევარი — მოღრუბლულია და წვიმს. + ამინდიც ისეთია — ნაღვლიან ლექსებს რომ უწერენ პოეტები... გზაზე ის ბიჭი შეხვდა, რომელსაც შარვალს შეჰპირდა და ვერ უშოვნა. სამსახურში მთელი დღე მარტოდ იჯდა და ერთ სულელურ ზღაპარს თარგმნიდა დილიდან საღამომდე.... ზღაპარში შოშია ისე აცინებს დათვს, რომ ყელიდან ძვალსაც კი წამოაგდებინებს... მაგრამ, მთავარი მაინც ის არის. რომ კაციშვილმა არაფერი იცის... შუალამეა... მთვარეა... წვიმს და ყველას სძინავს...

უფროსი ვაჟის საწოლთან მივიდა. ხელებგაშლილს ეძინა ბიჭს... ფეხაკრეფით მოსცილდა და უმცროსს მიუახლოვდა. ჩაცმულს სძინავს — ბალდი გაციებული იყო, ცხელებით ვერ სუნთქავდა და ქსიტინებდა... ცოლი პირქვე იწვა, ხელ-ფეხი უჩანდა...

ეზოში გამოვიდა. აღარ წვიმდა. ყველაფერი სველი და მსუბუქი ეჩვენა. ყოვლისშემძლეობის გრძნობა დაეუფლა, — თითქოს მთვარის ჩამოღებაც შეეძლო, მიწაში ჩაძვრომაც, ხეში ჩაბუდებაც და ჰაერში აჭროლებაც... სულმთლად შემსუბუქდა და გაიფიქრა — რა ადვილი ყოფილა ყველაფერი...

ძაღლის ჯიხურს მიუახლოვდა. კატებსა და ძაღლს ჩახუტებულებს ეძინათ... სარეცხის თოკი მოხსნა. ნასკვი ვერა და ვერ გამოხსნა, მაგრამ, გაბრაზების მაგიერ, სახე გაებადრა — რა ძნელი ყოფილა ჩემი ცოლის გამონასკვულის გამოხსნაო. წვალებით გამოშალა ნასკვი. თოკი აახვია. სულ ბოლოში სარეცხი მოჰყვა ხელში. პატარა ბიჭის სველი შარვლები და ცოლის საცვლები იყო. გაეღიმა. გაიფიქრა — რომელიმე მწერლისთვის მშვენიერი სამოთხრობე მასალაა: კაცმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, თოკსა ხსნის და როცა თავისი შვილის პაწაწინა შარვლებსა და ცოლის ფერად საცვლებს დაინახავს, ასლუკუნდება, შინ შევა, ბლავილით ყველას გააღვიძებს და პატიებას სთხოვსო...

ფრთხილად ჩამოხსნა შარვლები. გაუკვირდა, როცა ამ ყოვლის შემძლეობის ღამეში წელი კინაღამ ჩასწყვიტა პატარა შარვლებმა და ცოლის საცვლებმა... სარეცხი კოხტად დაკეცა, შინ შეიტანა, ტახტზე მიაწყო...

ეზოში რომ გამოვიდა, უფრო შემსუბუქდა. ჯიხურთან ჩაცუცქდა, ძაღლს თოკი შეაჭრა. მცირე ხანს უყურა გახარებული ცხოველის სირბილს, ჩაიცინა, თოკი მოზომა... კატები აიშალნენ, აკრუტუნდნენ.

მთვარემ უფრო გააჩახჩახა ეზო... როცა მაკრატელმა დაიტკაცუნა და მოზომილი თოკის ნაჭერი ვაზზე გადაჰკიდა, საშა მოაგონდა... ოთხი წელიწადი ერთად გაატარეს. საშა ადრე მილიციაში მსახურობდა. მერე კომპლექტაციის განყოფილების ელექტრომძრავების ჯგუფის უფროსად იყო, „პამირს“ ეწეოდა, ხელები და თავი უკანკალებდა. სასმელის დალევისა ეშინოდა, ამბობდა: თუ კიდევ დავიწყე, ველარც დავამთავრებო... იმ გაზაფხულს, აპრილის ბოლოს, საშა კემეროვოში გაემგზავრა მივლინებით... ზედ დღესასწაულ დღეს უკანვე ჩამოფრინდა, ცოლისთვის არა უთქვამს რა, ბარათი დაუტოვა და თავი ჩამოიხრჩო მინდვრად უპატრონოდ დაგდებულ კომბაინზე... ბარათში უბრალოესი რამ ეწერა: „საბუთები დავკარგე... ყველაფერი ჩემი ბრალია... მაპატიეთ, მშვიდობით... გკოცნით ყველას... საშა“.

საშამ თავი ჩამოიხრჩო კომბაინზე, ზედ პირველ […] მაისის დღეს... რატომ მაინც და მაინც კომბაინზე? რატომ რკინაზე და არა მშვენიერ ცაცხვის ხეზე, რომელიც მის ეზოში იდგა?

ამ კითხვამ არ მოასვენა, თუმცა, ამ ამბავმა სულაც არ შეაძრწუნა. უბრალოდ, საშა მოაგონდა, რომელმაც სულ უბრალოდ ჩამოიხრჩო თავი კომბაინზე... მხოლოდ ის იყო გასაოცარი — რატომ არჩია კომბაინი აყვავებულ ცაცხვის ხეს?.. მით უმეტეს, გაზაფხული იდგა — ფუტკრების ბზუილი, თაფლისა და ყვავილების სურნელი მოხდებოდა მიდამოს...

ნიავმა დაუბერა. ვაზის ფოთლებიდან წვეთები ჩამოცვივდა და მიწაზე ატკაპუნდა. კატები ხმამაღლა კრუტუნებდნენ და ეგლასუნებოდნენ... მათი საქციელი, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, რადგან ამ წუთში კატა არ უნდა გაეკარებოდა, — ეს ცხოველი მუდამ გაურბის სახიკვდილოდ განწირულ კაცს... თუმცა, იგი ხომ სიკვდილს არ აპირებს?.. ამ აზრმა სახე გაუნათა, თოკი სწრაფად ჩამოიღო ვაზის ტოტიდან, ონკანთან მივიდა და დაალბო...

წყლის ჩხრიალმა დღევანდელი დილა გაახსენა ხელახლა. იმ ბიჭთან საუბარი მთლიანად აღადგინა... ერთი საწყალი ბიჭია, მებეტონედ მუშაობს, დღეში შვიდ მანეთს აძლევენ და იმასაც ვერ იღებს, ცოლი და ერთი შვილი ჰყავს, თან ლექსებსაც წერს, ჭირგამოვლილია, საღამოს დასწრებულზე სწავლობს, აბა, მაშ რა ჰქნას? არა წეროს ლექსები? რომ ეწერება? იმისა არ იყოს — „ლექსო ამიგთქომ!..“

როცა იმ ბიჭმა უთხრა — სიმართლის ძებნაში ნურავინ შემეჯიბრებაო, ისე უპასუხა, საცოდავ მებეტონეს სახე მოერღვა შიშისაგან. ამ წუთშიც არ იცის, რამ შეაშინა ის ბიჭი. ისეთი განა რა უთხრა? ყველაფერი სისულელეაო, — მორჩა და გათავდა.

ახლაღა ჩააფიქრა ამ სიტყვებმა. — რატომ არის ყველაფერი სისულელე? რა არის ყველაფერი? და, შეიძლება ყველაფერს სისულელე უწოდო? აქვს ამისი უფლება?.. ესე იგი, იმ ბიჭს უთხრა — ყველაფერი სისულელეაო და საწყალი ახალგაზრდა პოეტი — მებეტონე გამოათაყვანა...

თოკი დალბა. ფრთხილად აიღო. სველი თოკი ბავშვის პატარა შარვლებისა და ცოლის საცვლების წონა იყო... არა, მაინც რა დღე იყო... ღამეც რომ ასეთი დაღამდა — უცნაური, ორად გაყოფილი ცა, კატების გლასუნი...

პატარა ოთახს მიაშურა, ეზოს ბოლოში რომ იდგა. იქით უფრო ბნელოდა. გასაღები ფრთხილად გადაატრიალა, კარმა დაიჭრიალა... სანთელი აანთო, ჭერს შეხედა. მერე თოკი აიღო, კოჭზე შეაგდო, ორივე წვერი ხელებში მოიქცია, ზედ ჩამოეკიდა, ჩამოქაჩა, — მოხსნჯა...

ოთახში ხახვის სუნი ტრიალებდა. იატაკზე გამოსაშრობად დაყრილ ხახვს წამოუარა, ააგროვა, ტომარა გაავსო, პირი მოუკრა, კუთხეში მიდგა, ამოისვენეშა, თოკს ახედა და ისევ საშა გაახსენდა. საწყალს კემეროვოში წასვლა არ უნდოდა, სთხოვა კიდეც, ჩემს მაგიერ წადიო, მაგრამ... ყველას თავისი გაჭირვება აქვს. მაინც, რა კაცი იყო — ჯერ მილიციაში იმსახურა, მერე თავი მიანება, არყის სმა დაიწყო, ბოლოს ესეც მობეზრდა, კომპლექტაციაში მოეწყო და საბუთების დაკარგვის გამო თავი ჩამოიხრჩო კომბაინზე... საკვირველია, მაშ რა არის? — კაცის ცხვირწინ აყვავებული ცაცხვი იდგეს და ის კი სადღაც შორს, მინდორში გაჩერებულ, მთლად უპატრონოდ მიტოვებულ კომბაინისკენ გაეშუროს... თანაც, კემეროვოდან ახლადჩამოსულმა კაცმა რა იცოდა, სად იდგა კომბაინი? აჰ, ნაღდად სულ სხვა ამბავია... საშას რაღაცა […]შალა... ნაღდად რაღაცა შეეშალა, თორემ, რა წაიყვანდა მინდორში, როცა გაზაფხული იდგა, ფუტკრები ზუზუნებდნენ და მის ეზოში ცაცხვი ჰყვაოდა... ნაღდად შესცდა, უბედური...

კატები შემოვიდნენ ოთახში, კნავილს მოუმატეს და ფეხებში გაებლანდნენ. თოკს ხელი გაუშვა და ცხოველებს დაერია. ყველა გამოსვა გარეთ და უცბად გაუელვა — საშამაც ასე ხომ არ დაიწყოო? მერე გაუკვირდა — რა უნდა დაეწყო საწყალ საშას ასე? შიში შეეპარა — ეს კატები ისე დამტრიალებენ, რაღაც ცუდ ამბავს შემამთხვევენო...

კარი გამოიხურა. ჭრიალმა შეაცბუნა... მთვარე ზურგს უნათებდა. ჩრდილი წაუგრძელდა... მოულოდნელად, კარმა თავისით დაიჭრიალა და საშინელება დაინახა. ნაბიჯი გადადგა, მაგრამ საკუთარმა ჩრდილმა ფეხი არ მოიცვალა. ეგონა, მომეჩვენაო, — წაიხარა, დაბრონძალდა, ხელები აიქნია... ჩრდილი კი გაუნძრევლად იდგა და ილიმებოდა კიდეც... თუმცა, შიშმა თმა არ დაუყენა ყალყზე, არც ეკალი დაუყრია... ცირკის არენაზე მოხტუნავე კლოუნი წარმოუდგა... ვერც ამან უშველა და შიშმა კლოუნთან ერთად იმ წამსვე ამოატივტივა გორაკი, რომლის ფერდობზე პატარა ბიჭები არბოდნენ... ხელები ჩაეკიდნათ ერთმანეთისათვის და ბალახებზე რბილი რწევით არბოდნენ ქვემოდან ზემოთ... ბავშვების შემყურეშ, თვითონაც სცადა გაქცეულიყო. რამდენიმე მეტრი გაირბინა, შემოტრიალდა და თვალები დააჭყიტა — თავისი ჩრდილი ისევ ისე იდგა და აშკარად იცინოდა... ახლა მთვარის შუქი წინიდან ეცემოდა მას... იგრძნო, უკანასკნელი იმედი უნდა ეძებნა. ფრთხილად შემოაბრუნა თავი, საკუთარ ჩრდილს ჩამოხედა, მაგრამ აჩრდილი აღარც უკან ჰქონდა... თავზარი დაეცა. ჭანჭურამდე ძლივს მივიდა, მიეყრდნო, ჩაიმუხლა და გაშეშდა...

იქიდან, საითაც ჩრდილი დარჩა, ხითხითი მოესმა. გამოცივებული თვალები მიაშტერა სიცილით გაჭაჭულ აჩრდილს, რომელიც უწინდებურად მთვარისაკენ ზურგშექცევით იწვა...

ჭანჭურის ძირს მაგრად ჩაეჭიდა, დაეშვა, მიწას გაეკრა... ძირნაყარი ხილის სუნი იგრძნო. წამოკრიფა, პირი გამოიტენა და დადუმებულ ჩრდილს გახედა. მიხვდა, რომ ჩრდილი ველარ ხედავდა მას. შვება იგრძნო...

აჩრდილმა ჯერ გაიხედ-გამოიხედა, მერე ნელა წამოჯდა, ნიავივით მსუბუქად ადგა, სახლისკენ წამოვიდა, კარები შეაღო, სათითაოდ ჩამოუარა შვილებს, ცოლთან ყველაზე დიდხანს შეჩერდა, წყნარად მოშორდა, გარეთ გამოვიდა, ვაზზე ჩამოკიდებული თოკის გორგოლასთან მივიდა, დაზომა, მაკრატლით მოჭრა და ეზოს ბოლოში მდებარე პატარა ოთახში შევიდა, სადაც კოჭზე სველი თოკი კონწიალობდა და კედელთან ხახვით სავსე ტომარა იდგა... სველი თოკი გარეთ გამოსროლა, თავისი თოკი ჩამოაბა, ყულფი გააკეთა და გაეცინა...

ჩრდილდაკარგული, შეშინებული კაცი პირქვე ეგდო ხის ძირში და ძირნაყარ ჭანჭურს იტენიდა პირში. კურკებსაც კი ამტვრევდა და გემრიელად აკნატუნებდა.

როცა აჩრდილმა თავი გაჰყო ყულფში და ჩამოკონწიალდა, კაცი ზმუილით წამოხტა, — საშა-საშაო! დაიბღავლა, ოთახში შევარდა, ფეხებზე წახწვდა აჩრდილს, მაგრამ აჩრდილმა წიხლი მიაზილა. ხახვით გამოტენილ ტომარასთან მიენარცხა და გაქვავდა...

აჩრდილი გაქანავდა, ასხმარტალდა და ჩვარივით ჩამოეკიდა... ახლა, კაცს აღარ უკვირდა, რატომ გაიქცა საშა მინდორში გაჩერებული კომბაინისკენ...

ჩრდილჩამომხრჩვალი კაცი ყრუდ ზმუოდა, ძირნაყარი ჭანჭურით იტენიდა პირს, ცრემლი სდიოდა, ერთადერთ გორაკს უყურებდა, რომელზედაც პატარა ბალღები არბოდნენ... საშას მუდარით მოგრეხილი სახე არ შორდებოდა, ხელების კანკალით ეხვეწებოდა — კემეროვოში ჩემს მაგივრად წადი მივლინებაშიო.



## მერი ბადრიაშვილი

●

მეშინია, ავად არ გახდეს
ჩვენი სიყვარული,
სენი რაიმე არ შეეყაროს!
რომ ვერ ვუწამლო?!
უშენობით დაობლებულ სივრცეს,
რა გული აიტანს...
რომელმა ღიმილმა ანუგეშოს
ლაწვებზე გაჩენილი ცრემლის
ბილიკები...
რა სიხარულმა გაიტანოს
შუბლის კვლებში გაწოლილი ნაღველი...
გავუფრთხილდეთ ჩვენს სიყვარულს,
ნუ მივაგდებთ გერივით.
მძიმეა არსებობის უღელი...
სიყვარულს კი ფარვანას ფრთები
გამოუსხამს
და ისე ნავარდობს ჩვენს სანთლებად
ანთებულ
გულის სიახლოვეს...
რამეთუ მასაც, როგორც ყველა
სულიერს,
სითბო უყვარს და მისკენ ეშურება.
ნუ გავიყინავთ გულებს,
ნუ ჩავიყენებთ მზერაში ყინულის
სიცივეს,
ნუ გავკიცხავთ ფიქრებს სითამამისთვის
და გრძნობებს — შეუნიღბაობისთვის.
ის ხომ ერთადერთი გრძნობაა,
რომელსაც ნიღაბი არ სჭირდება.
მისი სიშიშვლე—სიმართლეა!
ჭეშმარიტი, განუმეორებელი
და წრფელი!
ჩვენ ხომ მუდამ ძიებაში ვართ
და თუ ვიპოვეთ,
ღვთის გულისათვის, ნუ უკუვაგდებთ...

### პოეტის ერთი ლექსი

## ბათუ დანელია

### იერუსალიმ!

წასულ დიდებას მზე ცრემლით
მისდევს, —
მიაქვს და მიაქვს დროს ნამუსრალი...
როდესაც ჯვარზე აკრავდნენ ქრისტეს,
შენ სად იყავი... იერუსალიმ?!

სიბნელეში რომ ვეგდეთ უგონოდ,
მაშინ მოვიდა იგი მესიად
და მასზე უწინ ვინ მოვიგონო,
როდესაც ჩემს წინ დგას ეკლესია!

გამახსენდება იგი მაშინაც —
სინაგოგასთან როცა ჩავივლი...
იერუსალიმ, შენი საშველი
მხარზე მეხვევა მოყვრის მკლავივით.

პირველყოფილი შეგრჩა სისხლიღა,
სხვა დანარჩენი გიჩანს ღვენთებად...
ისე ბებერი და ყმაწვილი ხარ —
შენი ასაკიც არ გახსენდება.

შენს ჭალარასთან არაფერია
ხანი მუხისა და მათუსალის... —
შენს გემს კლდეები და ქარაფები
მაინც ელიან, იერუსალიმ!... —

გაფრთხილდი! — აწმყო ისევ ვერაგობს,
არც მერმისია კოშკი კარლია!..
შენ კარგად იცი, ქრისტეს პერანგი
საქართველოში რატომ მარხია!—

იერუსალიმ! — შეუბრალებელ
ბედმა დაგშალა და დაგარბია,
დღეს კი გელტვიან ებრაელები, —
წმინდაა მათი იერარქია...

სათნოების გზას ვინც ემიჯნება —
არ გაიხარებს იგი აროდეს!

იერუსალიმ, რაღაც ნიშნები
მოდის ზეციდან... და გიხაროდენ!

იერუსალიმ! სურვილი გმოსავს
დიდებით მოგვრილ წმინდა კურცხალის,
დიდება მოდის, ვითარცა მოსე, —
უნდა ელოდო, იერუსალიმ!

უთუოდ მოვა იგი, უთუოდ
და კვლავ უშველის, ვისაც შველოდა!
იერუსალიმ, მისი დუდუნი
შემოგესმება საქართველოდან!—

მოვა და აგვხსნის, რაიც დაგვედო
სულის გამომცდელ ტანჯვის ხუნდებად.
და სასუფევლის გადასახედი
გაბრწყინდება და აგუგუნდება...

არ შეენდობა არავის სისხლი
და არდანდობა ძმისა და მოყვრის! —
ცოდვის ხე ნაყოფს იმხელას ისხამს,
რომ თვით გოლგოთის ხერხემალს
მოხრის.

იერუსალიმ! — ჩვენ იქ ვიდგებით,
სადაც ვდგავართ და დღემდე ვიურვით!
იერუსალიმ! — მოვა დიდება,
დიდება იგი არის ღვთიური! —

შენ არ შეირგე ის თავის დროზე,
და მიალურსმნე ძელსა და ბოძალს,
დღეს კი უსაზღვრო სურვილი გმოსავს
დიდებით მოგვრილ წმინდა კურცხალის...
უნდა ველოდოთ მეორედ მოსვლას!
უნდა ველოდოთ მეორედ მოსვლას!
უნდა ველოდოთ მეორედ მოსვლას!
იერუსალიმ!
იერუსალიმ!

# უფრო გვიან რომ არ იყოს...

ისტორიული ბედუკუღმართობისადა უცხო ტომის მოძალების მიზეზით ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში მრავალ ქართველს გვარი, ეროვნება და რჯული შეეცვალა. ადრე ამ საკითხზე ხმის ამოღებას „ინტერნაციონალისტური ეთიკის“ გამო ვერიდებოდით. დღეს, ღვთის მადლით, შეგვიძლია არათუ ხმა ამოვიღოთ, არამედ საქმის გამოსასწორებლად პრაქტიკულ ღონისძიებებსაც მივმართოთ, მით უმეტეს, ამას თვით „გაუცხოებული“ ქართველები ითხოვენ.

გასული საუკუნის ჟურნალ-გაზეთები, იმდროის ამსახველი პრესა არცთუ იშვიათად ეხება მდინარე ქციის სათავეში, თრიალეთის მთებს შორის გაშენებულ ქართველებით დასახლებულ სოფელ რეხას.

საბჭოთა პერიოდის ავტორები, ვინც კი რაიმე თქვა რეხაზე, ერთხმად იმეორებენ, რომ რევოლუციამდელ საქართველოს სოფლებიდან რეხა ერთ-ერთი ყველაზე გალატაკებული სოფელი იყო. რომ „ჩინოვნიკ მოხელეთა წყალობით“ და ჭრელი ეთნიკური შემადგენლობის მოსახლეობით გარშემორტყმულ რეხელ ქართველებს გარდაუვალი გადაგვარება მოელოდათ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადმოსახლებულებს არავითარი დახმარება არ გაუწია, პირიქით, თავად ციციშვილს (რეხა და მისი ხანახები მას ეკუთვნოდა) რეხელების დამონება მოუნდომებია, მაგრამ რეხელები არ დამორჩილებულან, საქმე იქამდე მისულა, რომ განრისხებულ თავადს მათთვის პატარა მდინარე საპანაურით (რომელიც ს. რეხას ჩამოუდის) სარგებლობაც კი აუკრძალავს...

დიახ, ყოველივე ეს ჭეშმარიტია, ოღონდ იმის წერა, თითქოსდა ადამიანური ცხოვრება, როგორც სხვებს, ისე რეხელებსაც, მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა, მართალი არ არის.

რეხას ისტორია ტანჯვა-წამებისა და ვაგლახი ცხოვრების მღაღადებელია, რაზედაც მიგვანიშნებს თვით ხალხის მიერ შეთხზული ერთი პატარა ლექსიც:

თავს რეხავ, ბოლოს ეძანო,
შუაში ბეშქანაშენო;
თუ მტერმა ასე გვირია,
სახლი როდის ავიშენო,
გინდაც სახლი ავიშენო
შიგ, როდისღა მოვისვენო!

რევოლუციამდე ათას ჭირგამოვლილ სოფელს თანდაყოლილი უბედობა დღემდე შემორჩა, რეხელები დღესაც ეჭვის თვალით მასჩერებიან მომავალს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართველ საზოგადოებრიობას რეხა გააცნო მწერალმა ზაქარია (შაქრო) გულისაშვილმა, ხალხოსანმა მასწავლებელმა, გლეხის მოსარჩლე მწერალმა, მოგვიანებით მღვდლად აღკვეცილმა, რომელმაც საინტერესო ნარკვევი დაგვიტოვა თრიალეთზე და გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაოებზე.

ზ. გულისაშვილის გადმოცემით, რომელიც კარგად იცნობდა ამ მხარეს, უწინ თრიალეთში 18 ქართული სოფელი ყოფილა, შემდეგ ჩვენი ქვეყნის ამ უშველებელ მხარეს, „სადაც ძველთაგან სიცოცხლე დუღდა, სად მამულისათვის ქართვლის ხმა ჰქუხდა“, უცხო ტომის ხალხი დაპატრონებია, დაუნგრევია აქაურობა, მოუშლია წარწერები და მოუსპია ისტორიული სახელწოდებები. თრიალეთის სახელწოდებაც ბოგდანოვკამ შეცვალა, აღარ იხსენება ქართული სახელებით ნადირის წყარო (ნადირბულახი), აგრიყალი, თავკვეთილი, (მოგვიანებით ნიკოლას მთათ წოდებული), შავნაბადა, ზიარეთი, კარკანალდი... ტაფობში ქართულ ნასოფლარებს, სადაც შემდეგ სომხები და დუხაბორები დასახლდნენ, ადრე რქმევია: სალამო, ბანძა, მაჭიტი, ფარვანა, ფოკა და სხვა... ეკლესიები და მათი ნანგრევები ამას ახლაც გვიმტკიცებს.

წალკაშიც დავიწყებასაა მიცემული ეძანი, რომელსაც დღეს პარმაქსიზს ეძახიან, ეძნის სიდი (დღეს პარმაქსიზის სიდი), ჭინიშის ხევი, საბატე, კვირიკის მთები, ბეშქენაშენის ხევი (ბერძნების მიერ ბეშტაშნის ხევად წოდებული), ბარეთის ტბა; „აღმოსავლეთით ბეშქანაშენისა არის ტბა ბარეთისა და მის გარშემო ლიკვნის მთამდე დაბნები მრავალი“ (ვახუშტი), ამ ტბას ეხლა ბერძნები ბაშკოვის ტბას ეძახიან, ბარეთი კი ამოშლილია სხოვნიდან...

რეხაზე ზაქარია გულისაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას. „...რომელ ქართველს არ გაუგონია სოფელი რეხა. ძველის ანდაზის ძალით „წაგართმევენ რეხასაო, მოგცემენ რეხვესაო“. აი ეს რეხა ორასკომლიანი ქართველთა სოფელი და სრულიად ისეთი მასხარა არაა, როგორც უწინ გაუტეხიათ სახელი. სოფელი მდინარე ქციის, ანუ ხრამის სათავეს მოუქცევია და გამაგრებულა იმ თრიალეთის ზედა კრიჭაში, სადაც მტერს, თუ გადმოსვლა მოუხდებოდა თრიალეთზედ, ამაზე უნდა გადმოსულიყო, თუ გასვლა, ამაზე უნდა გადაეარა“. რაღა ჭირვარამი არ გამოატარა ამ ძნელბედობებმა რეხელებს — ბევრს გვარი და ეროვნებაც კი დააკარგვინა.

ჩვენი წერილის მიზანია გამოვამზეუროთ სიმართლე, ისტორიული ბედუკუღმართობით ჩვენსავე მიწაზე ეროვნება და გვარშეცვლილ ქართველებს დავეხმაროთ საკუთარი გვარის დაბრუნებასა და ეროვნების აღდგენაში.

...რეხელების უმეტესი ნაწილი არტაანის მხრიდან, სოფელ ველიდან არიან მოსულები, ნაწილი კი ჯავახეთის სოფელ კოთელიიდან და გორის მაზრიდან. მიზეზი სხვადასხვაა. ძირითადი კი ისაა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის (1828 წ.) დროს ს. ველში მცხოვრებმა ქართველებმა რუსის მხედრობას ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს. თურქებისაგან გამწარებული ქართველები (ველი ის სოფელია, რომელსაც სარწმუნოება ვერ შეაცვლევინეს) კმაყოფილებით შეხვდნენ ერთმორწმუნე რუსეთს. მაგრამ ომის შემდეგ დადებული საზავო პირობებით სოფელი ველი, ბევრ სხვა სოფელთან ერთად, ისევ თურქთა მფლობელობაში გადავიდა. თურქ დამპყრობთა შურისძიებით შეშინებულ ველელ ქართველებს რუსეთის ხელისუფლებისთვის საქართველოში გადმოსახლების უფლება უთხოვიათ და მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში თითქმის ნახევრად გაპარტახებულ ს. რეხში დასახლებულან.

გადიოდა წლები, თურქულენოვან სხვადასხვა ეთნიკური შემადგენლობის მოსახლეობით გარშემორტყმულ ქართველებს მშობლიური ენა თანდათან ავიწყდებოდათ; თუმცა ამის მიზეზი მარტო სხვა ეთნიკური ჯგუფების გარემოცვა და „ქეშიშების“ (ბერძენი მღვდლების) მოღვაწეობა არა ყოფილა: ქვემო ქართლის რეალური სურათი და სანდო წყაროები გვაუწყებენ, რომ ცარიზმის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ სწორედ აქ ჰპოვა ნოყიერი ნიადაგი, ქვემო ქართლში ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი 697 სოფლიდან, მეოცე საუკუნისათვის 98 სოფელიღა შემოგვრჩა.

რეხელთა გაბერძნების (თუ გათურქების) პროცესისათვის თვით ზაქარია მღვდელსაც მიუქცევია ყურადღება. იგი წერს: „...თხუთმეტიოდე წლის წინ, ყველა რეხელი ქართულად ლაპარაკობდა... ახლა კი ქართულს თუ გაიგონებთ მოხუცებისაგან, ახალგაზრდები კი „ჭიუჭიუობენ“ რაღაც გაუგებარ ენაზე“.

აი, როგორ აღწერს იგი დიალოგს ერთ-ერთ რეხელთან:

„— შენი სახელი? — ვეკითხები რეხელს.

— მარკოზ.

— გვარი?

— ქეშიშოღლი.

— განა ქართველი არა ხარ?

— მაშ, ვინ გახლდები, მამაო?

— ქეშიშოღლი და ქართველი?

— მამაო, ჩვენმა ბერძნის მღვდლებმა განა მარტო ეს ჭირი შეგვყარეს? იმ თავით ჩემი გვარი ხუციშვილია...“

რუსეთის პოლიტიკა, ქართული ელემენტის აშკარა შემცირებისა და მოსპობისკენ იყო მიმართული, ამით ქართულ მიწის ხიზნებიც ხელს ითბობდნენ და საქმეებს თავიანთ სასარგებლოდ სწყვეტდნენ.. თურქთა შურისძიებას გადარჩენილი 1830-იანი წლებიდან საქართველოში მოსული, რუსეთის მთავრობის მადლიერი ბერძნები მზად იყვნენ „სიკეთე“ „სიკეთით“ გადაეხადათ და მთავრობის ყველა დავალებას უსიტყვოდ ასრულებდნენ. როგორც კი XIX საუკუნის ბოლოს რეხელების უკანასკნელი მღვდელი დარჩია იძულებული გამხდარა, რეხას ქართული ეკლესია და სოფელი მიეტოვებინა, აქაურებს მეზობელი ბერძნული სოფლის — ავრანლოს „ქეშიში“ მოვლენია. ბერძენთა გულმოდგინება — რეხელებისათვის დაევიწყებინათ ქართული ენა (რაც ძირითადად შეძლეს კიდეც) იმით დასრულდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს სტატისტიკური მონაცემებით თრიალეთში (წალკის რაიონი) არც ერთი ქართველი მოსახლე აღარ ჩანს. თვით რეხას ქართველი მოსახლეობაც კი ბერძნებად არის გამოცხადებული. ასეთივე სურათი გვაქვს წინწყაროში (თეთრი წყაროს რაიონი), ოფრეთში (მარნეულის რაიონი) და მთელ რიგ უცხოური ტომით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში.

— „ქეშიშების“ პროვოკაციული საქმიანობა (ვინც ბერძნდებოდა, საბერძნეთიდან გამოგზავნილ სურსათ-სანოვაგეს ურიგებდნენ და რუსეთის მთავრობის შეღავათებს ავრცელებდნენ) იქამდე მისულა, რომ საბერძნეთში 1909-10 წლებში წამსვლელ ნამდვილ ბერძნებისათვის, ბერძნებად მონათლულ საბაძიანთ რამდენიმე ოჯახის გაყოლებაც მოუხერხებიათ, — ამბობენ ჰამლეტ საბაძე და გიორგი ზაზოვი, ორივეს თავდაპირველი გვარი გადმოცემით მანველიძე ყოფილა. ორი ძმა საბა და ვახტანგ მანველიძეები თურქეთიდან გამოქცეულან და თავი ახალციხის რაიონის სოფ. ხეოთისთვის შეუფარებიათ. გვარი შეუცვლიათ, საბას სათავე დაუდვია საბაძეების გვარისთვის, ხოლო ვახტანგს ვახტანგიშვილების გვარისთვის. საბაძეებს ხეოთში აუგიათ ეკლესია, რომელიც დღესაც არსებობს. ხეოთიდან დროთა ვითარებაში საბაძეები გადასულან ჯავახეთის სოფელ კოთელიაში, ხოლო იქიდან შედარებით უშიშარ ადგილას გახიზნულან. კოთელიაში მათ ახლაც ჰყავთ ახლობლები, ნათესავები და შენარჩუნებული აქვთ მისვლა-მოსვლა.

საბაძეთა გახუყოფი ვახტანგიშვილები დღესაც ცხოვრობენ სამხრეთ საქართველოში. მოგვარეები ცხოვრობენ გორის რაიონსა და თელავში. თელაველი ვახტანგიშვილების გვარი რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო ვახტანგოვად მოინათლა, ხოლო XIX ს-ის II ნახევრიდან ნაწილი სომხადაც კი ჩაწერეს. ვახტანგოვების ადრინდელი გვარი — ვახტანგიშვილი ფიქსირებულია თელავის 1859 და 1878 წლების აღწერის დავთრებში. (სცსსა, ფ. 254, 2, საქმე, 198, ან 8, საქმე № 108) და როგორც ქართული გვარი არა ერთხელაა ნახსენები XIX ს-ის საისტორიო საბუთებშიც (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 248).

გიორგი ზაზოვი (იგივე ზაზაშვილი) მოგვითხრობს: „ზაზაშვილები გორის რაიონიდან ჯერ თბილისში წასულან, ხოლო იქიდან რეხაში გადასულან. რეხაში ზაზაშვილთა 4 კომლია, რომლებიც ზაზოვებად და ეროვნებით ბერძნებად იწერებიან. მათ შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ქართული ენა და ქართველური სახელები: გიორგი, უშანგი, ზაზა, ზურაბი, ზვიადი, თედო, თევდორე, ბათლომე, ცირა, ნანა, მზია, ლიდა, ზეინაბი, საბედა (ელისაბედი), გამორევიათ, აგრეთვე ერთიმედა, ხარლამპი და ოდისეი.

— მე პირადად მყავს სამი შვილი, ამბობს გ. ზაზოვი, ჯერ ახალგაზრდა ვარ, მექანიზატორი, მეორე წელიწადია რაც გავეყარე მამაჩემს, მინდა წინაპრებს მივბაძო და კიდევ მივუმატო შვილებს. ვიცი, რომ ქართველები ვართ, ყველას გვინდა ჩვენი გვარისა და ეროვნების აღდგენა, ოღონდ არ ვიცით როგორ გავაკეთოთ. როგორ მოვიქცეთ?! ბევრი გვპირდება დახმარებას, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს, არადა როდემდე ვატაროთ ეს მძიმე ტვირთი“.

კოსტანაშვილები, ყარამანი, შალვა, ზაზულა, ილია, ისაკი იწერებიან კონსტანტინოვებად და ბერძნებად. რეხელ კალაძეებს (კალმახჩევებს) ჰქონდათ მეორე გვარიც, ლარიბაძე, კალაიჩევებიც, როგორც აქ, ისე სხვა ბერძნულ დასახლებებში (წინწყარო...) ბერძნებად არიან ჩაწერილი.

ლაზარიშვილებიდან ნაწილი ლაზაროვია, ბერძენი, ხოლო ნაწილი ქართველი. არიან ისეთებიც, რომლებსაც გვარი შეეცვალათ ლაზაროვად, მაგრამ ეროვნება დარჩათ ქართველი.

დმანისის რაიონის სოფ. ველისპირში ცხოვრობენ უმუდუმოვები, ეს გვარი ქართული იმედაძიდან არის თარგმნილი (უმუდო ნიშნავს იმედს). უმუდუმოვების, მათ შორის ნუგზარ ერემის ძე უმუდუმოვის წინაპრებიც იმედაძეები ყოფილან. ნუგზარის დედა ფურცელაძეა, მეუღლე — ჭულაყიძე.

ღვინიაშვილები დიდხანს ხრისტაფოროვებად იწერებოდნენ, დღეისათვის კი თითქმის უმრავლესობამ დაიბრუნა საკუთარი გვარი და ეროვნება.

ბერძნებს შორის ვხვდებით გვარს ბალაბანოვს. იგი ქართული გვარიდან — დალბანდიშვილიდან მოდის. სოფ. ავრანლოში მცხოვრებმა ბალაბანოვმა მონათლა რეხელი დალბანდიშვილი, ნათესაური კავშირი რომ განმტკიცდა, ურჩია დაწერილიყო ბალაბანოვად (ე. ი. ბერძნად), რათა შეძლებოდა მიელო საბერძნეთიდან ბერძნებისათვის გამოგზავნილი სურსათ-სანოვაგის წილი.

გარდა აღნიშნული გვარებისა, ამჟამად სოფელ რეხაში ცხოვრობენ: მაცუკატოვები (ზოგის აზრით, ისინი ივანიძეები არიან, ზოგის აზრით კი — ქავთარაძეები), მურმანოვები (მურმანიშვილები), (ვიდრე რეხა გორის რაიონში შედიოდა, ისინი მურმანიშვილები იყვნენ) მიქაძეები, მინაძეები, ხუციშვილები, მანძულაშვილები, ურუმაშვილები (ეს უკანასკნელნი გადმოსულან „ბერძნების გომარეთიდან“).

რეხაში მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა დაიბრუნა მამაპაპისეული გვარი და აღიდგინა ეროვნება. სხვებიც ილტვიან ამისკენ. დაწყებულ პროცესს წინ არავინ არ უნდა აღუდგეს, ვინც ამას აქა-იქ წინ ეღობება, იგი სხვათა წისქვილზე ასხამს წყალს.

ამ სახიკეთო პროცესს ყველასგან მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება.

რეხელებს სხვაც ბევრი აქვთ გასაჭირი და მოსაგვარებელი.

არა აქვთ კლუბი და სხვა კულტურული დაწესებულებები, მაგრამ ათეული წლების მანძილზე რაიონის ხელმძღვანელები რეხელთა სამართლიან მოთხოვნებს ყურად არ იღებდნენ და იქით საყვედურობენ. უნარი არ შეგწევთ გაიგოთ რაიონის წინაშე მდგომი დიდი და პატარა პრობლემებიო. რეხას სატკივარი კი დღემდე „პატარა“ პრობლემების რანგში გადიოდა.

რეხელთა ერთი საჩივარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომაც (1980-იან წლებში) განიხილა. ამის კვალობაზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გადადგა ნაბიჯები აღნიშნულ სოფელში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად. მეთოდური დახმარება გაეწია სკოლას, ჩაატარეს თემატური საღამო, იყო ცდა ჩამოყალიბებულიყო დრამატული წრე, მაგრამ კეთილი თაოსნობა ჩაკვდა. მითითება, რეხას კლუბი გადაეტანათ უკეთეს შენობაში, ქაღალდზე დარჩა.

70 წელზე მეტია, რაც რეხელი ახალგაზრდობა უცდის რაიონის მესვეურთ, როდის დაადგება საშველი შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, რომ რეხასაც მიხედონ. მობეზრდათ რეხელებს ალმა-დალმა სიარული, ახოხით კაცი ყოველწლიურად ბრიგადებად რომ იშურებიან ხოლმე რუსეთის ქალაქებში ფულის საშოვნელად, მათ სურთ თავიანთი შრომა და ხელობა საკუთარი რაიონის კეთილდღეობას მოახმარონ. მაგრამ განმკითხავი არავინაა, იცლება სოფელი, უმაღლესდამთავრებულები ქალაქში მიდიან საცხოვრებლად, ვინც სოფელში დარჩა არა აქვთ იმის პირობები, რომ თავისუფალი დრო ქართული ყოფისა და კულტურის ელემენტებით შეივსონ. თურქეთის, ისრაელის, ფერეიდანის მიწიდან ჩამოდიან საქართველოში, სწავლობენ ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, იაპონელებმა ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების ვირტუოზული შესრულებით ყველა გააოცეს, აქ კი ყურის ძირში, მშობლიურ მიწაზე რეხელთა ქორწილებსა და დღეობებში არ ისმის ქართული სიმღერა, აღარ ცეკვავენ ქართულად. ბოლო ხანებში პრესასა და რადიოში ატყდა ხმაური, რეხელებს სპონსორებიც კი გამოუჩნდნენ, ბევრი საჭირო და აუცილებელი რამ აჩუქეს, პიანინოც კი მიუტანიათ, მაგრამ მასზე დამკვრელ-შემსრულებელი არავინაა.

გასულ წელს, გამომცემლობა „განათლების“ კოლექტივმა (დირექტორი ლ. ხუნდაძე) რეხას საშუალო სკოლას სახელმძღვანელოები და მრავალი საკითხავი წიგნი ჩაუტანა. სოფლელებმა მანქანიდან გადმოტვირთვის დროს იკითხეს „საქართველოს ისტორია თუ ჩამოგვიტანეთო“. როგორ შევბენ გამომცემლობის წარმომადგენლები მაინცდამაინც 400-ზე მეტ წიგნთა შორის ნანატრი წიგნი რომ არ იყო. კარგი იქნება თუკი აღნიშნულ ორგანიზაციას მხარს აუბამს თბილისის ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი და კულტურულ მომსახურებას გაუწევს სოფელს. ამასთან იზრუნებს იმისათვის, რათა სოფელს აღუზარდოს კადრები — თეატრალური, საგუნდო, ქორეოგრაფიული კოლექტივების ხელმძღვანელები.

როგორც დავინახეთ, წლების მანძილზე იმდენი „მოვახერხეთ“, რომ წალკის რაიონში ეს ერთადერთი ქართული სოფელიღა შემოგვრჩა და მასაც გადაგვარება და დაცლა ემუქრება. ყოველივე ამასთან ერთად მიწის უკმარობაც გამხდარა რეხელების სადარდებელი. ერთ კვიმატ დღეს ვიღაც ვაიხელმძღვანელს მიწები წაურთმევია და სხვისთვის გადაუცია. სოფლელებმა გვითხრეს: „ძალადობით, ომით, ჩხუბით თანდათანობით შევიწროების გზით წაგვართვეს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით კუთვნილი ე. წ. შუამთის ტერიტორია, რომელიც ოდითგან ჩვენი საძოვრები და სათიბები იყო და სხვას მისცეს. ბევრი ჩივილისა და დავიდარაბის შემდეგ თითქოს დაგვიბრუნეს, მაგრამ 240 ჰექტარი კვლავ შეტყაპუნებული აქვთ. ეს სოფლისათვის ყველაზე დიდი სატკივარია. 1988 წლიდან მოყოლებული მიწას სხვა ხმარობს, ჩვენ კი მესაქონლეობის მიმდევარი ხალხი პირში ჩალაგამოვლებულები ვსხედვართო“.

კარგი იქნება სოფელში რომელიმე ფაბრიკის ფილიალი თუ გაიხსნება, ამბობენ რეხელები, აბა წარმოიდგინეთ ზამთრის გრძელი ღამეები, სოფლური ცხოვრება. წელიწადში ფაქტიურად სამი-ოთხი თვის სამუშაო გვაქვს. დანარჩენ დროს, უსაქმობაში ვკლავთ. მუშა-ხელი არ გაცდება, ხელფასიც გვექნება, და ქვეყანასაც ვარგებთო.

სოფელში ითქვა და ჩვენც ვიმეორებთ: საქართველოს საპატრიარქოს მზრუნველი ხელი სჭირდება სოფლის გამოკეტილ ეკლესიასაც, რომელიც ერთხელ, 1877 წელს კი აღუდგენიათ, მაგრამ დღეს კვლავ ელის რესტავრატორებს. რეხელები რწმენადაკარგული ხალხი როდია. ოდითგან ქრისტიანებს დიდი სურვილი აქვთ, აღნიშნონ შობა და აღდგომა, გიორგობა და ნინოობა, მონათლონ ბავშვები და დაიდგან გვირგვინი. ეს რეხელთა ოცნებაა, და ოცნება უნდა აუსრულდეთ.

იმედებს არაფორმალურ ორგანიზაციებზე და მათ ხელმძღვანელებზეც ვამყარებთო, ამბობენ სოფელში, და იქნებ, ყველამ ერთად ვილონოთ, ბოლოსდაბოლოს, რეალურად რომ დავეხმაროთ თანამოძმეებს, რათა რეხელები კვლავაც გამრავლდნენ მამა-პაპის ფუძეზე.

იქნებ დაჩქარდეს რეხაში აჭარელთა ჩასახლების პროცესიც, მათ ხომ აქაურები დიდის სტუმართმოყვარეობით ელიან.

დიახ, ჯერაც არაა დაგვიანებული, თუკი ოპტიმისტურად განწყობილ რეხელებს ქომაგად მთელი ჩვენი საზოგადოება მოევლინება.

**იაკობ ახუაშვილი,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

# „ქვათა ღაღადის" ექო

## იზა ზაალიშვილი

1987 წლის „მნათობის" მე-12 ნომერში გამოქვეყნდა როლანდ თოფჩიშვილის წერილი „XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ", სადაც ავტორი ეხება საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც ჟამთა უბედობის გამო, სხვა სარწმუნოება მიიღო და მისი ეროვნებაც ამ სარწმუნოებათა მიხედვით განისაზღვრა. ახე გაჩნდნენ ქართველი მაჰმადიანები (ე. წ. თურქები), ქართველი გრიგორიანები (ე. წ. სომხები) და ქართველი კათოლიკეები (ე. წ. ფრანგები).

ამგვარი ბედი ეწია ქვემო ქართლის სოფლებს: კუმისის, თელეთის, კოდის, ენკეთის, შინდისის მოსახლეობასაც.

როლანდ თოფჩიშვილის აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ:

„კუმისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (გრიგორიანული სარწმუნოების გამო, კი სომხებად არიან ჩაწერილი). ამ შემთხვევაში, თავად გვარსახელები მიუთითებენ თავიანთ ტომობრივ ქართველობას: ბაბალაშვილი, გურასპაშვილი (შდრ, გურასპაული), საყვარელაშვილი, მათურაძე (შდრ. ოიკონიმი მათურა ფშავში და გვარ-სახელი მათურელი), თათარაშვილი, გზირიშვილი, ტეტიაშვილი, კახელაშვილი, ქობულაშვილი, ოლქიაშვილი, დედალაშვილი, ნინიაშვილი, სოზიაშვილი, მაისურაძე, საყევაროვი, კახუროვი, როსტიაშვილი..."

აქვე: — „სოფელ კუმისში (254-3-1616) მკვიდრობდა **Кекелов (он же Алавердашвили)**».

როგორც კუმისის მკვიდრს, საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველს გავაცნოთ ამ სოფელში მცხოვრები მოსახლეობის წარმომავლობა, ამ სოფლის ტოპონიმიკა და ავხსნათ, თუ რა მიზეზით უწოდებდნენ აქაურ მცხოვრებლებს სომხებს, როდესაც მათ ერთი სიტყვაც არ იცოდნენ სომხური; გლეხობისაგან ხშირად გამიგონია: ნეტავ მაცოდინა, სომეხი ვარ თუ ქართველი, თუ სომეხი ვარ, სომხური რატომ არ ვიცი, და თუ ქართველი ვარ, ეროვნებად „სომეხი" რატომ მიწერიაო.

ეს საკითხი მუდამ გვაწუხებდა, რადგან, მამა-პაპისაგან ვიცოდით, რომ კუმისი დიდი ისტორიის მქონე, ქართველებით დასახლებული ქართული სოფელი იყო, მაგრამ ჩვენი ისტორიის მტკივნეული საკითხების ფართო სამსჯავროზე გამოტანა დღემდე აბუდადებული გახლდათ.

საქართველოში მოსახლეობის გასომხებისა თუ გათათრების პროცესი, რა თქმა უნდა, XIX საუკუნეში არ დაწყებულა.

ქართველ გრიგორიანთა წარმოშობის საკითხს მეცნიერულად განიხილავდნენ ჩვენი დიდი ისტორიკოსები, მიხეილ თამარაშვილი და ივანე ჯავახიშვილი, ასახელებდნენ მის გამომწვევ მიზეზებსაც; ეს თემა ისტორიოგრაფიაში ფართოდაა გაშუქებული, ახალს არაფერს ვამბობთ — ცარიზმმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რეაქციის შემოტევით უპასუხა: ეს შეეხო ეკლესიასაც, შეიზღუდა მოქმედების სფერო და გზა მიეცა კათოლიკურ-გრიგორიანულს.

კუმისი ქვემო ქართლის ერთ-ერთი მყუდრო სოფელია. ისტორიულ წყაროებში იგი პირველად XV საუკუნიდან იხსენიება. აქ 1462 წელს, მეფე კონსტანტინეს დროს, ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქმანთა ჯარი.

XVIII ს. I მეოთხედში, ვახუშტი ბატონიშვილს აღუწერია სამეფოს მოწინავე სადროშო — ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილი.

კუმისი ორბელიანთა საბატონოში შედიოდა. აქ იყო ორი წმინდა გიორგის ეკლესია — ზემოუბანსა (აქ ძველი სასაფლაოცაა) და შუაუბანში, რომლებიც ახლა დანგრეულია, აგრეთვე, სამების ეკლესია — ჩრდილოეთით, სოფლის თავში. ამ ეკლესიაში განისვენებს ქალბატონი მანანა ორბელიანი.

ეკლესიის დასავლეთ კედელში ჩატანებული თეთრი ფილა წარწერით გვამცნობს მის აღმშენებელს — ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილს.

სამების ეკლესია აშენებულია ძველი ეკლესიის ფუძეზე 1846 წელს ძველებური ქართული (ბრტყელი) აგურით.

მართალია, კუმისი ისტორიულ ძეგლებში XV ს.-ში იხსენიება, მაგრამ, ვფიქრობთ, მას უფრო ძველი ისტორია აქვს. ამის დამადასტურებლად დავასახელებთ ორ ტოპონიმს — არაბების სასაფლაო და წყაროს სახელი არაბოლი. ეს ორივე სიტყვა არაბებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სოფელი რომ ქართული იყო, ამას მოწმობს როგორც მისი ტოპონიმიკა, ისევე უფროსი თაობების ძარღვიანი ქართული მეტყველება. ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოში უცხო ტომის ხალხმა საკუთარი ტოპონიმიკა მოიტანა თან: ფონიჭალას სოღანლუღი ერქვა კარგა ხანს, ქვემო ქართლში სომხურ სოფელს დრუნუკი ჰქვია, კახეთში გვაქვს ყარაჯალა და ა. შ.

კუმისს (როგორც თბილისს, მანგლისს) აკ. შანიძე ნათესაობითი სახელად მიიჩნევს და მაგალითად იშველიებს გამოთქმას — კუმ-ური ლეღვი. აქაურ კაცზე კი ხალხი ამბობს კუმ-ელიაო. სოფელში გვაქვს ასეთი ტოპონიმები — ზემოუბანი, შოუბანი (შუა უბანი), ბულამი, ახალსოფელი, უკანახევი, ბულამის ხევი, ჩიჩიკაანთ ხევი (აზნაურ ჩიჩიკაშვილებისა ყოფილა აქაურობა), წითელ მიწა, ზაზაანთ გორა, წმინდა გიორგის ფერდა, თათარაანთ წყარო, ქვიშრობი, ნაქერალი, ანდრიაანთ ორღობე, ქოჩორაანთ უბანი, მდივანაანთ უბანი, გორიები (სასაფლაო) და სხვ. ამ გამოთქმებში ყველაფერი ქართულად ჟღერს.

სოფელმა და მოსახლეობამ ისტორიული ქარტეხილების გამოცვლილება განიცადა. მტრის მრავალი შემოტევა იყო თბილისსა და მის მიდამოებზე, კუმისი კი თბილისისაკენ მიმავალ გზაზეა. ამიტომ მსხვერპლი დიდი იყო; დროის განმავლობაში მოსახლეობა ნაწილობრივ ახლით ივსებოდა — აწიოკებული მესხეთიდან გამოქცეული ხალხით, მთის მძიმე პირობებს გამორიდებული გლეხობით (ნ. ლომოური თავის მოთხრობაში „ალი" აღწერს. თუ როგორ ტოვებს მშობლიურ მიწა-წყალს გაჭირვებული გლეხი დათუა და მიდის ქვემო ქართლის ნოყიერი მიწებისაკენ, კერძოდ, ყარაიისაკენ). კუმისის ზოგიერთ ტოპონიმზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქაც არის მოსული ხალხი. ერთ უბანს ჰქვია შოუბანი (შუა უბანი), ასეთი სახელის სოფელი რაჭაშია. ამ უბანში ცხოვრობენ მდივნები (მდივნიშვილები), რომლებიც, შესაძლოა, რაჭიდან იყვნენ წამოსულნი.

ზემოუბანში სასაფლაოს ჰქვია „გორიები" (გორი-ები) ეს ფორმა გვახსენებს ვაჟას სიტყვებს „ბახტრიონიდან" — „გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად..." ამ უბანში სხვა გვარების გარდა, ცხოვრობენ ოლქიაშვილები და ზალიაშვილები, რომლებიც, ასევე შესაძლოა, მთიდან იყვნენ ჩამოსახლებული. ზალიაშვილები ხევის მცხოვრებლები ყოფილან. ეს გვარი ნახსენები აქვს ალ. ყაზბეგს თავის მოთხრობაში „ციკო". პაპისგან გამიგონია, რომ მისი წინაპრები თადეოზი და რამაზ ზალიაშვილები (ძმები) — ხევიდან გამოქცეულან, ჩვენ მეორენაირად ნინიაანთაც გვეძახდნენ — ნინია კი მთაში გავრცელებული სახელია.

მესხეთიდან უნდა იყვნენ ხოსიტაშვილები, აფრიამაშვილები, ალავერდაშვილები, ედიშერაშვილები. ვ. ბერიძის ცნობით, დმანისისკენ, სოფელ კაკლიანში არიან ედიშერაშვილები, შერეშაშვილები. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ ამ გვარების ხალხი სულაც ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ და, უბრალოდ, მსგავსი გვარები მესხეთშიც გვხვდება.

სომხები — მიკირტიჩიანები, ოგანეზოვები, არუთინოვები, გალუსტოვები — XX ს. 20-იან წლებში დასახლებულან აქ. ისინი, თათართა მიერ აწიოკების გამო გამოქცეულან ყარსიდან და ადარბადაგანიდან, ზოგმა სომხური დღესაც იცის, თუმცა ქართულად მიიღეს განათლება და კარგი ქართულით საუბრობენ.

სოფელ კუმისში გრიგორიანული სარწმუნოება ფეხს იკიდებს XIX ს. II ნახევრიდან, შენდება სუფგეურქის ეკლესია (შოუბანში) უკვე დანგრეული წმინდა გიორგის ეკლესიის ნაცვლად და სწორედ აქ ხდება ის ანტიქართული აქცია, რასაც ეს სარწმუნოება ეწეოდა საერთოდ.

გასომხება თურმე ორნაირი ხერხით ხდებოდა — მოტყუებითა და ძალდატანებით.

ხალხის გადაგვარებას წერა-კითხვის უცოდინარობაც უწყობდა ხელს. რაიმე საჩივრის ან ცნობის დასაწერად გლეხს მღვდელისათვის უნდა მიემართა, ის კი თავისი სურვილისამებრ აკეთებდა ყველაფერს.

კუმისში მცხოვრებთა გვარებს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით. რომ გრიგორიანული ეკლესია მარტო ეროვნების შეცვლით არ დაკმაყოფილებულა, მას იმაზეც უზრუნია, რომ გვარებს სომხური იერი ჰქონოდა. ამ მიზნისთვისაც ორი გზაა გამოყენებული

1) დაბოლოების შეცვლა (გაბოიანცი, ბეგოიანცი, მდივანოვი, შერეშოვი, ოლქიევი, ალავერდოვი, არდაშელოვი და სხვ.)

2) მთლიანად გვარის შეცვლა სხვა გვარით: ათაბეგოვი (ჯაყელი); ამუზოვი (ფალავანდიშვილი). ყაზაროვი (საყევარაშვილი). ორველოვი (ჯავახიშვილი). ამირჯანოვი (გელტაშვილი). ამ გვარების ქართული ვარიანტი მხოლოდ მოხუცებისაგან გამიგონია. დღეს კი ზედწოდებასავით შემორჩა.

გრიგორიანული სარწმუნოების მესვეურთა ცდის შედეგად კუმისელთა გვარებმა ასეთი სახე მიიღო (აქვე წარმოვადგენ ძველ გვარებსაც): ქობულოვი (ქობულაშვილი — ქვ. ქართლის აზნაურები), ოლქიევი (ოლქიაშვილი). ზალიევი (ზალიაშვილი/ზაალიშვილი), თათაროვი (თათარაშვილი, ადრე თორელები ყოფილან). მურადოვი (მურადაშვილი), ამირჯანოვი (გელტაშვილი. მათ ახლაც გელტაანთ ეძახიან). ბოშიევი (ბოშიშვილი, მათი მოგვარეები ტაბახმელაში ცხოვრობენ). გურასპოვი (გურასპაშვილი), ალიხანოვი (ალხანაშვილი, ალხანაანთ ეძახიან), მდივანოვი (მდივანაშვილი. მდივანოვებად დაუწერიათ ახლამაზიშვილები და ბაბიშაშვილები), ყაზაროვი (საყევარაშვილი, საყევრაანთ ეძახიან), სუქიაზოვი (სუქიაშვილი, მათი მოგვარეები ტაბახმელაში ცხოვრობენ). ამ ძველი გვარების არსებობას სასაფლაოს ქვების წარწერებიც ადასტურებს.

ყველაფერი ეს კი გაკეთდა იმისთვის, რათა შექმნილიყო სურათი, თითქოს აქ ძირითადი მოსახლეობა სომხურია, ქართველები კი თითო-ოროლა ცხოვრობენ — ქართველიშვილები, ხუნძაყიშვილები, კახელაშვილები.

მაგრამ რა ვუყოთ ენას? — არაერთხელ გამიგონია აქ ასეთი გამოთქმები: „იმ დალალული მზის მადლმა" (სალამოს იფიცებენ), „ბაგე მაღლა აქვს" (მაძღარზე იტყვიან), „წითელი მზის ცქერით გაგაძღოს ღმერთმა" და სხვ. დამერწმუნეთ, რაგინდ კარგადაც არ უნდა ისწავლოს სხვა ერის ადამიანმა ქართული, ასეთი ქართულით ვერ ილაპარაკებს. და თუ აქ ძირითადი მოსახლეობა სომხური იყო, ქართული ვისგანლა ისწავლეს მათ, როდესაც სკოლებიც კი არ არსებობდა.

ასე ულმობლად, განუკითხავად მახინჯდებოდა ეს ძირძველი ქართული გვარები, თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისედაც მცირე ქართველობას გვაკლდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც.

ერთი მხრივ. ჩვენი თავადაზნაურობის უნიათობით. მეორე მხრივ. კი ცარიზმის მიერ უცხო ტომთა დასახლებით. რასაც ქართველობის გადაგვარებაც მოჰყვა. მივიღეთ საშინელი სურათი — ქვემო ქართლი. საქართველოს ეს უმდიდრესი მხარე. სამეფოს პირველი სადროშოები — საბარათიანო და საორბელიანო — უცხო ხალხს დარჩა და ჩვენ კი ამაზე ლაპარაკის უფლებაც არ გვქონდა.

ამ სავალალო მდგომარეობაზე ხმა აღიმაღლეს ილია ჭავჭავაძემ და მიხეილ თამარაშვილმა. მ. თამარაშვილი თავის ნაშრომში — „პასუხად სომეხ მწერლებს" — დაუნდობლად აკრიტიკებდა მათ. ვისაც სურდა საქართველოში კათოლიკობის არსებობა მიეჩქმალათ და დამახინჯებულად წარმოედგინათ ისტორიული სინამდვილე. ილია კი თავის „ქვათა ღაღადში" სომეხ მწიგნობართ მიმართავდა. „...განა აშკარა არ არის. რომ. ცრუ-ლტურ' მეცნიერობით სწადიანთ ქვეყანა დააჯერონ. ვითომ ისტორიული უფლება მიუძღოდეთ ამ ადგილებში ბინის დადებისა..."

კუმისში გრიგორიანულ-კათოლიკური სარწმუნოების გავლენა კიდევ უფრო მომძლავრებულია დაშნაკობის დროს: მათ სოფელში სომხური სკოლაც კი გაუხსნიათ და 1923 წლამდე, ვიდრე ქართული სკოლა დაარსდებოდა. სომხურად ასწავლიდნენ. მაგრამ ბავშვებს უცხო ენა ვერ შეუთვისებიათ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახსნილა პირველი ქართული სკოლა (მასწავლებელი გიორგი პაიკაძე): თუმცა, ეს სკოლა კი არა, ერთი პატარა ოთახი ყოფილა სხვენქვეშ, სადაც ერთად სწავლობდნენ ბავშვები 7-დან-10 წლამდე ასაკისა. 1924 წელს კი დაარსებულა 4-წლიანი სკოლა.

გავიდა დრო, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა, გრიგორიანი ქართველები კი „სომხებად" დარჩნენ. ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი იხილებოდა მეცნიერულად. მაგრამ მის გამოსასწორებლად კონკრეტული ნაბიჯები არ იდგმებოდა.

მხოლოდ 50-60-იან წლებში დაიწყო ერთგვარი გამოცოცხლება და გაახსენდათ, რომ არსებობდა კანონი — 16 წლის ასაკის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება მიეკუთვნოს იმ ეროვნებას, რომელიც თავისად მიაჩნია. ჩვენი სოფლის განათლებულმა ადამიანებმაც დაიწყეს ამაზე ზრუნვა. მიმართეს არქივის მასალებს და დაიწყეს თავიანთი ძველი გვარების დაბრუნება, თუმცა, ყველამ ვერ შეძლო თავისი გვარის დაბრუნება.

ახლა კი, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, იქნებ დადგა იმის დროც, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობას დაუბრუნდეს თავისი ნამდვილი გვარსახელი და ეროვნება.

# „რადუგამ" გამოსცა „ვაზის სიმფონია"




საკავშირო გამომცემლობა „რადუგამ" სერიით „მოთხრობები, ესეები, ლეგენდები", ინგლისურ ენაზე გამოსცა კრებული „ვაზის სიმფონია", რომელშიც შევიდა (ავტორებს ვასახელებთ იმ თანმიმდევრობით, როგორც არიან დაბეჭდილი) რევაზ ინანიშვილის, ავთანდილ ჩხიკვიშვილის, არჩილ სულაკაურის, გურამ გეგეშიძის, რევაზ მიშველაძის, ოტია იოსელიანის, გოდერძი ჩოხელის, ბულატ ოკუჯავას (ამ რუსი მწერლის მოთხრობა კრებულში, უდავოდ. ავტორის ქართული გვარის გამო მოხვდა), გურამ დოჩანაშვილის, გურამ რჩეულიშვილის, შოთა არაბულის, გურამ პეტრიაშვილის, თენგიზ ჩალაურის, ფაზილ ისკანდერის (გაუგებარია, ამ წარმოშობით აფხაზი მოსკოველი რუსი მწერლის მოთხრობა რა პრინციპით მოხვდა ქართველ მწერალთა მოთხრობ.;ბის ამ კრებულში), ედიშერ ყიფიანის, კარლო კობერიძის, ირინე ლექავას, თამაზ გოდერძიშვილის, რეზო ჭეიშვილის, ლალი ბრეგვაძის, ნოდარ დუმბაძის მოთხრობები, რომელთა მთარგმნელები არიან ამანდა ქალვერთი, თრექი ქუინი და სინთია როზენბერგერი.

კრებულს ახლავს ავტორთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ფოტოსურათები.

კრებული უხვადაა ილუსტრირებული ნ. ფიროსმანის, ლ. გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ა. დილბარიანის, თ. ხუციშვილის, ვ. მარგიანის, ია გიგოშვილის, ნ. მეძმარიაშვილის, ლალი ლომთაძე ნახატების რეპროდუქციებით.

# წერილი რედაქციას

არის მოსაზრება, რომ ქალაქ თბილისში დაიდგას მეფე ფარნავაზისა და წმინდა ნინოს ძეგლები. მართალია თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავივიწყოთ საქართველოს სხვა ქალაქების ისტორიული ტრადიციები. მეფე ფარნავაზის სახელი მთლიანად დაკავშირებულია საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთასთან იმ ეპოქიდან, როცა თბილისი, როგორც გეოგრაფიული ცნება არც არსებობდა. ასევე წმინდა ნინოს სახელი უშუალოდ უკავშირდება წმინდა ქალაქ მცხეთას.

საერთოდ, კულტურის სფეროში შეინიშნება ტენდენცია, ქართველი ხალხის და საქართველოს ყველა რეგიონის ღირებულებები დავუკავშიროთ მხოლოდ თბილისს. ეს, სხვა რომ არა იყოს რა, უსამართლობაა. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ისეთ უნიკალურ ძეგლს, როგორიცაა მცხეთა — მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და წარსულში უმდიდრესი კულტურის ქალაქი. ათეული წლების მანძილზე თითქმის ყველა საკითხში მცხეთისადმი აშკარა ზერელე დამოკიდებულებამ მას დაუკარგა შესაფერისი იერსახე.

მეფე ფარნავაზისა და წმინდა ნინოს ძეგლები, ჩემი აზრით, სწორედ ქალაქ მცხეთაში უნდა დაიდგას და, ვფიქრობთ, იმ უწყებებმა, ვისაც ეს ეხება, უნდა გადასინჯონ თავიანთი გადაწყვეტილება.

მ. ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ეს გასაოცარი ფენომენი...“

ინგლისელ ქართველოლოგს, დონალდ რეიფილდს ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი გუნანა ნიჟარაძე

— ბატონო დონალდ, 1987 წლის „ლიტერატურულ საქართველოში“, ილია ჭავჭავაძის იუბილეზე ჩამოსულ ქართველოლოგებთან ინტერვიუში, თქვენ ასე მოიხსენიებით — დონალდ რეიფილდი, მთარგმნელი (დიდი ბრიტანეთი), თქვენს ბიოგრაფიას კი მოკლედ ასე მოგვითხრობთ — „ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში რუსული ლიტერატურის დოცენტი გახლავართ. 1973 წელს — საქართველოში ყოფნისას, როცა მანდელშტამის შესახებ უნდა დამეწერა გამოკვლევა, თბილისში, ლიტერატურულ არქივებში მინდოდა მენახა ტიციან ტაბიძის დღიურები... დღიურები ვერ ვნახე... იმ ხანებში დავიწყე ქართული ენის შესწავლა. მოგვიანებით ვთარგმნე ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“...

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ძალზე დიდი გამბედაობაა საჭირო, ვაჟა-ფშაველას უაღრესად თვითმყოფად და რთულ სამყაროს რომ მიუახლოვდე. საინტერესოა, რატომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი ვაჟა-ფშაველაზე?

— ქართული ლექსით ჩემი დაინტერესება ტიციან ტაბიძის პოეზიით დაიწყო, ვთარგმნე მისი რამდენიმე შედევრი, შემდეგ გალაკტიონის რამდენიმე ლექსიც. ამასთან გამიტაცა ხევსურულმა და ფშაურმა ხალხურმა პოეზიამ და სწორედ მაშინ წავიკითხე პირველად ვაჟა-ფშაველა, ძალიან ცუდ რუსულ თარგმანში. ჩემი აზრით, ვაჟა-ფშაველას რუსული თარგმანები ძალზე სუსტია, იქნება ეს მანდელშტამის, ზაბოლოცკისა თუ პასტერნაკისა. ვაჟა-ფშაველას პირველი წაკითხვით გამოწვეული ემოცია, კი დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ვაჟა ძალიან ახლოსაა შექსპირთან, სამყაროსადმი თავისი ძალზე პესიმისტური და მკაცრი დამოკიდებულებით.

— რა პრინციპებით თარგმნეთ ეს სამი პოემა, პოეტური თუ პროზაული თარგმანი აირჩიეთ და რატომ?

— ვაჟას ჩემეული თარგმანი პოეტური გახლავთ. პროზაული თარგმანი პწკარედის ტოლფასია და, ბუნებრივია, ლექსს ვერ შეედრება. ვაჟას თარგმნისას, უდავოდ დამეხმარა ფშავური და ხევსურული პოეზიის ცოდნა. რაც შეეხება თარგმნის პრინციპს: უშუალოდ მივდევ ტექსტს და, ამავე დროს, ვცდილობ შევინარჩუნო მხატვრულობა. სხვაგვარად არ შემიძლია.

— რა სირთულეებს წააწყდით ვაჟას თარგმნისას?

— ვაჟას ენა მართლაც ძალზე რთულია, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ვაჟა-ფშაველას ენისა და ხევსურული კილოს კარგი ლექსიკონები. ტექსტის გაგება, რასაკვირველია, ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ სწორედ ამ ლექსიკონებითა და კომენტარებით მე ვაფასებდი ტექსტთან ჩემი მიმართების სისწორეს, ჩემი გეზის სიზუსტეს.

ვაჟა აბსოლუტურად განსხვავდება სხვა ქართველ პოეტთაგან, ძალზე ლაკონურია, ძალზე კონკრეტული. ვაჟა-ფშაველას ენის ტროპული სიმკაცრე გახლავთ სწორედ ის, რისი თარგმნაც შესაძლებელია: ხშირად ვაჟას პოეზია არ არის მელოდიური, მუსიკალური და რიტმულად ძალიან ძლიერი და სწორედ ამიტომაც ინგლისურ ენაზე უფრო ადვილად გადმოსაცემია.

რასაკვირველია, თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წავაწყდი, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე მივხვდი, რომ სასურველი, ადეკვატური მნიშვნელობა მოვნახე.

— თარგმანი დასრულებულია, მიგაჩნიათ, თუ არა იგი ვაჟა-ფშაველას სრულყოფილ თარგმანად, და თუ არა, რა ხარვეზები აქვს თქვენთვის ამ თარგმანს?

— ვარ თუ არა კმაყოფილი ჩემი თარგმანით... მინდა გითხრათ, რომ ბედნიერი ვარ, საოცრად ბედნიერი ამ თარგმანით და არაფრის შეცვლა არ მინდა. ეს ჩემთვის არაბუნებრივი მდგომარეობაა, ჩვეულებრივ, როცა ჩემს თარგმანს ვკითხულობ, მუდამ ვფიქრობ, რომ მათი ბევრად უკეთ ამეტყველება შეიძლებოდა. არა მაქვს სურვილი ვთარგმნო ვაჟა მთლიანად, დავრწმუნდი, რომ მის ლექსებს ვერ ვთარგმნი. თუმცა ცდა არ დამიკლია. ვაჟას პროზაც, ჩემი აზრით, უთარგმნელია, ყოველ შემთხვევაში, ინგლისურად ვერ ითარგმნება. ვაჟას პროზა, განსხვავებით მისი პოეზიისაგან, ძალზე ფერადოვანი, ხატოვანი, მრავალკაზმულია. ვიცი ისიც, რომ პოემებს „გოგოთურ და აფშინა“ და „ბახტრიონი“ ვერ ვთარგმნი, ნამდვილად არ გამომივა. ეს გახლავთ წესი, რომლითაც მუდამ ვხელმძღვანელობ თარგმნისას. წესი — ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე...

— თარგმნის პროცესში გქონდათ თუ არა იმის განცდა, რომ მოახერხეთ ვაჟა-ფშაველას სამყაროში „მგრძნობელობითი შეღწევა“, ამ სამყაროს გათავისება?

— თარგმანის სრულყოფილების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მწერლის სამყაროში „მგრძნობელობითი შეღწევა“, მისი გათავისება... მე შევიგრძენი ვაჟას სამყაროში „მგრძნობელობითი შეღწევა“, რასაც ვერ ვიტყვი ვერც რუსთაველისა და ვერც გალაკტიონის სამყაროზე.

10 წლის წინათ ხევსურეთში ვიყავი, ფეხით მოვიარე ბარისახოდან შატილამდე. ხევსურეთში საოცარი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ფიზიკურად გავძლიერდი, გავზვიადდი, თითქოს სულიერად ავმაღლდი.

ვნახე ხახმატი, გუდანი და გავაცნობიერე, რომ ისინი ზუსტად ისეთები იყვნენ, როგორც წარმომედგინა. ჩემს თვალწინ აღიმართა რეალობა იმ სახით, წარმოსახვაში რომ მქონდა.

— და ბოლოს, ვაჟა-ფშაველას ამ პოემების თარგმანებით გაიზარდა თუ არა ვაჟა-ფშაველას, უფრო სწორად, ქართული კულტურის პოპულარიზაცია? რა ტირაჟით დაიბეჭდა ეს თარგმანები, ჰყავს თუ არა მკითხველი და რა ტიპის მკითხველი ჰყავს?

— „გველისმჭამელი“ გაასცენიურეს და 1985 წელს ორჯერ გადმოიცა რადიოთი. მონაწილეობდნენ შოტლანდიელი მსახიობები. ამ დადგმას დიდი წარმატება და კარგი გამოხმაურება ჰქონდა. ხოლო რაც შეეხება „ალუდა ქეთელაურს“, ამ დრამატული პოემით, ვფიქრობ, ინგლისელი მკითხველი ყველაზე უკეთ შეძლებს ვაჟას სამყაროს შეცნობასა და შეგრძნებას. ვაჟა-ფშაველას პრობლემატიკა ხომ კლასიკური, ბერძნული ტრაგედიის პრობლემატიკაა. და ის საკმაოდ ნაცნობი და შესისხლხორცებულია ინგლისელი და, საერთოდ, ევროპელი მკითხველის მიერ. გარდა ამისა, ვაჟას აქვს ერთობ გამოკვეთილი, შეიძლება ითქვას, მონუმენტური სისტემა ფასეულობათა, რაც ძალზე საინტერესო და ამავე დროს, გასაგებია ინგლისელი მკითხველისათვის.

თქვენ გაინტერესებთ, გაიზარდა თუ არა ამ თარგმანებით ვაჟა-ფშაველას ანუ ქართული კულტურის პოპულარიზაცია.

ინგლისში, ალბათ, ყველაზე დიდი წინააღმდეგობით ხვდებიან თარგმანებს. ინგლისელების უკურეაქცია, თარგმანის მიუღებლობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. პოეტს, რომელსაც ინგლისელები თარგმანში და არა ორიგინალში კითხულობენ, ძალიან ცოტა შანსი აქვს, რომ მკითხველი დააინტერესოს, მასში შეაღწიოს, პოპულარული გახდეს. მოკლედ — მისი კულტურის ნაწილად იქცეს. მითუმეტეს თუ საქმე გარდაცვლილ პოეტს ეხება, კიდევ უფრო რთულდება მისი და მკითხველის კონტაქტი. თარგმნილ პოეტთაგან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობენ მანდელშტამი და პასტერნაკი და, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში მათ ბიოგრაფიასა და მათ ეპოქას ენიჭება.

რაც შეეხება ამ პოემებით ქართული კულტურის პოპულარიზაციას... არ მინდა მქონდეს ყველაზე პატარა ღვაწლი და ვიყო ყველაზე პატარა და უმნიშვნელო პოპულარიზატორი... მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ჯერ კიდევ ძალზე მცირეა.

ჩვენ არა გვაქვს ტირაჟი, ეს კაპიტალისტური სამყაროს საიდუმლოა, ამიტომ, მე ვერ გეტყვით, ზუსტად, თუ რა ტირაჟით გამოვიდა ვაჟას პოემები. შესაძლოა „ალუდა ქეთელაური“ 500 ცალად დაისტამბა, ეს ნიშნავს, რომ ხუთასმა ინგლისელმა წაიკითხა „ალუდა ქეთელაური“, „გველისმჭამელის“ დადგმას მოუსმინა დაახლოებით ოცდახუთმა ათასმა რადიომსმენელმა. ეს, შესაძლოა, არ არის ბევრი. მაგრამ კარგი ინგლისელი პოეტი ბედნიერია, როცა 200 წიგნს გაყიდის... წარმოგიდგენიათ, ის ყიდის ქართველ პოეტზე ორჯერ ნაკლებს!

— ბატონო დონალდ, თქვენ თარგმნეთ ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე და ილია ჭავჭავაძე, რას გვეტყვით ამ თარგმანებზე?

— როგორც მოგახსენეთ, ქართულ ლიტერატურასთან ჩემი კავშირი ტიციან ტაბიძის თარგმანებით დაიწყო. ვთარგმნე „ლექსი — მეწყერი“, „ირემი აქებს ილალს“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ და კიდევ რამდენიმე ლექსი, ვფიქრობ, რომ ამ თარგმანებს არა უშავს. მაგრამ კარგი ნამდვილად არ არის. მართალია იკითხება, მაგრამ ბევრად ჩამოუვარდება ორიგინალს.

ვთარგმნე გალაკტიონის ათი ლექსი: „მე და ღამე“, „ნიკორწმინდა“. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს უაღრესად რთული ლექსი ინგლისურად აჟღერდა. გალაკტიონის ექვსი თუ შვიდი ათასი ლექსიდან, მხოლოდ ათი ლექსის თარგმნა შევძელი ინგლისურად.

ვთარგმნე ილია ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“. თარგმნისას ყველა ორი ქართული სტრიქონიდან გამოვიდა ერთი ინგლისური სტრიქონი. რადგან ინგლისური ენა ბევრად უფრო ლაკონურია ქართულთან შედარებით. ვაჟასთან ეს პრობლემა მოხსნილია, მისი ენა ძალზე ლაკონურია. ჩემთვის ეს პოემა ძალზე საინტერესოა პოლიტიკური თვალსაზრისით. ის გახლავთ ძალზე მნიშვნელოვანი ეპისტოლე თუ დანაბარები, ილიამ მომდევნო თაობებს რომ დაუტოვა: ქვეყნის მმართველს დიდი მოვალეობა აკისრია — საჭიროებისას მან თავი უნდა გაწიროს, მსხვერპლშეწირვის აქტი უნდა განახორციელოს. ისეთ პოლიტიკურ სიტუაციაში, დიმიტრის დროს რომ იყო, დიმიტრიმ არასწორი პოლიტიკური გეზი აირჩია და შეცდომა საკუთარი სიცოცხლის ფასად გამოისყიდა. ეს პოემა პოლიტიკური მარგალიტია. თუ ამ კუთხით დააკვირდებით, კარგად დაინახავთ, რაოდენ მძლავრად იყო განვითარებული პოლიტიკური მოვალეობის გრძნობა ფეოდალიზმის ეპოქაში. მმართველს ჰქონდა თავისი მოვალეობის შეგრძნება და, ბუნებრივია, თვითვე აგებდა პასუხს ამ მოვალეობის შესრულებისათვის. ეს იყო ორმხრივი ურთიერთმიმართება მმართველისა და ხალხისა, სანაცვლოდ ისეთი ერთმხრივი ურთიერთობისა, როცა ხალხი მთავრობისათვის არსებობს.

— ენათმეცნიერების ინსტიტუტში თქვენ წაიკითხეთ ძალზე საინტერესო მოხსენება — „შეიძლება თუ არა კარგად ითარგმნოს „ვეფხისტყაოსანი“. ამავე კითხვით მინდა მეც მოგმართოთ.

— მოგეხსენებათ, რომ ძველ სამედიცინო წიგნებში ერთი და იგივე დაავადების მკურნალობის რამდენიმე საშუალება არის ხოლმე მოცემული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს დაავადება ფაქტიურად განუკურნებელია...

იგივე მდგომარეობაა მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების აურაცხელი თარგმანი არსებობს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს ნაწარმოები პრაქტიკულად უთარგმნელია.

„ვეფხისტყაოსნის“ საკმაოდ მრავალრიცხოვან თარგმანთაგან ყურადღება შევაჩერე მის ინგლისურ (მარჯორი უორდროპი, ვენერა ურუშაძე, კეტრინ ვივიანი), რუსულ (ზაბოლოცკი, ბალმონტი, პეტრენკო, ნუცუბიძე) და ფრანგულ (წულაძე) თარგმანებზე. ეს მთარგმნელები დედანს უდარებენ თარგმანს და ცდილობენ თარგმანში რითმისა და რიტმის აღდგენას. ეს უკანასკნელი ძალზე ჰგავს ბიზანტიაში არსებულ შეხედულებას თარგმანზე, როცა სახლის სარაჩოები ზედმიწევნითაა ამოყვანილი, სახლი კი ინგრევა. საგულისხმოა, რომ არაქართველი კრიტიკოსი არ იცნობს დედანს და, ბუნებრივია, არ იცის ქართული სამყარო. ქართველთათვის კი ქართული სამყარო ბუნებრივი, გათავისებული და ორგანულია და სავსებით ბუნებრივია მათი აღფრთოვანება ნუცუბიძის, პეტრენკოს, თარგმანებით, რომლებიც მარცვლოვანი სისტემის შენარჩუნებას ცდილობენ. ბალმონტთან სიმძიმე გადავიდა სტრიქონის ბოლოდან მის შუაგულში, ეს კი აჩქარებს სიტყვების მდინარებას და რუსთაველის გრაფიკული მდინარება მთლიანად დაკარგულია, გამოსახულება ჩამორეცხილია. ზაბოლოცკისთან ბოლო რითმები ხაზს უსვამს სიტყვების ბანალურობას.

კეტრინ ვივიანმა აღიარა, რომ მისი პროზაული თარგმანი თავისუფალი თარგმანია. ის უფრო ადვილად იკითხება, ვიდრე მარჯორი უორდროპისა, რომელიც, ჩემი აზრით, მაინც საუკეთესო ინგლისური თარგმანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმაოდ სუსტია და შორსაა „ვეფხისტყაოსნისაგან“. ყველა ეს თარგმანი პოემის ფალსიფიცირების თავისებური მცდელობებია. და სწორედ ამიტომაც, საზღვარგარეთ არავის სჯერა, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არის გენიალური ნაწარმოები, ეეჭვებათ მისი მსოფლიო მნიშვნელობა და უნიკალური სიღრმე. ამას რუსთაველის უთარგმნელობას ვაბრალებ.

რითმა ქართულში არ ემთხვევა რითმას ევროპულ ენებში, ისინი ტიპობრივად განსხვავებულია. ქართული მახვილი მოუხელთებელი და ცვალებადია. ხშირად უსვამენ ხაზს, რომ რუსთველს აქვს სამმარცვლიანი, ოთხმარცვლიანი რითმები, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ისინი ბაირონსა და მაიაკოვსკის რითმებით გადმოვიტანოთ. შეუძლებელია რუსთველის ჰიპერბოლის გადმოცემა, იმ განცდისა და აზრის გრაფიკული გადმოცემა, რომლის შემძლე მხოლოდ რუსთაველი იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი, არც მისი ზნეობრივი, არც პოლიტიკური პლანი არ არის პოემისთვის ძირითადი, არ არის პოემის წარმმართველი, რუსთაველთან არსებითია ის ქვეცნობიერი პლასტები, რაც მან უნებურად გამოთქვა: მისი გონებისა და კულტურის დაძაბული ძარღვები. თუ ამას ვერ ვხედავთ, თუ ამას ვერ ვგრძნობთ, რუსთაველს მცდარად აღვიქვამთ და, ბუნებრივია, შეცდომასაც ვუშვებთ. „ვეფხისტყაოსანს“ ფესვები უნდა გავუშიშვლოთ, მხოლოდ მაშინ შევძლებთ იმ საოცარ სამყაროში შეღწევას, სადაც, ერთის მხრივ, ძლიერი გრძნობის ჰიპერბოლურობას, ხოლო, მეორეს მხრივ, კი სტროფიკის საოცარ სიმკაცრეს შევხვდებით. სამწუხაროა, რომ ქართული კულტურის სწორედ ეს დაძაბული ძარღვებია დაკარგული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებში.

ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა კარგად უნდა შეისწავლოს ქართული ენა და თვითონ უნდა იყოს კარგი პოეტი. ზოგიერთი გენიოსის მაგიურ სამყაროში შეღწევა წარმოუდგენლად მეჩვენება, მითუმეტეს, როცა XII საუკუნის უნიკალური ძეგლის თარგმანზეა ლაპარაკი! პოემის თარგმნა, ჩემი აზრით, დაგვიანებულია. ასეთი პრობლემა არ წამოიჭრებოდა XVI-XVII საუკუნეებში, როცა კულტურები იმდენად ახლოს იყო ერთმანეთთან, როცა ინგლისელ პოეტს შეეძლო ამ გასაოცარი ხატებისა და ფასეულობების სამყაროში შეღწევა. ვფიქრობ, რომ სპენსერი, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო დიდი პოეტი, შეძლებდა ამ პოემის თარგმნას. დღეს ეს უკვე ძალიან დაგვიანებულია.

ჩემთვის გასაგებია ქართველთა სურვილი „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი თარგმანის შექმნისა. ეს ქართველთათვის აუცილებელია, რადგან ამით შესაძლებელი გახდება გასაოცარი ქართული კულტურული ფენომენის შერკინება სხვა კულტურებთან. საგულისხმოა ერთი გარემოება, რომ შექსპირისდროინდელი ინგლისელი მოსახლეობა უფრო მცირერიცხოვანი იყო, ვიდრე დღევანდელი ქართული მოსახლეობა და შექსპირი კი მთელი მსოფლიოს საკუთრებად იქცა. მაშინ, როდესაც რუსთაველი მხოლოდ რამდენიმე მილიონისათვის არსებობს. ეს სამწუხაროა, მაგრამ დღეს, ალბათ, მართლაც ძალიან დაგვიანებულია მისი თარგმნა. ინგლისური ენის თავისებურება, მისი არაპოეტურობა, არაფილოსოფიურობა არის ერთი ამოსავალი ამ თარგმანის ინგლისურად შესრულების წარუმატებლობისა.

დობინმა დაწერა ძალიან ცუდი პიესა, კრიტიკოსის შენიშვნაზე კი ასეთი პასუხი გასცა: მე ხომ არისტოტელეს კანონები დავიცავი. მწყინს, რომ ამ კანონებმა ნება მოგცეს ასეთი ცუდი პიესა დაგეწერათო, მიუგო კრიტიკოსმა. რუსთაველის განუზომელი სიდიადე მთარგმნელს მისი ფალსიფიცირების უფლებას არ უნდა აძლევდეს. „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროში ყველაფერი ხომ აბსოლუტურია, კოსმიური. თავგანწირული მიჯნურობა კი პატიოსანი თვლების ბრწყინვალებითაა გასხივოსნებული...

— ბატონო დონალდ, მახსენდება თქვენი დიდი თანამემამულის ლორდ ბაირონის, ამ ტირანიასთან მარადიული მებრძოლის, დაუმორჩილებლობის მქადაგებლის რწმენა, რომ ხალხს ძალუძს ბრძოლა ტირანიასთან, რწმენა იმისა, რომ მაღალი ადამიანური იდეალები და სულის სიწმინდე დაამხობს ტირანიას. იზიარებთ თუ არა ლორდ ბაირონის ამ რწმენას და არის თუ არა ეს იდეა ქმედითი ჩვენს საუკუნეში? ჯორჯ ბაირონი ტირანიასთან ბრძოლას შეეწირა... ბატონო დონალდ, რა ემოცია გაქვთ დაპყრობილი ხალხების მიმართ და რისი გაკეთება შეგიძლიათ მათ დასახმარებლად?

— სასაცილოა, რომ ბაირონის დაბადების 200 წელი ინგლისში უღიმღამოდ აღინიშნა. დღეს ბაირონის საზოგადოება თითქმის არალეგალურია. ინგლისში ძალზე ქმედითია ფემინიზმი. და ფემინისტებისათვის ბაირონი დღემდე შოკის მომგვრელი სახელია: დონ ჟუანისა და დონ კიხოტის სინთეზი. ინგლისელები ბაირონს არასოდეს არ აღიარებდნენ, არ ამნიშვნელოვანებდნენ. მუდამ ორსახოვან, ორპირ პიროვნებად თვლიდნენ. ერთი მხრივ, რომანტიკოსი, ბერძენთა თავისუფლებისათვის მებრძოლი, „მანფრედის“ ავტორი, მეორეს მხრივ, XVIII საუკუნის სკეპტიციზმით შეპყრობილი ადამიანი, მუდამ რომ იცინის (პუშკინის მსგავსად). ბაირონი მხოლოდ ზოგჯერ და მხოლოდ ნაწილობრივ არის რომანტიკოსი, პრინციპში კი ბაირონი არისტოკრატია. ბაირონი არასოდეს ყოფილა მართლა პოპულარული ინგლისში. პირადად მე ბაირონის დიდი თაყვანისმცემელი ვარ და ჩვენს ერთ-ერთ უდიდეს პოეტად მიმაჩნია.

---

ინტერვიუ შარშან, 3 აპრილს მომზადდა, პუბლიკაცია ტექნიკური მიზეზის გამო დაგვიანდა.

რაც შეეხება ბაირონის ბრძოლას ბერძენი ხალხების გათავისუფლებისათვის, ეს ბრძოლა არ იყო თანმიმდევრული და ერთმნიშვნელოვანი. პოლიტიკურად მან ბერძენთა მხარე დაიჭირა, სულიერი სიახლოვე კი თურქებთან ჰქონდა. „ბერძნულ წერილებში“ ის წერს, რომ თურქები ურჩევნია. ბაირონი და თავისუფლება — ეს საკმაოდ რთული საკითხია. ძნელია იმის თქმა, რომ ის ბოლომდე გულწრფელი იყო, როდესაც თავი გასწირა ბერძენთათვის. ჩემი ღრმა რწმენით, ეს დიდი მსახიობის პოეტური ჟესტია... ბაირონს ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავი ფიქრი ჰქონდა ერთსა და იმავე დროს. ბაირონი პოლიტიკური დონ ჟუანი იყო და ბერძნებს ისევე ექცეოდა, როგორც ეპყრობოდა მისთვის სასურველ ქალებს.

რა ემოცია მაქვს დაპყრობილი ხალხების მიმართ... თანაგრძნობა. თანაგრძნობა იქამდე, სანამ ეს ხალხი არ გათავისუფლდება, სანამ ეს ხალხი არ გაიმარჯვებს. ხოლო რაც შეეხება ბაირონის აზრს, რომ ტირანიის დამხობა შეიძლება მაღალი ადამიანური იდეალებითა და სულის სიწმინდით, პოეტის პოზაა, რახაკვირველია, პოზაა. ერთ ადამიანს არ ძალუძს ეს მაშინ, როცა ერი, მთელი ერი ამ გზით ნამდვილად დაამხობს ტირანიას და დაიბრუნებს ღვთისგან ბოძებულ თავის უფლებებს. ვფიქრობ, რომ ფინელმა ხალხმა სწორედ ამ გზით მიაღწია ყოველივეს. და მჯერა, რომ ქართველი ერისათვის ეს საუკეთესო გზაა.

პროცესი, რომელიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, არ შეწყდება. ძალიან ჭირს იმის თქმა, თუ რა სახეს მიიღებს, რითი დასრულდება ეს პროცესი. ვიცი მხოლოდ ის, რომ დღეს ქართველთათვის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის პროფესიონალიზმის მიღწევა ყველა სფეროში, იქნება ეს თარგმანი, ლიტერატურა თუ პოლიტიკა. ჩემი აზრით, მხოლოდ პროფესიონალიზმის გზით არის შესაძლებელი დამოუკიდებლობის მიღწევა ისტორიის ამ მონაკვეთში. თქვენ უნდა მიაღწიოთ მაქსიმალურ პროფესიონალიზმს, და, ამასთანავე, კარგად და ზუსტად უნდა იცოდეთ თუ რა გინდათ, თუ რა არის შესაძლებელი, რა არის რეალური და სწორედ ამის მიხედვით უნდა წარმართოთ თქვენი მოძრაობა, მოძრაობა სულისა და გონისა. ქართველი კაცი ბუნებით ძალზე ემოციურია, დღეს კი მეტი ფიქრი და განსჯაა საჭირო. ქართველი კაცი ბუნებით აქტიორია და ქართული სამყაროს ყველა მოვლენა თუ ფენომენი არტისტულობის ბეჭდით არის დაღდასმული. საქართველოს ეროვნული მოძრაობა დიდ წარმოდგენას, ვნებათაღელვით აღსავსე ანტიკურ ტრაგედიას მაგონებს. მაგრამ არ ვიცი, თუ როგორი იქნება მეხუთე აქტი...

— ინგლისურ ქართველოლოგიას, შეიძლება ითქვას, თავისი ტრადიციები აქვს, რა მდგომარეობაა დღეს ამ სფეროში?

— ქართველოლოგიური სკოლა ძალზე დიდი პრობლემაა... 1921 წლის შემდეგ თითქმის შეუძლებელია ილაპარაკო ქართველოლოგიური სკოლის ნორმალურ, სრულფასოვან არსებობაზე. მანამდე შესაძლებელი იყო ამგვარი სკოლის არსებობა, რადგან ხალხს თავისუფლად შეეძლო საქართველოში ჩამოსვლა, ყოველგვარი ვიზებისა და გაუთავებელი ნებართვების გარეშე შეეძლო მთელი საქართველოს შემოვლა და ყველა იმ ადგილის, საკითხისა თუ მემკვიდრეობის ნახვა და შესწავლა, რომლებიც მისი კვლევის ობიექტს შეადგენენ...

1988 წელს დაარსდა ევროპის კავკასიოლოგთა ასოციაცია, მისი შემადგენლობის 95% ლინგვისტებია. ლინგვისტების გარდა აქ არიან ეთნოლოგები და ისტორიკოსები. დღეს შესაძლებელი გახდა თქვენი ისტორიის შესწავლა. თქვენი ისტორია დღეს უცებ გამოვიდა მზის სინათლეზე. რაც შეეხება ქართული ლიტერატურის კვლევას, უნდა გითხრათ, რომ ძალზე მცირე ინტერესია მის მიმართ. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ქართული ლიტერატურის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია თარგმნილი ინგლისურ და საერთოდ ევროპულ ენებზე.

— რა მიზნით ჩამობრძანდით საქართველოში და რაზე მუშაობთ ამჟამად?

— გადაწყვეტილი მაქვს, 1987 წლის მასალებზე დაყრდნობით დოკუმენტური პიესის დაწერა. დღესდღეობით ვმუშაობ 1987 წლის მწერალთა კავშირის სხდომათა ოქმებზე. ალბათ, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე საშინელი და საზარელი პიესა, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია. ადამიანთა ამ უზარმაზარი და ყოვლად საზარელი სასაკლაოს მომწყობი მთავარი ბოროტმოქმედნი ამ ენით აუწერელ საშინელებას გარდაქმნად ნათლავდნენ. ვფიქრობ, რომ თქვენი დღევანდელი პროცესისათვის სხვა სიტყვა მაინც უნდა შეგერჩიათ.

მაგრამ თვით იმ დროშიც იყვნენ ისეთი მწერლები, რომელთაც უკომპრომისოდ, ვაჟკაცურად და სუფთად გაიარეს ეს ურთულესი გზა. მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვები. მიხეილ ჯავახიშვილმა მის წინააღმდეგ წარმართული საზარელი აქციის დროს ჭეშმარიტი ვაჟკაცობის, ურყევი სულისა და გასაოცარი უდრეკობის წარუშლელი მაგალითი დაუტოვა მთელ ქართველ ერს. ყველაზე კრიტიკულ მომენტში მან მიმართა თანამოკალმეებს, ამაყად და მშვიდად: „ხალხნო, ყველანი აქა ხართ, თქვით ყველაფერი, ვინ რა იცით, ან იქნებ ზვარაკია საჭირო“.

ყველაზე საშინელება ის არის, რომ ქართველ მწერლებს არ გააჩნდათ სოლიდარობის გრძნობა და შეეწირნენ კიდევაც ამას. ვფიქრობ, რომ იგივე პრობლემა დღესაც არსებობს საქართველოში და ეს ძალზე მტკივნეულია. როდესაც ასეთი მცირერიცხოვანი ერი ხარ, როდესაც ასეთი პატარა ინტელექტუალური საზოგადოება ხარ, უფლება არა გაქვს, რომ შენი მოძმეების წინააღმდეგ გაილაშქრო, შენი საზოგადოების რომელიმე წევრს დაუპირისპირდე და ამით შენი პატარა ქვეყნის ერთიანობა დაარღვიო. სამწუხაროა, რომ საქართველოს ისტორია, მონღოლ და არაბ დამპყრობელთაგან მოყოლებული, სწორედ რომ ქართველთა არასოლიდარობის და შინაომების არაერთ ფურცელს მოიცავს. ეს ძალზე დიდი, რთული და სერიოზული პრობლემაა.

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ნაკლებად ვართ ინფორმირებული თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის შესახებ, ძალზე საინტერესოა თქვენი აზრი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე.

— ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო მწერალი დღეს სალმან რაშდია. ისევე, როგორც ბაირონი და ოსკარ უაილდი, სალმან რაშდისაც ინგლისელები სერიოზულად არ აღიქვამენ, რადგან ფიქრობენ, რომ ის ძალზე ცუდად ეპყრობა ქალებს და, რაც მთავარია, ძალზე ბევრს წერს. ასე რომ, არიან დიდი ინგლისელი მწერლები, ბაირონიდან მოყოლებული სალმან რაშდის ჩათვლით, რომელთაც ინგლისელები უარყოფენ.

ძალიან ძნელია ილაპარაკო თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურაზე, როგორც ერთიან პროცესზე, ძალიან ძნელია, შეაფასო ის, გამოყო კარგი მწერლები, რადგან ჩნდება მნიშვნელოვანი სახელები, როცა მწერალი ორ-სამ კარგ წიგნს გამოაქვეყნებს და ეს სახელები მაშინათვე მივიწყებას ეძლევა, როდესაც მწერალი წერს ცუდ წიგნს. ბევრი კარგი ინგლისელი მწერალი ინდოეთიდან მოდის, ისევე როგორც კარგი რუსული ლიტერატურა — კავკასიიდან. რუსეთში არ არის მთები, იქ არ არის წმინდა კონფრონტაცია, ბუნების ცივილიზაცია. თენი ბარსელსი ნობელის პრემიის ლაურეატია, მაგრამ ეს არ არის წარმატებული ნობელის პრემია. ეს, ჩემი აზრით, ინტელექტუალური თამაშების დონეზეა და ლიტერატურად იწოდება.

ბოლო ორი-სამი წელიწადია, ინგლისში პოეზიის აღმავლობა შეიმჩნევა, ძირითადად, ქალი პოეტები გამოდიან ლიტერატურულ სარბიელზე, ფემინიზმი დღეს ძალიან ძლიერადაა განვითარებული ინგლისში, ეს არ არის კარგი, საქმე იქამდეა მისული, რომ თუ შენ ქალი ხარ, შეგიძლია გამოაქვეყნო სისულელე, ბოდვა. დღეს მხოლოდ ქალები აქვეყნებენ ბევრს. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ბევრი მამაკაცი ბეჭდავს თავის ნაწარმოებებს ქალის სახელს ამოფარებული. ერთ-ერთმა მათგანმა დაირქვა ატიკური სახელი და ასე გამოაქვეყნა თავისი პოეზია, როდესაც ეს გამომჟღავნდა, სასამართლოს მიმართეს. ასი წლის წინათ, როდესაც შენ ქალი იყავი, კაცად იქცეოდი, კაცის სახელს ამოეფარებოდი, როგორც, მაგალითად, ჟორჟ სანდი, ჯორჯ ელიოტი, დღეს ეს პირიქითაა, ეს ძალზე უცნაური ფენომენია.

ვფიქრობ, დღევანდელი ინგლისური თეატრი, ინგლისური დრამატურგია, ძალზე ძლიერია. ინგლისელი დრამატურგი ჰაროლდ პინტერი აგერ უკვე ოცი წელიწადია, რაც ძალზე მნიშვნელოვანი, საინტერესო და დიდი სახელია ინგლისურ დრამატურგიაში, დრამატურგიაში საერთოდ. ვიტყოდი, რომ ის ახლოსაა ბეკეტთან, ჟენესთან. ის უფრო ძლიერია, ვიდრე კაფკა, უფრო საშინელი და შიშის მომგვრელი.

— კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი შეკითხვა, რისი სიმბოლოა თქვენთვის საქართველო და რა მოგცათ პირადად თქვენ ქართულ სამყაროსთან ურთიერთობამ?

— „სხვა საქართველო სად არის?“

მაგრამ ეს რეალობაა და არა სიმბოლო, ეს უდავოა და ეჭვგარეშეა. ეს ნამდვილი რეალობაა. ვერ გეტყვით რისი სიმბოლოა ჩემთვის საქართველო, შესაძლოა, წარსულის ძველი სამყაროს სიმბოლოა, შუასაუკუნეების სურნელება რომ ახლავს დღესაც. თავისი ფორმით, ფეოდალიზმი გარკვეულწილად შენარჩუნებულია საქართველოში. ქართული ოჯახი გასაოცრად მონოლითურია, მძლავრია ოჯახური ურთიერთობები, ნათესაური კავშირები, საკმაოდ გამოკვეთილია გვარის ფენომენი. საქართველოში დღესაც შემორჩა ძველი ქართული არისტოკრატია: ერისთავები, ბაგრატიონები... ხალხი პატივს სცემს მათ. ვერავინ ვერასდროს შეძლო ამ მყარი შენობის დარღვევა, ვერავინ მოსპო ქართველთა ეს მძლავრი გვაროვნულ-იერარქიული შტო. და ეს საოცარი რამაა. მე მოხიბლული ვარ ქართველი ერისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის საოცრად მძლავრი, მონუმენტური და მარადიული გრძნობით. შეუძლებელია ქართველთა სოციალური სტრუქტურის დარღვევა. ვერც მონღოლებმა, ვერც თურქებმა, ვერც საბჭოელებმა ქართველი ერის სოციალური ერთიანობა ვერ მოშალეს, მისი მონოლითურობა ვერ დაარღვიეს. ჩემი აზრით, ეს არის სწორედ ქართველი ერის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფენომენი, მისი გადამრჩენი ძალა.

მეორე, რაც მხიბლავს ქართველ ხალხში, არის ის საოცარი ფაქტი, რომ ქართველები არასოდეს განიცდიან ეროვნულ ემიგრაციას, არასოდეს არ კარგავენ თავიანთი ქართველობის შეგრძნებას და არასოდეს არ ხდება მათი ეთნიკური აღრევა სხვა ერებთან. ლონდონში შვიდი ქართველი გოგონა ცხოვრობს, მათ ინგლისელი მეუღლეები ჰყავთ. გეოგრაფიულად ისინი ინგლისში ცხოვრობენ, მაგრამ მენტალურად საქართველოს ვერ მოწყდნენ. სამშობლოს გრძნობა ძალიან მძლავრია ქართველ ადამიანში და მე მოხიბლული ვარ ამით. ქართველი ერი საოცრად ღრმა და ძლიერი ფესვებითაა დაკავშირებული თავის სამშობლოსთან. ეს გასაოცარი ფენომენია. თაყვანს ვცემ ქართველთა ამ საოცარ დამოკიდებულებას მამულისადმი, ეს უნიკალური რამაა, თავისებური, ეკოლოგიური ფენომენია და მე მოხიბლული ვარ ამით.

## ჩვენი მილოცვა

# ზეზვა მედულაშვილი — 50



დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მთარგმნელს ზეზვა მედულაშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ზეზვა!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულმხურვალედ გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 50 წლისთავს.

აი, უკვე ოცდაათი წელია, რაც მუხლჩაუხრელად ემსახურებით მშობლიურ ლიტერატურას და მას პირველხარისხოვანი თარგმანებით ამდიდრებთ.

ქართველი მკითხველი თქვენი თარგმანებით გაეცნო სომხური, აზერბაიჯანული, ტაჯიკური, თურქმენული, სპარსული და რუსული ლიტერატურის არა ერთსა და ორ საუკეთესო ნიმუშს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ღვაწლი, რომელიც ჩვენი მოძმე სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების სიტყვაკაზმული მწერლობის ქართულად ამეტყველებას დასდეთ.

საიათნოვა, გ. სუნდუკიანი, ო. თუმანიანი, ა. ისააკიანი, ხ. აბოვიანი, ვ. ტერიანი, ე. ჩარენცი, ო. შირაზი, ს. კაპუტიკიანი, პ. სევაკი, თუნიანცი, ჰ. მათევოსიანი, ფიზული, ნასიმი, ვაგიფი, ს. ვურღუნი, ს. რუსტამი, რ. რზა, მ. არაზი, ი. ისმაილზადე — აი, იმ სომეხ და აზერბაიჯანელ შემოქმედთა არასრული სია, რომელთა ნაწარმოებებიც ქართველი მკითხველის საკუთრება გახადეთ.

ქართულად თარგმნეთ აგრეთვე საადის, ჰაფეზის, მახთუმყულის, ფულოდ ტოლისის ნაწარმოებები, აზერბაიჯანული საგმირო ეპოსი — „ქოროღლი“, აზერბაიჯანული ბაიათები.

თქვენი მთარგმნელობითი ხელოვნება ჭეშმარიტი პროფესიონალიზმითაა აღბეჭდილი. თქვენი ფრაზა მოქნილია, ცოცხალი, ლაღი და დინამიური. თქვენს თარგმანებში დედნის უშუალო განცდიდან მომდინარე შთაგონება ორგანულად ერწყმის ქართული პოეტური კულტურის მიღწევებს, რაც მათ ღირსებებს განაპირობებს.

ალბათ ამიტომაცაა, რომ თქვენი ღვაწლი და რუდუნება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1987 წელს ქართული მხატვრული თარგმანის კორიფეის — დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მოგენიჭათ. სომხური მწერლობის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის კი ეღიშე ჩარენცის სახელობის პრემიით დაჯილდოვდით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდით არმენოლოგიურ დისციპლინებში. 1974 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მუშაობთ უფროს მეცნიერ-რედაქტორად და თქვენი წვლილი შეგაქვთ ქართული მთარგმნელობითი სკოლის წინსვლასა და განვითარებაში.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

# ჯემალ ქირია — 50



დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალს ჯემალ ქირიას. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ჯემალ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ ჯგუფს განეკუთვნებით, რომელთა ლიტერატურული დებიუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივში“ შედგა. სწორედ ამ ალმანახში დაიბეჭდა 1967 წელს თქვენი პირველი მოთხრობა „ორნი ბილიკზე“. მას შემდეგ, ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს რომანებს („ესხირი“, „მარადი მხედარი“, „დიდობანას თამაში“), მოთხრობების კრებულებს („პირველი ზეკარი“, „კუნძული“) ამ ნაწარმოებებში გამოვლინდა თქვენი თავისებური ხედვა, ორიგინალური სტილისტიკა, ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემათა წრე. თქვენი ნაწარმოებების პერსონაჟები მძაფრი ვნებების მქონე ძლიერი ადამიანებია, რომელთა წინაშე ყოველთვის დგას კათარზისის და მაღალი მორალური ადგილის მოპოვების აუცილებლობა.

თქვენს კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილი, რომელშიც ჩვენი ყოფის საჭირბოროტო საკითხებია განხილული. პატარებისათვის შექმენით არაერთი ზღაპარი, რომლებიც ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“. ლათინური ამერიკის ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს თქვენს წიგნს „იბერიული ამერიკის თანამედროვე ლიტერატურა და ახალი რომანი“. თარგმნეთ ჩილელი მკვლევარის არტურო ტორეს რიოს წიგნი „იბერიული ამერიკის დიდი ლიტერატურა“.

აქტიურად მონაწილეობთ მწერალთა კავშირის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხართ მწერალთა კავშირის პროზის სექციის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე. სულ ახლახან ძალზე საპატიო მისია დაგეკისრათ — აგირჩიეს მწერალთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად. მტკიცედ გვწამს, რომ ამ ახალ თანამდებობაზეც ჩვეული ენერგიით ილვაწებთ და თქვენს წვლილს შეიტანთ სამეგრელოს — საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების წინსვლასა და შემდგომ განვითარებაში.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა**

# ისტორიულიდან თანადროულობისაკენ

## გუგაზ მეგრელიძე

თანამედროვე ქართული თეატრის რეპერტუარში გურამ ბათიაშვილის დრამატურგიამ დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. მწერალმა მიმდინარე ცხოვრებისეულ პრობლემებთან ერთად, საინტერესო ისტორიული საკითხებიც წამოჭრა — ქართველ-ებრაელთა ურთიერთობა („ვალი“), ილია ჭავჭავაძის მკვლელობა („დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია“), რუსეთის იმპერიისადმი ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება. უკანასკნელ საკითხს გ. ბათიაშვილმა დილოგია „უკეთუ გაცდუნებდეს“ მიუძღვნა, სადაც ორი პიესა („წყვდიადიდან გასვლა“ და „შუქი წყვდიადში დაბადებული“) გააერთიანა, ისინი ათიოდე წლის წინათ დაიწერა და ყურადღებაც იმთავითვე მიიქცია. „წყვდიადიდან გასვლა“ განხორციელდა სოხუმის ქართულ და თბილისის დრამატული თეატრების სცენებზე სათაურით „1832 წელი“. მაშინ პიესაში დასმული საკითხი მხოლოდ ისტორიულ ფაქტად აღიქმებოდა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის საიუბილეო პერიოდში სათანადოდ ვერ აჟღერდა.

დღევანდელმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელმაც დღის წესრიგში ისტორიულ მოვლენათა გადაფასებაც დააყენა, ამ პიესაში სრულიად ახალი და საჭირბოროტო პრობლემები წარმოაჩინა. დიალოგებში არსებულმა ქვეტექსტმა თანადროული ელფერი შეიძინა. სწორედ ამან განაპირობა, რომ რეჟისორი გ. ქავთარაძე ამ ნაწარმოებს ხელმეორედ დაუბრუნდა. ამჯერად, მან დილოგია ერთ სპექტაკლში გააერთიანა. მუშაობის პროცესში მსახიობებმა გმირთა ხასიათები ისე ღრმად განავითარეს, რომ მოქმედების ლოგიკამ მათი სცენური გახანგრძლივება ბუნებრივად წარმოშვა, რის გამოც პიესაში გაჩნდა ახალი სცენები — ზავილეისკი-ჩევკინის, ჩევკინ-გუბერნატორის, ზავილეისკი-გუბერნატორის დიალოგები. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ სერიოზულად მოეკიდა კოლექტივი წამოჭრილი ისტორიული საკითხის სცენურ ადაპტაციას.

ჯერ კიდევ შუქჩაუმქრალ დარბაზში ბორკილდადებულ ტუსაღთა ფეხის ხმა ისმის, რომელსაც საზეიმო მარშის ხმა ახშობს (კომპოზიტორი გ. ყანჩელი). ასეთი მუსიკალური გაფორმება მაყურებელს წინასწარ განაწყობს მოვლენათა შემდგომი დრამატული განვითარებისათვის და თავისუფლებისათვის მებრძოლთა ბედის წინასწარმეტყველებად გაისმის. ამ ფონზე უფრო მწვავედ აღიქმება ჩაბნელებულ სივრცეში, სანთლების შუქზე შეთქმულების მონაწილეთა მამულის საკეთილდღეოდ ვედრება, რომლის ბოლო ფრაზებიც რეფრენად გაისმის: „ნუთუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი. რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა. მაშ, რაისთვის ცოცხალ ვართ“. ეს ტექსტი პიესაში ბერს ეკუთვნოდა, მაგრამ გ. ქავთარაძემ იგი პიესის შუაგულიდან დასაწყისში გადმოიტანა და გმირთა მოქმედებისათვის საპროგრამო მნიშვნელობა შესძინა. მეორე მოქმედებაში კი ამავე ადგილიდან გრძელ კიბეზე ბორკილდადებულ მამულიშვილთა ჩამოყვანა, მათი ლამაზი მუნდირების თეთრი პერანგებით შეცვლა მხატვრულ კონტრასტს ქმნის და მოვლენებს ამძაფრებს (სცენოგრაფი მ. შველიძე, კოსტუმების მხატვარი უ. იმერლიშვილი).

მოქმედება გუბერნატორის ბინაზე სტუმრების თავშეყრით იწყება. თითოეულ მათგანს უხილავი ხმა გვაცნობს. ასე, ხომ სამეფო დარბაზობისა და სასამართლო პროცესის მონაწილეებს წარმოგვიდგენენ, რაც საბედისწერო ასოციაციას უფრო აღრმავებს. თუ წინა დადგმებში მოქმედების ცენტრში ელიზბარ ერისთავი იყო, ამჯერად ყურადღება უფრო ნიკოლოზ ფალავანდიშვილის სახეზე გამახვილდა.

პიესის რემარკაში ვკითხულობთ: „ფალავანდიშვილი შემოდის. მომღიმარე, სტუმრებით ნასიამოვნები კეთილი მასპინძელი“.

სპექტაკლში კი საწინააღმდეგოს ვხედავთ. ე. მაღალაშვილის გმირი სწრაფად, ენერგიულად შემოდის დარბაზში. იგი ღრმად ჩაფიქრებული მოავლებს თვალს გარშემომყოფთ და ხელსაც მხოლოდ ჭამბაკურ ორბელიანს ართმევს. პირველივე სცენაში მჟღავნდება პოზიცია — სხვებთან უფრო გულთბილი ურთიერთობა არ სურს. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მასპინძელი სუფრის მოწესრიგებას იწყებს, თუმცა, თითოეული მათგანის შეფასებას დაძაბულად მოელის. უკმაყოფილების გამოხატვას ვერავინ ბედავს, თუმცა, გ. გეგეჭკორის ზავილეისკის შეურაცხყოფილი სახე აქვს — გუბერნატორისათვის გაწვდილი ხელი ჰაერში შერჩა...

ე. მაღალაშვილი ცდილობს უმიზნო საუბარი მალე დაამთავროს, ამიტომაც, სტუმრებს სუფრასთან პატიჟობს. სადღეგრძელოების სწრაფი წარმოთქმაც სტუმარ-მასპინძლობის ეთიკის ფორმალურ დაცვაზე მიუთითებს, ეტყობა გუბერნატორს აქაც ეჩქარება... ეჩქარება სიკეთისა და ბოროტების საწყისის მიგნება. ამიტომ სუფრის წევრთა სადღეგრძელოებშიც მათი ფიქრების ამოცნობას ესწრაფვის. აქედან გამომდინარე, წვეულება დაკითხვას ემსგავსება, სტუმრები კი პატიმრებს. პირველივე სცენებიდან გუბერნატორი საკუთარ გაორებულ ფიქრებს ებრძვის. მან მშვენივრად იცის, შეთქმულთა მიზნები და როგორც ქართველი, თანაუგრძნობს, მაგრამ როგორც თანამდებობის პირი, ვალდებულია კანონსაწინააღმდეგო ქმედება აღკვეთოს. ამ აზრთა ჭიდილში ე. მაღალაშვილის გმირს თანამოძმეთა გადარჩენის სურვილი უჩნდება. სულ იმის ფიქრშია, თუ როგორ შეაცვლევინოს მათ პოზიცია. ჯერ სამხედრო ძალითა და დატყვევებით აშინებს, შემდეგ მონანიების დაწერას თხოვს, ყველაფერი შინაურულად, უმტკივნეულოდ რომ მოგვარდეს. როცა არაფერი გამოუვა, გუბერნატორი სხვა საშუალებებს ირჩევს. მოვლენათა აღქმას შეთქმულთა პოზიციიდან იწყებს. მის პიროვნებაში გარდატეხა ზავილეისკის სიტყვების შემდეგ იწყება: „პატიოსანი კაცი, ნიკოლოზ... თავის ხალხს უნდა ამოუდგეს გვერდით. მას უნდა მიჰყვეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოს ბედი დღეს მხოლოდ საქართველოში არ წყდება. ჩვენ ყველანი ერთი ჯაჭვის ნაწილები ვართ.“ ამ ჯაჭვის გაერთიანების მსურველ გუბერნატორში უკვე ე. მაღალაშვილის პოზიცია იკვეთება. ნიკოლოზი ხვდება, თუ შეთქმულებს მხარი არ დაუჭირა ხვალ მას ერი მოღალატედ ჩათვლის. ამ რწმენით, მიდის იგი ბაიკოვთან (კ. საკანდელიძე) დაკითხვაზე და საკუთარი ნებით სურს სასჯელის გაზიარება. აქაც თანადროულად ჟღერს მისი საქციელი... ე. მაღალაშვილი ნიკოლოზის პატრიოტულ სულს, მის პიროვნულ პატიოსნებას წარმოაჩენს, ამიტომაც აცვია თეთრი მუნდირის ქვეშ უფრო გახამებული თეთრი პერანგი, რაც სულიერ სისპეტაკეზე მიგვანიშნებს.

გუბერნატორის სიმშვიდე, დაფიქრებული მოქმედება და დინჯი მეტყველება საპირისპიროდ იცვლება თავისი ძმის ღალატის გაგებისას. მისთვის განწირული შეთქმულების ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ძმის სულმდაბლობა. ამ რწმენით, საკუთარი სურვილით დგება ნიკოლოზი სახელმწიფო დამნაშავეთა რიგებში.

სხვა დადგმებში ასეთი მხატვრული სიძლიერით არსად წარმოჩენილა ზავილეისკის სახე, რაც მსახიობ გ. გეგეჭკორის შემოქმედებითი წარმატებაა. იდეურად მხოლოდ იგი უპირისპირდება ნიკოლოზს და კონფლიქტსაც მათი პაექრობა განაპირობებს.

გ. სალარაძის ჭამბაკურ ორბელიანი ერთი შეხედვით იმ მოქეიფე თავადთა რიცხვს განეკუთვნება, რომელმაც მეფის სამსახურში მაღალ ჩინსა და მდგომარეობას მიაღწია, ახლა კი თავს მოლხენით ირთობს. მსახიობი გმირის დიალოგებში ჭამბაკურის ბიოგრაფიასაც გადმოგვცემს. მას კარგად ახსოვს გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევის ფაქტები, საქართველოს რუსეთთან შეერთება, ასეთ ძალადობას ეწინააღმდეგებოდა კიდეც, მაგრამ როდესაც ვერაფერს გახდა, შემგუებლობის ნიღაბი დროსტარებისა და გენერლის მუნდირის საშუალებით აიფარა. ელიზბართან კამათისას იგი თვითმპყრობელურ რეჟიმს კი არ იცავს, არამედ საქართველოს მომავალზე ფიქრობს, რომ სანაცვლოდ სპარსოსმალოს ბატონობამ ყველანი უარეს ვითარებაში არ ჩააგდოს. სინანულითაა გამსჭვალული მისი სიტყვები: „განა არ ვიცი, უნამუსოდ მოგვექცნენ რუსთა მეფენი, მოგვატყუეს...“ ჭამბაკურს ამის ერთ-ერთ მიზეზად გაუტანლობაც მიაჩნია. თავის დროზე ერმა ვერაფერი იღონა, ამიტომ, მას ერთიანობის იმედი არა აქვს და უმიზნო სისხლისღვრას, ჯერჯერობით ისევ რუსეთის წესრიგი ურჩევნია. გ. სალარაძის გმირი მომავალს ერის კონსოლიდაციაში ხედავს და რწმენით ამბობს: „თვითონ ვივარგოთ, ერთმანეთს არ ვუღალატოთ, ზნითა და გონით გავძლიერდეთ...“ შემდეგ მსახიობი დარბაზისკენ მობრუნდება და მაყურებელს მიმართავს: „ცოტაც გავუძლოთ, ცოტაც მოვითმინოთ და ამასობაში თავად რუსეთიც შეიცვლება“.

მ. ჯინორიას პაუშენკოს თავდაჭერა ყველასაგან განსხვავებულია. იგი თავიდანვე მორიდებულად მონაწილეობს კამათში, თითოეული მათგანის ნათქვამს უკვირდება, ცდილობს გუბერნატორის სიტყვების ფარული ქვეტექსტი ამოიკითხოს. სპექტაკლში თანდათან ძლიერდება პაუშენკოს ხასიათი, თავს იჩენს მისი მისწრაფება დემოკრატიისაკენ. იგი ელიზბარის მონარქისტულ შეხედულებებს არ იღებს და პროტესტის ნიშნად წასვლასაც დააპირებს. დეკაბრისტული იდეების წარმოჩენა პაუშენკოს სახის კულმინაციას წარმოადგენს.

შეთქმულთაგან ფიცხი ხასიათით თ. გიორგაძის ელიზბარ ერისთავი გამოირჩევა. მისი შეხედულებები პიროვნულ ემოციებს ემყარება, ამიტომაც არის, რომ მისი ლაპარაკი თავშეუკავებლობის ზღვარამდე მიდის. მისი მიზანი შელახული ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენაა, რისი განხორციელებაც მეფის არჩევით წარმოუდგენია. რომანტიკული ბუნება ნათქვამის მოზომვის საშუალებას არ აძლევს. გუბერნატორის პოზიციას რომ ხედავს, პირველი აღიარებს შეთქმულების არსებობას. ამ მოულოდნელობით უნდა ნიკოლოზის შეხედულებებზე გავლენა მოახდინოს და შეთქმულთა ბანაკში გადმოიყვანოს. თ. გიორგაძე გადმოგვცემს ელიზბარის შეურიგებლობას გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევისადმი, რადგან მისთვის წარმოუდგენელია მეგობრული ურთიერთობის გაწირვა და ღალატი. მისი აზრით, ერმა ახლა თუ ვერ შეძლო ამ ხელშეკრულების დაცვა, საქართველოს მომავალში კიდევ უფრო გაუჭირდება. ამიტომაც უნდა ელიზბარს, რომ ეს წამოწყებული საქმე სამაგალითო გახდეს.

სოლომონ დოდაშვილის სახე ტ. ყველაიძის შესრულებით გამოირჩევა ცალკეული მოვლენების ზუსტი შეფასებით. მას არც მეთაურთა ასე ერთად თავშეყრა მოსწონს, არც გუბერნატორის ადიუტანტის ფაციფუცი, ჩუმად იტანს გუბერნატორის ქარაგმულად ნათქვამ შეურაცხმყოფელ სიტყვებს. მაგრამ ამავე დროს გამოკვეთს საკუთარ, დამოკიდებულებას თავისუფალი დემოკრატიული საქართველოს შესახებ და მტკიცედ სწამს, რომ ამ იდეას სხვებიც გაიზიარებენ. მეორე მოქმედებაში დაკითხვის სცენაში მიღებული შთაბეჭდილება ფერმკრთალდება, რადგან, სახე განვითარებას არ განიცდის, მეორდება მსახიობის მიერ უკვე გამოყენებული საშუალებები, რაც უკმარობის გრძნობას ბადებს.

შეფიცულებს საკუთარი პოზიციით იასე ფალავანდიშვილი გამოეყოფა, გ. ძნელაძის გმირი განდიდების მანიას შეუპყრია, თანამდებობას ღალატით მოიპოვებს, იასეს ჰგონია, რომ რუსეთის იმპერიას უდიდესი სამსახური გაუწია და ამისათვის ყოველ ნება-სურვილს შეუსრულებენ, ამიტომაც მოითხოვს ასე თვითდაჯერებულად გუბერნატორის თანამდებობას. გ. ძნელაძე კარგად გადმოსცემს გმირის გაურკვევლობას — ვერ გაუგია, ღირსეულად რატომ არ ფასდება მისი ღვაწლი და დასჯასაც ჰპირდებიან.

ჩევკინი ხან სამოქალაქო, ხან სამხედრო ტანსაცმელში გვევლინება და იმ საშიშ ძალას წარმოადგენს, ყოველ დროში პროგრესულ იდეებს რომ ებრძვის. მსახიობი ა. ხიდაშელის გმირიც ამ „მაგიურ“ ძალას გვიჩვენებს, რომელიც ცდილობს მეამბოხეთა სულიერ სამყაროს ჩასწვდეს და მათ ოცნებებზე ფიქრი მოუსპოს. ჩევკინი სახელმწიფო ინტერესებს იცავს, მაგრამ იასეს შეუფერებლად თვლის დაწინაურებისათვის.

სპექტაკლი მთავრდება მაღალი რომანტიკული და ემოციური განწყობით, მაყურებელს საფიქრალს უტოვებს — რა განსხვავებაა ადრინდელ და თანამედროვე მმართველთა შორის, რა აქვთ მათ საერთო, რა მეორდება წლების მანძილზე... ალბათ ამ წარმმართველი იდეის ნაკლებობის გამო ვერ იქცა ადრეული დადგმები, მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენად. დრომ კი პიესის ცხოველმყოფელობაში თავისი შესწორებები შეიტანა და ისტორიულ წარსულში დაფარული თანამედროვეობა წარმოაჩინა...

---

ვარლამ ტიხონის ძე შალამოვი დაიბადა 1907 წელს ვოლოგდაში, მღვდლის ოჯახში. მამამისი პროგრესული შეხედულების კაცი იყო, კავშირი ჰქონდა ვოლოგდაში მცხოვრებ გადასახლებულებთან. ბავშვობაშივე იჩინა თავი ბიჭის ნიჭიერებამ. — ის გატაცებით კითხულობს და „თამაშობს“ თავისთვის ყველა წიგნს — დიუმადან კანტამდე. 1926 წელს კი ხდება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭოთა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი. აქტიურად მონაწილეობს მოსკოვის ბობოქარ ცხოვრებაში: მიტინგებსა და ლიტერატურულ დისპუტებში, დემონსტრაციებსა და პოეზიის საღამოებში...

1929 წლის 19 თებერვალს შალამოვი დააპატიმრეს ვ. ი. ლენინის ანდერძის „წერილები ყრილობისადმი“ გავრცელებისათვის და მიუსაჯეს 3 წლით ბანაკში პატიმრობა, სასჯელს ჩრდილოეთ ურალში, ვიშერზე იხდიდა. 1932 წელს შალამოვი ბრუნდება მოსკოვში, მუშაობს საუწყებო ჟურნალებში, აქვეყნებს სტატიებს, ნარკვევებს, ფელეტონებს.

ჟურნალ „ოქტიაბრის“ 1936 წლის პირველ ნომერში იბეჭდება მისი მოთხრობა „დოქტორ აუსტინოს სამი სიკვდილი“. სულმოუთქმელად წერს ლექსებსა და მოთხრობებს. მაგრამ... 1937 წლის 1 იანვარს ისევ დააპატიმრეს. 5 წელი კოლიმის ბანაკებში, ოქროს საბადოები, ტაიგის „მივლინებები“, საავადმყოფოს საწოლები, ზღვის უბე ნაგაევო, საბადო „პარტიზანი“, შავი ტბა, არკაგალა, ჯელგალა...

1943 წელს — ახალი სასჯელი, 10 წელი, — მან ბუნინს კლასიკოსი უწოდა — ეს ანტისაბჭოთ აგიტაციად ჩაეთვალა. შიმშილი, სიცივე, ცემა-ტყეპა, დამცირება...

1949 წელს კუნძულ დუსკანიაზე, კოლიმაში პირველად დაიწყო თავისი ლექსების ჩაწერა. 1951 წელს ბანაკიდან გაათავისუფლეს, მაგრამ „მატერიკზე“ წასვლა ვერ შეძლო.

შალამოვი მხოლოდ 1953 წლის ნოემბერში ბრუნდება მოსკოვში — ორი დღით, ხვდება პასტერნაკს, თავის ცოლსა და ქალიშვილს, მაგრამ რეაბილიტაცია ჯერ შორსაა და მოსკოვში ცხოვრების ნება არა აქვს. მიემგზავრება კალინინგრადის ოლქში, იქ ტორფის მომპოვებელ საწარმოში მუშაობს მომმარაგებლად და აღტკინებით, ციებ-ცხელებიანივით წერს კოლიმურ მოთხრობებს.

1956 წლის ივლისში შალამოვმა რეაბილიტაცია მიიღო, 1957 წელს ჟურნალ „ზნამიას“ მეხუთე ნომერში იბეჭდება მისი ლექსები. 1961 წელს გამოდის ლექსების პირველი კრებული „კვესი“, 1964-ში „ფოთლების შრიალი“, 1967-ში „გზა და ბედისწერა“...

მაგრამ რედაქციები მოთხრობებს უკან უბრუნებენ: ამ მოთხრობების დაბეჭდვა მათ ხელს არ აძლევს — შალამოვის მოთხრობებში არაა ასახული „შრომითი ენთუზიაზმი“, მათში მხოლოდ „აბსტრაქტული ჰუმანიზმია“.

შალამოვი ამას ძალიან განიცდის: ის, რაც ასე ძვირად — სიცოცხლისა და სისხლის ფასად დაუჯდა, საზოგადოებისთვის საჭირო არ აღმოჩნდა, მისი ზნეობრივი განწმენდის, განახლების მიზნებს არ ემსახურება.

შალამოვი ბოლო დღეებამდე მუშაობდა, მუშაობდა ინტერნატშიც კი, სადაც ის მოათავსა ლიტფონდმა 1979 წელს.

გარდაიცვალა 1982 წლის ზამთარში, 17 იანვარს.

1987 წელს გამოჩნდა მისი პროზის პირველი პუბლიკაციები, ლექსების ციკლები კოლიმის რვეულებიდან („იუნოსტი“, „სელსკაია მოლოდიოჟ“, „ავრორა“, „ლიტერატურნაია გაზეტა“). „ნოვი მირმა“ 1988 წლის მეექვსე ნომერში დაბეჭდა რამდენიმე კოლიმური მოთხრობა.

ვ. შალამოვის კოლიმურ ეპოპეას ქმნის მოთხრობებისა და ნარკვევების კრებულები: „კოლიმური მოთხრობები“, „მარცხენა ნაპირი“, „ნიჩბის არტისტი“, „დანაშაულის სამყაროს ნარკვევები“, „ლარიქსის აღორძინება“... 1954-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან 1973 წლამდე მუშაობდა ამ ეპოპეაზე. მას უდგანან „კოლიმის მოგონებანი" და „ანტირომანი" — მოთხრობების ციკლი ვიშერაზე.

როგორც ერთი კრიტიკოსი სამართლიანად წერს, ვარლამ შალამოვის მოთხრობები უწყვეტი, განუყოფელი მთლიანობაა. მას ამთლიანებს თვით ავტორის ხვედრი, სული, აზრები. ამ ტრაგიკულ ეპოპეაში გამოგონილი არაფერია. ავტორი მიიჩნევდა, რომ თხრობა ამ ზღვარსმიღმა სამყაროზე შეუთავსებელია გამოგონილთან...

ყოველი ადამიანის სიცოცხლე, ყოველი ადამიანის სული ძვირფასია და დაცული უნდა იყოს ბოროტებისა და ხრწნისაგან.

აი, ვ. შალამოვის წიგნების არსი.



# ჩემი რამდენიმე სიცოცხლე

## ვარლამ შალამოვი

ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. ასე მგონია, რომ ლექსებს ყოველთვის ვწერდი. და მაინც...

●

ორმოცდაჩვიდმეტი წლისა ვარ. დაახლოებით ოცი წელი ბანაკებსა და გადასახლებაში გავატარე. არსებითად, მე ჯერ ბერიკაცი არა ვარ, რადგან დრო ჩერდება ზღურბლზე იმ სამყაროსი, რომელშიც ოცი წელი გავატარე. „მიწისქვეშა" გამოცდილება არ ზრდის ცხოვრების საერთო გამოცდილებას. და „იქ" შეძენილი ცოდნა „თავისუფალ ცხოვრებაში" არ გამოდგება, მე არ მიმძიმს დავუბრუნდე იმ წლების შეგრძნებებს. კოლიმას ხომ მე ვერასოდეს დავივიწყებ. და მაინც ეს ორი სხვადასხვა ცხოვრებაა. „იქ" მე ლექსს ყოველთვის არ ვწერდი. მე მიხდებოდა ცხოვრებასა და ლექსებს შორის არჩევანი მეკეთებინა და ცხოვრების სასარგებლოდ (ყოველთვის!) მეკეთებინა ეს არჩევანი.

●

კარგად მახსოვს პირველი მსოფლიო ომი, „გერმანიის" ომი, წვევამდელებიანი და მთვრალებიანი საზიდავები. მახსოვს „უკანასკნელი ახლანდელი პატარა დღე", გერმანელი სამხედრო ტყვეები, რომლებმაც, ქალაქში რაც კი მტრედი იყო, ყველა დაიჭირეს. 1915 წლიდან ვოლოგდაში მტრედი აღარ იყო წმიდა ფრინველი. ორივე ჩემი ძმა პირველ ომში იყო. მეორე ძმა, ქიმიური ასეულის წითელარმიელი, ფრონტზე მოკლეს სამოქალაქო ომის დროს, მამაჩემი ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ დაბრმავდა და მან — ბრმამ — მთელი ცამეტი წელიწადი კიდევ იცოცხლა.

●

ისე მოხდა, რომ ჩემს ცხოვრებაში არ შემხვდა ადამიანი, ვინც აღმომაჩენინებდა პოეზიას, რუსულ პოეზიას, ვინც ცოცხალი ენით წამიკითხავდა პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის ცოცხალ ლექსებს. ხელის ცეცებით, ნელი ნაბიჯით და უყაირათო გზით მივიწევდი წიგნიდან წიგნამდე. ხლებნიკოვი პუშკინამდე იქცა ჩემს მოთხოვნილებად, სევერიანინი — ბლოკამდე, ასეევი — ანენსკიმდე, რომ არაფერი ვთქვათ რუსული პოეზიის მწვერვალზე — ტიუტჩევზე. ჩემი ჭაბუკობის დროს არ აღმომიჩნდა [illegible], ვინც ლექსების სიყვარულს შემასწავლიდა. ასეთი ადამიანი, ჩვეულებრივ, არის მასწავლებელი, უფროსი ძმა, მამა, დედა. დედაჩემს ეს ძალუძდა, როგორც ამას ვხვდებოდი გვიან, როცა მასზე ვფიქრობდი უკვე მაშინ, როცა უკანასკნელად დავცილდი. უკიდურესად ფაქიზი, მგრძნობიარე ადამიანში იყო. მახსოვს, ცრემლს ვერ იკავებდა, როცა უსმენდა მუსიკას — ნებისმიერს, გამამხნევებელსაც კი. სიმფონიური ორკესტრი, როიალი და ვიოლინო მას ათრთოლებდნენ, აკანკალებდნენ, თითქმის ისტერიას გვრიდნენ. უამრავი ლექსი იცოდა ზეპირად — უპირატესად კლასიკოსები. დედაჩემს ყველა ცხოვრებისეული შემთხვევის შესაბამისი ლექსური ციტატა ახსოვდა, — ვფიქრობ, რომ მის ცხოვრებაში ლექსი ძალზე დიდ და სრულიად რეალურ როლს ასრულებდა.

დედაჩემის მეხსიერებაში ლექსები მკვიდრდებოდა, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება და არა როგორც მუსიკალური აკორდები. ის არც კი ცდილობდა ადამიანზე ხელოვნების შემოქმედების საიდუმლოებას ჩაწვდომოდა.

დედაჩემი ტიროდა, ტიროდა, თუმცა მინორს მაჟორისგან ვერ არჩევდა. მაშინ დეტექტორულ მიმღებთა, გიგანტურ ანტენათა მოვლენების ხანა იყო. მინდოდა დედაჩემის ოთახში ყურსაცვამიანი ყუთი დამედგა.

— არა, ნუ დადგამ, თორემ მთელი დღე ვიტირებ.

●

მრავალი წლის შემდეგ მიყვებოდა პასტერნაკი, რომ მას არ შეუძლია კინოში მსხვილ პლანს უყუროს — ცრემლი მოხდის შეუკავებლად.

— რაღაც ცხენს უჩვენებენ კინოქრონიკაში, მე კი გულამოსკვნით ვტირი.

ასაკოვანი კაცის უეცრად, მოულოდნელად აცრემლება არცთუ ისე იშვიათი ამბავია.

●

კარგად მახსოვს თებერვლის რევოლუცია — როგორ ადვილად ჩამოშვავდა ვაჟთა გიმნაზიის ფრონტონიდან ბაგირით დაბმული ვეებერთელა თუჯის არწივი!..

●

კარგად მახსოვს კედროვი — ფრონტის სარდალი, მახსოვს მისი ვაგონი. მახსოვს ცისფერგალიფეებიანი, ქალაქის ბაღში უქალებოდ, ერთმანეთთან მოცეკვავე ლატვიელები...

გაკვეთილების მომზადებას მოვრჩებოდი თუ არა, მაშინვე, დაუყოვნებლივ ვიწყებდი საიდუმლო თამაშს... ნაფოტებით, ასანთის კოლოფებით და ჩემთვის ვასრულებდი, წარმოვადგენდი გოგოლს, პუშკინს, და განსაკუთრებით, ჰიუგოსა და ალექსანდრე დიუმას...

ყოველივე წაკითხულის ეს თეატრალური გადმოცემა, მოყოლა მთელი ბავშვობა გრძელდებოდა. მამისეული წიგნის კარადა ყოველთვის ჩემს განკარგულებაში იყო. თუმცა, ალექსანდრე დიუმა ამ კარადიდან არ იყო.

1918 წელს მებატონეთა ბიბლიოთეკები კონფისკებულ იქნა და ქალაქის ცენტრში, ციხის ადგილზე, შეიქმნა მუშათა ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკასთან ნაცნობობის მთელი წელი ჩემთვის ძალზე ნათელი ამბავი იყო. დიუმა, კონან დოილი, მაინ რიდი, ვიქტორ ჰიუგო, — ყველა ოქროს ყდაში იყო ჩასმული — მელოდნენ ყოველდღე. ყველა რომანს მიყოლებით ვკითხულობდი და თამაშით წარმოვადგენდი.

მახსოვს ძალზე მღდური ანტირელიგიური დისპუტები. თვითონაც ვმონაწილეობდი ამ დისპუტებში. მამაჩემი — ბრმა მღვდელი ამ დისპუტებზე ღმერთისთვის საბრძოლველად დადიოდა. პირადად მე რელიგიურ გრძნობას მოკლებული ვარ, მაგრამ მამაჩემი მორწმუნე კაცი იყო და ამ გამოსვლებს თავის მოვალეობად, მორალურ ვალდებულებად მიიჩნევდა. მე ვიყავი მისი გამძღოლი, ხელმკლავით დამყავდა. და ვსწავლობდი სულიერ სიმტკიცეს...

●

იმ წლებში მოსკოვის ცხოვრება პირდაპირ დუღდა. გაუთავებლად კამათობდნენ დედამიწის სფეროს მომავალზე...

ამავე ტალღებზე მოტორტმანე მოსკოვის უნივერსიტეტში განსაკუთრებით მძაფრი დისპუტები იმართებოდა. მთავრობის ყოველგვარი გადაწყვეტილება, კონცერტზე რომ ხდებოდა ისე, მყისვე იმართებოდა.

ასეთივე ვითარება იყო კლუბებშიც, ტრიოხგორსკის კლუბში ხანდაზმულმა მქსოველმა ქალმა მიტინგზე დაიწუნა ის ახსნა, რომელიც ფინანსურ რეფორმას მისცა ადგილობრივი უჯრედის მდივანმა.

— სახალხო კომისარიატი მოგვიყვანეთ, სახალხო კომისარიატი, თორემ შენ აქ რაღაც ბუნდოვნად ლაპარაკობ.

და მოვიდა სახალხო კომისარიატი — ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე პიატაკოვი და გაფთრებულ დედაბერ მქსოველს დიდხანს უხსნიდა რეფორმის არსს...

რაზე არ კამათობდნენ. ყველაფერზე კამათობდნენ. იმაზეც, კომუნიზმის დროს სუნამოები თუ იქნებოდა... იმაზეც, ფურიეს ფალანგაში საერთო ძალები თუ არსებობენო... საჭიროა თუ არა ადვოკატურა, საჭიროა თუ არა პოეზია, ფერწერა, ქანდაკება, და საჭირო თუა — რა ფორმითაა საჭირო...

არახაკმაოდ გვეჩვენებოდა გვენახა, გვცოდნოდა, გვეცოცხლა. გვინდოდა, ვიდრე უკვდავების ვადას არ გაევლო, თავადვე გვემოქმედნა...

●

ჩემი სიცოცხლე გაიყო ორ კლასიკურ ნაწილად — ლექსებად და სინამდვილედ. ვწერდი ლექსებს, დავდიოდი ლიტერატურულ წრეებში, ვმეცადინეობდი — შევედი ამ დროს ახალშობილ ლეფში, რამდენჯერმე ვიყავი „წითელ სტუდენტობაში" სელვინსკისთან... ვხვდებოდი სერგეი მიხაილოვიჩ ტრეტიაკოვს — „ფაქტოგრაფისტს".

მაღალი, ვიწრომკერდიანი სერგეი ტრეტიაკოვი გადაჭრილ საკითხთა კაცი იყო. რაიმე ორჭოფობის გაგონებაც კი არ უნდოდა. გინდა იმუშაო? — გასწავლით, დაგეხმარებით. არ გინდა? — ღმერთმა ხელი მომიგართოს.

მასთან ჟურნალისტობის შესწავლა შეიძლებოდა. არც მომავლის და არც თანამედროვე პოეტები არ უყვარდა. არც თვითონ იყო პოეტი, თუმცა ლექსებს თხზავდა და მთელი პოემაც კი დაწერა — „ილრიალე, ჩინეთო", რომელიც შემდგომ პიესად გადაკეთდა. მალაია ბრონნაიაზე ცოტახანს „დავდიოდი ჩემი ჭირვეულობისა და იმის გამო, რომ მეცოდებოდა ლექსები, — არა ვისიმე ლექსები, არამედ საერთოდ ლექსები. „ფაქტის ლიტერატურაში" ლექსების ადგილი არ იყო.

— აი, ოთახში რომ შედიხარ, პირველი რა გვხვდება თვალში?

— სარკე, — ვუპასუხე მე.

— სარკე? — დაფიქრდა ტრეტიაკოვი — სარკე კი არა, კუბატურა.

მაშინ რადიოგაზეთ „ხამუშაო შუადღეში" ვმუშაობდი.

— მოდით, — მითხრა სერგეი მიხაილოვიჩმა, — დაწერეთ „ნოვი ლეფისთვის" შენიშვნა „რადიორეპორტიორის ენა". გაგონილი მაქვს, რომ უნდა ვერიდოთ შიშინებს და ასე შემდეგ, დაწერეთ?

— მე, სერგეი მიხაილოვიჩ, საერთო საკითხებზე მინდოდა დამეწერა, — გაუბედავად ჩავიბურდღუნე.

ტრეტიაკოვის ვიწრო სახე დაიმანჭა და ხმა აწკრიალდა:

— საერთო საკითხებზე თვითონ ჩვენ ვწერთ.

მალაია ბრონნაიაზე ამის მეტად არ ვყოფილვარ. „მარცხენა ფრონტის" სულიერი კირთისგან თავდახსნილი გაშმაგებით ვწერდი ლექსებს წვიმასა და მზეზე, ყველაფერზე, რაც კი ლეფში იკრძალებოდა...

ჩემი ცხოვრება ყოველთვის, ამ დროიდან; როცა სულ პატარა ვიყავი, ორ ნაწილად, ორ მხარედ იყოფოდა...

პირველი იყო ხელოვნება, ლიტერატურა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბედმა განმიწესა ჩემი სიტყვის თქმა... და სწორედ ლიტერატურაში, მხატვრულ პროზაში, პოეზიაში.

მეორე ნაწილი, მეორე მხარე იყო მაშინდელ საზოგადოებრივ ბრძოლებში მონაწილეობა, მათთვის გვერდის ავლის, თავის არიდების შეუძლებლობა, რადგან ჩემი მთავარი კრედო სიტყვისა და საქმის შესაბამისობა გახლდათ...

●

1929 წლის 19 თებერვალს დამაპატიმრეს. ბერეზნიკებში ვმუშაობდი... ბერეზინი მიხმობდა კოლიმისკენ, მხარის კოლონიზაციისკენ, მაგრამ ამაზე უარი ვთქვი. მე სხვა გეგმები მქონდა...

მოსკოვში 1932 წელს დავბრუნდი და მყარად ვიდექი ოთხივე თათზე. დავიწყე მუშაობა ჟურნალებში, ვწერდი, არ ვამჩნევდი დროს, ვისწავლე ლექსებში ჩემისა და სხვისის გარჩევა. ვცდილობდი შანთით ამომეწვა ყველაფერი სხვისი. დღე და ღამ ვმუშაობდი. ვფიქრობდი მოთხრობაზე, მის შესაძლებლობებსა და ფორმაზე. მეჩვენებოდა, რომ ვისწავლე იმის გაგება, თუ რისთვისაა საჭირო წვიმა მოპასანის მოთხრობა „მადმუაზელ ფიფიში". დავწერე მოთხრობების ჯერ კიდევ გამოუყენებელი 150 სიუჟეტი და 200 ლექსი. ვაი, რომ, იმჟამინდელ ჩემს ცოლს ლექსებისა და მოთხრობებისა ცოტა რამ გაეგებოდა, ვიდრე კოლიმაზე ვიყავი, ჩემი დაბეჭდილი რაღაცეები კი შეინახა, მაგრამ ხელნაწერებს არ გაუფრთხილდა...

ისიც გავიგე, რომ ხელოვნებაში ადგილი ყველას ჰყოფნის და მწერალთა რიგებიდან ვინმეს გაგდება საჭირო არაა. შენ დაჯექი და წერე, შენი დაწერე... რამდენიმე მოთხრობა დავწერე და სიამოვნებით დამიბეჭდეს... ძალას ვიკრებდი, ლექსებს ვწერდი, მაგრამ არავის ვუკითხავდი. უწინარეს ყოვლისა, საკუთარი სახე უნდა გამომეკვეთა. მზადდებოდა მოთხრობების წიგნი. ასეთი გეგმა მქონდა: 1938 წელს უნდა გამომეცა პირველი წიგნი — პროზა, შემდეგ კი — მეორე: ლექსების კრებული.

მაშინ როგორ ვცხოვრობდი? დავწერ, რედაქციის მანქანაზე მბეჭდავ ქალს ვკარნახობ, ხელს ვაწერ, მისამართს ვუთითებ და მიმაქვს — მნიშვნელობა არა აქვს, რომელი გაზეთისა და ჟურნალის რედაქციაში. მდივნები ჩვეულებრივ მპასუხობდნენ, ერთი კვირის შემდეგ გამოიარეთო, ერთი კვირის თავზე შევივლიდი და ვღებულობდი პასუხს — ყოველთვის დადებითს. ასე იყო გორკის „კოლხოზნიკში", „ოქტიაბრში", „პროჟექტორში", „გუდოკში", „ლენინგრადსკაია პრავდაში", „ვოკრუგ სვეტაში", თავდაჯერებულობა ნებისმიერ ჟურნალში შეუფერხებლად, წარმატებით აგვირგვინებდა საქმეს. მე იმის გაგებაც კი არ შემეძლო, თუ როგორ შეიძლებოდა არ მიეღოთ ჩემი მოთხრობები, ჩემს მიმართ ამგვარი რამ შეუძლებლად მესახებოდა. ასეთი რწმენით ვიყავი გამსჭვალული, ასეთი მტკიცე იყო ჩემი რწმენა. მეჩვენებოდა, რომ უკვე მოვნახე ტონი, საწყისი და სტილი და სხვათაგან განსხვავებული სახით ვქმნიდი.

ეს ხერხი შეუფერხებლად მოქმედებდა: ასი პროცენტი ხვდებოდა მიზანში. ჩემთვის ვფიქრობდი მაშინ, რომ ყოველთვის არა მარტო ტალანტი იჩენს თავს, არამედ ბიოგრაფიაც და ის მიკარნახებს, ჩამძახებს ყველაფერს, რაც საჭიროა, და დაწერს ჩემი კალმით...

1937 წლის 12 იანვრის ღამეს ჩემს კარზე დააკაკუნეს...

●

საპყრობილეში ყოფნის პირველივე წუთიდან ჩემთვის ცხადი იყო, რომ შეცდომით არავის იჭერდნენ, რომ გეგმაზომიერად სპობდნენ მთელ „სოციალურ" ჯგუფს — ყველას, ვინც უკანასკნელი წლების რუსული ისტორიიდან ის არ დაიმახსოვრა, რაც უნდა დაემახსოვრებინა...

1937 წლიდან 1950 წლამდე ბანაკებსა და გადასახლებაში ვიმყოფებოდი. ჩრდილოეთის პირობები გამორიცხავს მოთხრობებისა და ლექსების წერას და, თუ მაინც სასწაული მოხდა და დაწერა მოახერხე, მათი შენახვა მაინც გამორიცხულია. ოთხი წელი ხელში არ მჭერია წიგნები და გაზეთები. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ შესაძლებელი ყოფილა ზოგჯერ მაინც ლექსების დაწერაც და შენახვაც. ახამდე ლექსი სამუდამოდ დაიკარგა. მაგრამ ზოგი რამ გადარჩა. 1949 წელს, ბანაკში ფერშლად მუშაობისას, მოვხვდი „ხატყეო მივლინებაში" და მთელ თავისუფალ დროს ვწერდი: ძველი სარეცეპტურო წიგნების უკანა მხარეზე, გასახვევი ქაღალდის ნახევებზე, რაღაც პარკებზე.

1951 წელს გავთავისუფლდი პატიმრობიდან, მაგრამ კოლიმიდან გამოღწევა ვერ შევძელი. ფერშლად ვმუშაობდი ოიმიაკონის ახლოს ინდიგირკის ზემო წელში. სიცივის ზოლში და დღე და ღამ ვწერდი თვითნაკეთ რვეულებში.

1953 წელს კოლიმიდან გამოვემგზავრე, კალინინის ოლქში პატარა ტორფის საწარმოში დავიდე ბინა, ორწელიწადნახევარი ვიმუშავე იქ ტექნიკური მომარაგების აგენტად. სეზონურ „მეტორფეებთან" ერთად ტორფის დამუშავების ადგილებში გლეხკაცი ხდებოდა მუშა, პირველად ეზიარებოდა მუშურ ფსიქოლოგიას. იქ ცოტა რამ როდი იყო საინტერესო, მაგრამ მე არ მეცალა. 45 წლის გადამცდარი ვიყავი, ვცდილობდი დროისთვის გამესწრო და დღე-ღამ ვწერდი. ყოველდღე მეშინოდა, რომ ძალა გამომელეოდა და უკვე სტრიქონსაც კი ვერ დავწერდი, ვერ დავწერდი იმას, რისი დაწერაც მინდოდა.

1953 წელს მოსკოვში შევხვდი პასტერნაკს, ვინც დაუმსახურებლად მაღალი შეფასება მისცა ჩემს ლექსებს, რომლებიც 1952 წელს გავუგზავნე მას.

●

1956 წლის შემოდგომაზე, რეაბილიტირებული, მოსკოვში დავბრუნდი, ვმუშაობდი ჟურნალ „მოსკვაში", ვწერდი ლექსებს და შენიშვნებს კულტურის, ისტორიის, მეცნიერების, ხელოვნების საკითხებზე.

1956 წელს კავშირის ბევრმა ჟურნალმა მიიღო ჩემი ლექსები, მაგრამ 1957 წელს ყველა დამიბრუნეს. მხოლოდ ჟურნალმა „ზნამიამ" დაბეჭდა ჩემი ექვსი ლექსი ციკლიდან „ლექსები ჩრდილოეთზე".

1958 წელს ჟურნალ „მოსკვაში" (№ 5) დაიბეჭდა ხუთი ჩემი ლექსი, გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელში" კი 1961 წელს გამოვიდა ჩემი პატარა კრებული „კვესი"...

დავწერე რამდენიმე ათეული მოთხრობა ჩრდილოეთის მასალაზე, ოცი ნარკვევი.

მომავლის პროზა მეჩვენება სადა პროზად, რომელშიც არ იქნება არავითარი მაღალფარდოვნება. მისი არსებითი ნიშანი იქნება ზუსტი ენა, რომელშიც მხოლოდ ჟამიჟამ გამოკრთება ახალი, პირველად დანახული და შთამბეჭდავად აღწერილი დეტალები ან წვრილმანები. ამ დეტალებმა მკითხველი უნდა გააოცოს და მან მონათხრობი უნდა ირწმუნოს...

ახლა ლექსებს რაც შეეხება... პოეზიის კოსმოსი — ესაა მისი სიზუსტე, გამოწვლილვითობა. იამბსა და ქორეს, რომლებმაც ჩინებული სამსახური გაუწიეს საუკეთესო რუს პოეტებს, თავიანთი გასაოცარი შესაძლებლობების მეათასედიც არ გაუხარჯავთ. ინტონაციის მეტაფორის, სახის ძიებას არ შეიძლება საზღვარი დაედოს.

აი, თითქმის ყველაფერი, რაც მინდოდა მეთქვა. ეს ავტობიოგრაფია არაა. ეს ჩემი ხვედრის ლიტერატურული ქარგაა.

1964

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ





# მათი დღესასწაული

პაპი იოანე პავლე II შვეციის მეფის ოჯახთან; ერ-
ლი დროშის დაცვა.

ეროვნული დროშის (ლურჯ ფონზე ყვითელი ფერის ჯვარი) ზეიმი. ეს ზეიმი ივნისში აქვთ შვედებს. თავისუფალი და ლაღი ხალხი ზეიმობს ასეთ დღესასწაულს სიხარული და მშვიდობაა შერწყმული მათ დღესასწაულში. მაგრამ ეს ქვეყანა თავისუფალია, თავისუფლება ახსოვთ ოდითგან. ეს ქვეყანა ნეიტრალურია... მაინც, ესეც უნდა ითქვას: ამ საუკუნის დასაწყისში მათ ძალიან უჭირდათ, თითქმის ვშიმშილობდითო; იმ ხანებში დაიძრა ხალხი ემიგრაციაში, ბევრი წავიდა შეერთებულ შტატებში. მაშინ იყო რომ ერთ-ერთმა პროგრესულმა პარტიამ, — სოციალ-დემოკრატებმა, ყველაფერი ილონეს და უმდიდრეს ქვეყნად აქციეს სამშობლო. ამ ეროვნულ ზეიმთან დაკავშირებით: შვეციაში ყველამ თუ არა, ცხადია, ძალიან ბევრმა იცის ინგლისური ენა, მაგრამ უცხოთაგან მაინცდამაინც არ უხარიათ, როცა შვედურად არ მიმართავენ. მთელ ქვეყანაში, რაღა თქმა უნდა, არც წარწერაა (ვთქვათ, იაპონურ ან კანადურ მაღაზიაზე), არც რამე აბრა სხვა ენაზე — მხოლოდ შვედურად! იმათთვის, ვისაც გარკვეული დროით უხდებათ იქ ცხოვრება (ჟურნალისტები, ემიგრაციაში მყოფები და ა. შ.), ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შვედურის სწავლა. შვეციაში ქართული საზოგადოების (ამ საზოგადოების შესახებ „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებისთვის ზოგი რამ უკვე ცნობილია, და დღეს ისევ შევეხებით მას) წევრის გიგა თევზაძის მეუღლემ მზია ელიზბარაშვილმა უკვე საკმაოდ იცის შვედური, მაგრამ საღამოობით ჯერ ისევ ესწრება შვედური ენის გაკვეთილებს. — ნეტავი როდის დადგება ის დღე, ჩემს ქვეყანაშიც ასე იყოს, — ამბობს მზია.

— ერთი წუთითაც არ მიფიქრია იმაზე, რომ საბოლოოდ დავრჩებით აქ. მერე რა, რომ ყველაფერი აქვთ, რასაც კი კაცი მოისურვებს, მაინც შენს ქვეყანაში ჯობია ყოფნა. განგებით და ალბათ დაფარული რამ საიდუმლოს გამოც არის (ბედუკუღმართობას რომ თავი დავანებოთ), რომ ასეთი ქვეყანა და ხალხია და ბევრმა მაინც არ იცის: სად არის, სად მდებარეობს, რა ხალხი ცხოვრობს საქართველოში. იმათ კი, ვისაც გაუგონია, იცის ის, რომ აქ კარგი დრო უნდა გაატარო, მდიდარი ქვეყანაა და მდიდარი ხალხი ცხოვრობს. მსოფლიოში თუ სადმე გაჭირვებული ხალხი და ქვეყანაა, დახმარება სჭირდებათო, საქართველოში კი — გიჭირს თუ გილხინს, არც არავის აინტერესებდა და არც ახლა აინტერესებს ვინმეს (ცხადია, ალბათ ყველაზე არ ითქმის ეს). მაგრამ ესეც არის: რაც მოგივა დავითაო...

— შვეციის ქართული საზოგადოება ოცდაათამდე წევრს ითვლის. ამ ოცდაათი წევრიდან უმრავლესობა ადრე თურქეთში ცხოვრობდა. ესეც ბედუკუღმართობის გამოა, რომ ბევრმა არ იცის ქართული წერა-კითხვა, საქართველოს ისტორია, მაგრამ ძალიან დიდი სურვილი აქვთ წერა-კითხვის სწავლისაც და საქართველოს გაცნობისაც, — ამბობს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე მალხაზ მიქაძე — საზოგადოების სწრაფვაც ის არის, რომ დავეხმაროთ მათ. კარგია გვქონდეს ქართული ისტორიული ფილმები, იქნებ ქართული სამზარეულოც გაიხსნას აქ, ესეც ძალიან საჭირო საქმეა. საზოგადოება შვედებსაც გააცნობს საქართველოს ისტორიას, ქართულ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს. 26 მაისი ზეიმით აღვნიშნეთ, დილიდანვე შევიკრიბეთ საზოგადოების წევრები, ბავშვებიანურთ. აქვე მინდა ვთქვა: იქნებ საქართველოს ყველა პროგრესულმა პარტიამ იზრუნოს საზღვარგარეთ არსებული სათვისტომოებისა და საზოგადოებების შეკავშირებაზე, საერთოდაც, ალბათ საჭიროა ინფორმაციების გაცვლის ინტენსიურობა.

— სულ მალე მზად იქნება გამომცემლობა „დილა", — ამბობს შვეციის ქართული საზოგადოების თავმჯდომარე შალვა თევზაძე. — „დილა" გამოსცემს წიგნებს, ჟურნალებს, თარგმანებს, ძირითადად იმ ქართველებისთვის, ვინც თურქეთში ცხოვრობს. შევადგინე წიგნი — საქართველოს ისტორია (მიმოხილვა) და მისი ახლანდელი ვითარება — შვედურ ენაზე. ალბათ თურქეთშიც გამოვცემ ამ წიგნს; 100 წლის წინათ 10 მილიონ თურქში ორი მილიონი მუსულმანი ქართველი იყო, ახლა 56 მილიონია თურქეთის მოსახლეობა და აქედან — ხუთი მილიონი ქართველია. წიგნზე უკვე კარგა ხანია ვმუშაობ. ორ ათეულ წელზე მეტია ვაგროვებ წყაროებს საფრანგეთიდან და თურქეთიდან. წიგნში პირველად ვხმარობ წყაროებს 1918-1921 წლების შესახებ; არ შემიძლია არ გავიხსენო ახმედ მელაშვილი. ასეთი კაცი იშვიათად დაიბადება. იწვოდა პირდაპირ თავისი ქვეყნის სიყვარულით. ახმედ მელაშვილმა თურქეთში გამოსცა წიგნი „საქართველო". პროფესიით არქიტექტორი იყო, ქირით ცხოვრობდა თავის ცოლშვილთან ერთად, თუ რამე იშოვა, იმ წიგნის გამოცემას მოახმარა, იცოდა, რომ ყველაზე საშური საქმე თურქეთის ქართველების გამოღვიძება იყო, ყველაზე მეტად ასეთი წიგნი სჭირდებოდა იქაურ ქართველებს. ჰოდა, 10 წლის წინათ მოკლეს თურქებმა. იმის მერე შეწყდა ჟურნალ „ჩვენებურის" გამოცემა, რადგან ახმედი მეხმარებოდა ძალიან. „ჩვენებურს" აქედან, შვეციიდან ვაწვდიდით თურქეთის ქართველებს; საქართველოში კი შემპირდნენ მაშინ, გამოგიგზავნით მასალასო, მაგრამ არაფერი მიმიღია, და ველარ გავაგრძელე ჟურნალის გამოცემა. „ჩვენებურის" მერე ფაქტიურად აღარც შვეციის ქართული საზოგადოება არსებობდა და ამიტომ ვამბობთ, რომ აღდგა იგი. ამას წინათ გაზეთ „ექსპრესენში" დავბეჭდე წერილი საქართველოზე. შვეციის ტელევიზიითა და რადიოთიც გამოვედი. აქვე ესეც მინდა გითხრათ: თუკი ბაქოსა და ერევანში აქვთ კარგი რადიოსადგურები ინგლისურ ენაზე, თბილისიდან რატომ არ უნდა იყოს გადაცემა. ხანდახან გული იმაზეც მტკივა, რომ შვეციაში თურქეთიდან ჩამოსული ქართველების უმრავლესობა, თუ კარგი საქმე არ იშოვა, შავ სამუშაოს არ კადრულობს, არაფერს აკეთებს და დადის ასე, — სხვა მდიდრდება, ქართველი — არა. დიახ, გული მტკივა, კარგია მოლხენა, მაგრამ საქმის მერე; ქეიფის მერე დაპირებული აღარავის ახსოვს; ყველა ცალ-ცალკე მიდი-მოდის, არადა, ერთ სანუკვარ საქმეზე უნდა ფიქრობდეს ყველა — საქართველოს კეთილდღეობაზე. სამოგზაურო ბიურო მაქვს, აქაც და სტამბოლშიც. თურქეთში ჩასული ქართველი ტურისტების უმრავლესობა, ამ ბოლო დროს, რომ ეკადრებათ, ზოგჯერ ისე არ იქცევიანო, თურქულ გაზეთშიც იყო ამაზე. რა გვჭირს იმათი სალაპარაკო. ჩემს მეუღლეს ვერ დააჯერებ, — შეიძლება საქართველოდან ჩასულები არიან, მაგრამ ქართველები არ იქნებიანო, საქართველოში ქართველების გარდა სხვებიც ცხოვრობენო, ასე ამბობს. საქართველოს არც ერთ ქვეყანაში არა ჰყავს არც ჟურნალისტები, არც წარმომადგენლები. უცხოეთთან კავშირის დამყარებაა საჭირო; სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება. ტურიზმი იქნება, სანაოსნო საქმე, ავიაკომპანიები თუ სხვა. როცა ლიტვის პრეზიდენტი სტოკჰოლმში ჩამოვიდა, შვედებმა ამ რესპუბლიკას ანგარიში გაუხსნეს თავიანთ ბანკში. ეს დახმარებაა, ცხადია. ძალა რომ ერთობაშია, ეს კარგად იცის ყველამ, ჰოდა, იმაზე ბედნიერება რა იქნება, რომ ყველა ქართველს ერთი პირი ჰქონდეს და ყველა საქართველოზე ფიქრობდეს.

არჩილ და გიორგი ქავთარაძე-თაოაძის შვილებია, ერთი ფირმა „სინაკოს" მენეჯერია გეტებორგში, მეორის ფირმა „კაიელი" ქაღალდს აწარმოებს, იგი ამ ფირმის პრეზიდენტია. ორივეს საქმიანი ურთიერთობის დამყარება სურს საქართველოსთან.

— ბევრი წამოწყებული საქმე ფერხდება, ალბათ ზოგი გასაგები მიზეზის გამოც, — ამბობს ბ-ნი გიორგი, — ბიზნესი კი თავისას ითხოვს — მეტ სისწრაფეს. საქართველოს აქვს შესაძლებლობები წინ წავიდეს. 15 წლის წინათ რამდენიმე ქვეყანამ, ახლა უკვე წარმატებას რომ მიაღწია, თავიდან დაიწყო ყველაფერი, მათ შორის არის პორტუგალია, და არა მარტო პორტუგალია. ესეც არის, ამისათვის თავისუფალი, დამოუკიდებელი უნდა იყო. გიორგი ქავთარაძე რამდენჯერმე იყო საქართველოში, ბ-ნი არჩილი შემოდგომაზე აპირებს ჩამოსვლას.

იმ დღეებში სტოკჰოლმის ტელევიზიით აჩვენეს ბი-ბი-სის დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა არმია თუ რუსეთის არმია?! — ჟურნალისტ ჯეინ კობინის კომენტარებით და ინტერვიუებით — საბჭოთა ჯარისკაცებთან, ოფიცრებთან, აგრეთვე იაზოვთან. აჩვენეს ბაქო; ჯეინ კობინი იქაურებს ესაუბრება — და ისევ კომენტარები; ითქვა, რომ თბილისში და ბაქოში მომხდარი ამბებით პერესტროიკამ ნიღაბი ჩამოიხსნა; რომ თუ საბჭოთა არმიისა ადრე ევროპას ეშინოდა, ახლა თვითონ საბჭოთა კავშირს ეშინია მისი; რომ საქართველოდან და ზოგი სხვა რესპუბლიკიდანაც ჯარში არ მიდის ახალგაზრდობა; რომ შარშან მოსკოვიდან არ წავიდა ახალწვეულთა 25%. ჯეინ კობინთან საუბარში იაზოვი აღნიშნავს, რომ მხოლოდ წესრიგის დასამყარებლად შევიდა ჯარი თბილისშიც და ბაქოშიც...

ბუნებრივიაა, რაკი შვეციის ქართულ საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, ორიოდე სიტყვა ალბათ თვით შვედებსა და შვედეთზეც უნდა ითქვას, მით უმეტეს, რომ საქართველოს იქ ბევრი მეგობარი ჰყავს: თბილისში რამდენჯერმე იყო ცნობილი შვედი პოეტი და მთარგმნელი (შვედურად თარგმნა: „კუნძული სახალინი", „დანაშაული და სასჯელი", „დათა თუთაშხია", ოსიპ მანდელშტამის, ანა ახმატოვას, ალ. სოლჟენიცინის... ნაწარმოებები) ჰანს ბიორკეგრენი, იგი დაინტერესებულია ქართული მწერლობით, ქართულ პოეზიას — ცისფერყანწელებს პასტერნაკის თარგმანებით იცნობს. აპირებს შვედურად თარგმნოს და გამოსცეს ქართული პოეზიის ანთოლოგია; მწერალი და მთარგმნელი ერიკ ლარს ბდუმკვისტი, ცნობილი შვედი პოეტი პეტერ კიურმანი (ახლახან გამოსულ წიგნში „სკანდინავია" შვეციიდან შესულია: პერ ლაგერკვისტის მოთხრობა, ინგმარ ბერგმანის კინო-მოთხრობა და პეტერ კიურმანის ლექსები, იგი რამდენიმე წლის წინათ იყო თბილისში ლარს ბდუმკვისტთან და ჰანს ბიორკეგრენთან ერთად), მწერალი ბირგიტა გედინი, ჟურნალისტი დევიდ გედინი, შვედი მწერალი ანალენა ვესტბერგი და მისი მეუღლე, დანიელი გამომცემელი გეორგ ვეიენი...

„ბულვარ თეატრში" სეზონის ბოლო სპექტაკლის დაწყებამდე შევხვდი სტოკჰოლმის სამეფო დრამატული თეატრის მსახიობს პეტერ სტორმარეს. პეტერ სტორმარე, შეიძლება ითქვას, ბერგმანის ახალი ვარსკვლავია (მეფე ლირი, ჰამლეტი...). წელს ნიუ იორკში დიდი წარმატებით შეასრულა რასპუტინის როლი. იწვევენ ტოკიოში, პარიზში, ლონდონში... სამეფო დრამატულ თეატრში შარშან სტრინდბერგის „საქორწინო გვირგვინშიც" ითამაშა, — კარგად ვიცნობ რომ...

მიწვია ლონდონში, რათა ერთად გვემუშავა, სამწუხაროდ, არ შემიძლია, შვეციის თეატრშია ბევრი საქმე და აქ უნდა ვიყო.

...კუნძული შერინგონი სტოკჰოლმიდან 500 მილის დაშორებით, გეტებორგისკენ, — შვეციის დასავლეთ სანაპიროზეა, ატლანტის ოკეანის წყლებში. შერინგონი სხვადასხვაგვარად „ითარგმნება": ჰიდეკუნძულსაც ნიშნავს, საყვარელსაც და დედაბრის კუნძულსაც. შვეციის ერთ-ერთ მეფეს მეთევზეთათვის მიუცია თავის დროზე, ახლაც მეთევზეები და სტოკჰოლმელი და გეტებორგელი მოაგარაკენი ცხოვრობენ იქ. 200-მდე სახლი იქნება, კუნძული ერთ და იმავ დროს მკაცრიც არის და „ჰეროვანიც". მთლიანად გრანიტისაა — მიწა აქა-იქ, ცოტა არის. ამბობენ, წინათ კუნძულიდან საყიდლად და მოსამარაგებლად წასულ ქალებს მიწა მოჰქონდათო წინსაფრებით და კუნძულს აყრიდნენ ალაგ-ალაგ. ასე გაჩნდა ბაღი ერთ ადგილას. კუნძულის შუა ეკლესია, სწორედ იმ ეკლესიასთან ა[illegible] არაჩვეულებრივად ეგზოტიკური ბაღი. შვედებისთვისაც უცხო და უჩვეულოა ეს კუნძული. იქ ცხოვრება ადვილი არ არის — უფრო სწორად — ადვილი არ იყო ადრე. ეკლესიაში შაბათ-კვირას წირვაა. იქაური მკვიდრი სვეა ბერლინი ამბობს: თუ შეიძლება დედამიწაზე იყოს სამოთხე, შერინგონია სამოთხეო. მკაცრი და შემაშფოთებლად ლამაზია იქაურობა, მზის ჩასვლა-ამოსვლა, გამჭვირვალე ცა და სუფთა სივრცე, გაშლილი ზღვა და არქიპელაგი; მანქანა იქ არ არის, თვითმფრინავის ხმა იქ არ ისმის, საღამოობით ახლო და შორი კუნძულებიდან მწვანე და წითელი შუქურები ჩანს, უხმაუროდ მიცურავს უამრავი აფრებიანი ნავი, ხანდახან, ძალიან კარგ ამინდში დანია მოჩანს. ხანდახან ნორვეგიიდან დანიაში მიმავალ გემებს დაინახავ, — თითქოს სულ ეს არის; კუნძულზე სიჩუმეა, ულამაზეს ხის შვედურ სახლებთან ახლო, თითქმის ყველა სახლთან შვეციის დროშაა ამართული. ამინდი ხშირად იცვლება, ქვის კუნძულია, გრანიტის — და ძნელია თითქოს იქ ცხოვრება, თუმცა დღეში რამდენჯერმე მოადგება ნავი, შვეციის მთავარ ხმელეთზე რომ გადაგიყვანს და მერე — სადაც გინდა წადი; ტელეფონითაც, რა თქმა უნდა, შეკვეთა არ არის საჭირო — გინდა სკანდინავიის არქიპელაგების სხვა კუნძულებზე დარეკე, გინდა ნიუ იორკში და გინდა პაპუა — ახალ გვინეაზე.

ზაფხულის ყველაზე გრძელ დღეს, 21 ივნისს შერინგონშია ყველა, ვისაც კი იქ სახლი აქვს, სტუმარიც ბევრია. ეს დღესასწაული ვიკინგების დროიდან მოდის (თუმცა შექსპირის პიესის „ზაფხულის ღამის სიზმარის" სათაურიც ბევრს გვეუბნება). დღეს კუნძულთან აფრებიანი ნავების ტევა არ არის, კუნძულის შუა ადგილას ყვავილწნულის ჯვარია აღმართული, ზედ უამრავი პატარა დროშა — მტევნად ასხმული, მშვიდი და მხიარული ძველი შვედური სიმღერით ულიან გარს ამ ჯვარსა და ეროვნულ დროშებს დიდებიცა და პატარებიც, ნებიერები, ლაღები და თავისუფლები.

**მალიკო ხელაშვილი**

სტოკჰოლმი

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მწერალ გურამ დოჩანაშვილს შვილის

ირაკლი დოჩანაშვილის

გარდაცვალების გამო


რედაქტორთა საბჭო

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი





რედაქციის მისამართი:
380005, თბილისი,
ბუდიაშვილის
მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-05-65. 95-86-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ
СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.